

ՀԱՅԵՄԿԱՆԻ  
ՔՆՈՒԿԱԿՆԵՐ  
ԺԱՆՈՒՅՈՒՄ

ՀԱՅԿԱՆԻ  
ՔՆՈՒԿԱԿՆԵՐ



უილიამ შექსპირი - უინძორელი მხიარული ქალები  
William Shakespeare - The Merry Wives of Windsor

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ  
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.  
0186 თბილისი, საქართველო  
[www. iBooks.ge](http://www.iBooks.ge)

ქართული თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ ჭელიძეს

iBooks® 2020 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: [info@iBooks.ge](mailto:info@iBooks.ge)

## სარჩევი

მოქმედი პირები  
მოქმედება პირველი  
მოქმედება მეორე  
მოქმედება მესამე  
მოქმედება მეოთხე  
მოქმედება მეხუთე  
განმარტებები

## მოქმედი პირები

სერ ჯონ ფოლსტაფი  
 ფენტონი, აზნაური  
 შელოუ, მომრიგებელი მოსამართლე  
 სლენდერი, შელოუს ძმისწული  
 ფორდი, პეიჯი - უინძორელი აზნაურები  
 უილიამ პეიჯი, პეიჯის ვაჟი  
 სერ ჰიუ ევანზი, უელსელი მღვდელი  
 კაიუსი, ფრანგი ექიმი  
 სასტუმრო „წვივსაკრავის“ პატრონი  
 ბარდოლფი, პისტოლი - ფოლსტაფის ამფსონები  
 რობინი, ფოლსტაფის ფარეში  
 სიმპლი, სლენდერის მსახური  
 რაგბი, კაიუსის მსახური  
 მისის ფორდი  
 მისის პეიჯი  
 ენ პეიჯი, პეიჯის ქალი  
 მისის კუიკლი, კაიუსის მსახური  
 პეიჯისა და ფორდის მსახურები და სხვები

მოქმედება - უინძორსა და მის მიდამოებში

## მოქმედება პირველი

სურათი პირველი. უინძორი, პეიჯის სახლის წინ.  
 შემოდიან მოსამართლე შელოუ, სლენდერი და სერ ჰიუ ევანზი

შელოუ. სულ ერთია, სერ ჰიუ<sup>[1]</sup>, ვერ დამიყოლიებთ, ამ საქმით ვარსკვლავიან პალატას შევძრავ<sup>[2]</sup>. ოც  
 ჯონ ფოლსტაფადაც რომ იქცეს, მაინც ვერ შეურაცხყოფს რობერტ შელოუს, ესკვიარს!

სლენდერი. გლოსტერის საგრაფოს მომრიგებელ მოსამართლესა, და თან Coram<sup>[3]</sup>.

შელოუ. მართალს ამზობ, სლენდერ, და ამასთან Cust-alomum<sup>[4]</sup>.

სლენდერი. თანაც Rato-lorum<sup>[5]</sup> კეთილშობილი გვარის ჩამომავალს, მამაო. ყოველგვარ ქალაღზე  
 Armigero-ს აწერს - თამასუქზე, ქვითარზე, თუ ხელწერილზე, Armigero<sup>[6]</sup>.

შელოუ. მართალი ხარ, სწორედ ასე ვაწერ, სამასი წელიწადია ასე ვაწერთ.

სლენდერი. ასე იქცეოდა მთელი მისი საიქიოს გამგზავრებული შთამომავლობა, ასე მოიქცევა ყველა  
 მისი აწ დაბადებული წინაპარიც: უფლება ექნებათ თორმეტი თეთრი ქარიყლაპია ჩაკერონ ძველებურ  
 წამოსასხამში<sup>[7]</sup>.

შელოუ. ჰო, ძველებურ წამოსასხამში!

ევანზი. ქარის ყლაპვა საერთოდ არ არის ურიგო საქმე, უხდება კიდეც ადამიანს.

შელოუ. ქარიყლაპია ნედლი თევზია, წამოსასხამში კი დამარილებულია ჩატანებული.

სლენდერი. წამოსასხამის მეოთხედს არ მაჩუქებთ, ბიძაჩემო?

შელოუ. გაჩუქებ, როცა გაბედნიერდები; მეოთხედს უსათუოდ გაჩუქებ.

ევანზი. ეს გაბედნიერება კი არა, გაუპედურება იქნება ამ მოსასხამისა.

შელოუ. სრულებითაც არა.

ევანზი. ღვთისშოპელს ვფიცავ, კი: მეოთხედი თუ მაგას მიეცით, თქვენ, ჩემი გამოანგარიშებით, სამი  
 მეოთხედი დაგრჩებათ, ესე იგი სულ უნდა დაჭრათ და დააქუცმაცოთ. მაგრამ ეგ სულერთია. თუ სერ

ჯონ ფოლსტაფმა დაგამცირათ, მე როგორც ეკლესიის მსახური, დიდად მოხარული ვიქნები შევასრულო ქველმოქმედობა და თქვენს შორის შეთანხმება და კეთილდამოკიდებულება ჩამოვაგდო.

შელოუ. სახელმწიფო საბჭოს ყურამდე უნდა მივიდეს ეს ამბავი, ეს ხომ ჯანყია!

ევანზი. სახელმწიფო საბჭოს ყურს ჯანყი არ ეპრიანება. ჯანყში ღვთის შიში არ ურევია, ამიტომაც, ნუ დაგავიწყდება, ჯანყი არ უყვარს, ლეთის შიში უფრო აინტერესებს! ესეც უნდა გაითვალისწინოთ.

შელოუ. აჰ, ერთი ყმაწვილკაცად მაქცია, თავს გეფიცებით, ამ საქმეს ხმალი გადასჭრიდა!

ევანზი. ისა სჯობს, ხმალმა დაგამეგობროთ და მორჩეთ შულს. ამასთან, თავში სხვა ფიქრიც მიტრიალებს, იქნებ კარგი ნაყოფი გამოიღოს; ენ პეიჯი ხომ გაგიგონიათ, მისტერ ჯორჯ პეიჯის ასული, მომხიბლავი უმანკოება?

სლენდერი. მის ენ პეიჯი? აი, წაბლისფერი თმა რომ აქვს? რომ წრიპინებს ხოლმე?

ევანზი. მაგისტანა მშვენიერს, ქვეყნად მეორეს ვერ შეხვდებით, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი! ამასთან, შვიდასი გირვანქა ფულად და ოქრო-ვერცხლი პაპამისმა უანდერმა სიკვდილის წინ (ღმერთმა მოუვლინოს მხიარული აღდგომა) და მიიღებს მაშინ, როცა ჩვიდმეტი წლისა გახდება. უმჯობესია ამ აყალმაყალს მოვრჩეთ და მისტერ აპრაამისა და მის ენ პეიჯის ქორწინებაზე ვიზრუნოთ.

შელოუ. შვიდასი გირვანქა?

ევანზი. დიახ, მამამისი კი მეტსაც დაუტოვებს.

შელოუ. ვიცნობ იმ ყმაწვილ ქალს, კარგი ღირსებები აქვს.

ევანზი. შვიდასი გირვანქა და კიდევ მეტის იმედი, მშვენიერი ღირსებები გახლავთ.

შელოუ. კეთილი, მამ მოვინახულოთ პატიოსანი მისტერ პეიჯი. ფოლსტაფიც მასთან არის?

ევანზი. ხომ არ მოგატყუებთ? თვითონვე მძულს მატყუარა კაცი, ვერც სიყალბესა და სიცრუეს ვიტან, რაინდი სერ ჯონი მასთან გახლავთ. ამიტომ გემუდარებით, კეთილის მოსურნეებს დაუჯეროთ. ახლავე დავაკაკუნებ მისტერ პეიჯის კარებზე. (აკაკუნებს) ჰეი, ჰეი, ღმერთმა აკურთხოს თქვენი სახლი. პეიჯი. (შიგნით) ვინ არის მანდა?

ევანზი. ღვთის კურთხევა, თქვენი მეგობარი და მსაჯული შელოუ, თავისი ძმისწული სლენდერით, რომელმაც მგონი რაღაცა უნდა გითხრათ თუკი თქვენც გესიამოვნებათ.

(შემოდის პეიჯი)

პეიჯი. მიხარია, რომ კარგად ვხედავ თქვენს მოწყალებას. ირმის ხორცისთვის მადლობას მოგახსენებთ, მისტერ შელოუ.

შელოუ. მისტერ პეიჯ, მიხარია რომ გხედავთ. ღმერთმა შეგარგოთ. ნეტა კი უკეთესი ყოფილიყო ის ირმის ხორცი! ვერ შევარჩიე, არ იყო კარგი ნანადირევი. მისის პეიჯი როგორა ბრძანდება? ყოველთვის მადლიერი ვარ თქვენი სულით და გულით, ჰო, სულით და გულით.

პეიჯი. მადლობას მოგახსენებთ, სერ.

შელოუ. სერ, მადლობელი მე თვითონა ვარ, დიახ, ასე იქნება თუ ისე, მაინც მე ვარ მადლობელი.

პეიჯი. თქვენი ნახვაც გამეხარდა, კეთილო მისტერ სლენდერ.

სლენდერი. წითლა მწევარი როგორა გყავთ, სერ? გავიგე კოტსელში<sup>[8]</sup> გაასწრესო.

პეიჯი. ეს კიდევ არაა საბოლოოდ დამტკიცებული, სერ.

სლენდერი. არ გინდათ, ხომ, გამოტყდეთ, არ გინდათ ხომ, გამოტყდეთ?

შელოუ. გამოსატყები რა სჭირს?! შენ თვითონ გეშლება რაღაც. შენ გეშლება. მშვენიერი ძაღლია.

პეიჯი. კარგი ჯაშისა ვერ არის, სერ.

შელოუ. რასა ბრძანებთ, სერ, მშვენიერი ძაღლია, კარგი და ლამაზი. მორჩა! სერ ჯონ ფოლსტაფი თქვენთან არის?

პეიჯი. ჩემთან გახლავთ, სერ, ნეტა თქვენი შერიგება შემამღებინა!

ევანზი. ნამდვილი ქრისტიანული სიტყვეპია.

შელოუ. შეურაცხყოფა მომაცენა, მისტერ პეიჯ.

პეიჯი. ამას ნაწილობრივ თვითონვე აღიარებს, სერ.

შელოუ. აღარება როდი შველის საქმეს! ხომ ასეა, მისტერ პეიჯ! შეურაცხმყო. ნამდვილად შეურაცხმყო, პატიოსნებას გეფიცებით, შეურაცხმყო. რობერტ შელოუ, ესკვარი, აცხადებს, რომ იგი შეურაცხყოფილია!

პეიჯი. აგერ, სერ ჯონიც მოდის.

(შემოდინ სერ ჯონ ფოლსტაფი, ბარდოლფი, ნიმი და პისტოლი)

ფოლსტაფი. რაო, მისტერ შელოუ... ხელმწიფესთან უნდა მიჩვილოთ?

შელოუ. რაინდო, ხალხი გამილახეთ, ნადირი დამიხოცეთ, ჩემი მეტყევის სახლში შევარდით...

ფოლსტაფი. მეტყევის ქალისთვის ხომ არ მივოცნია?!

შელოუ. ნუ მიედ-მოედებით! პასუხი უნდა გამცეთ.

ფოლსტაფი. ახლავე გაგცემთ პასუხს. მართლაც ჩავიდინე ყველაფერი. აი, პასუხი!

შელოუ. სახელმწიფო საბჭომდე უნდა მივიდეს ეგ საქმე.

ფოლსტაფი. გირჩევნიათ ჩემს ბჭობას მოუსმინოთ, სასაცილოდ არ ეყოფით სახელმწიფო საბჭოს.

ევანზი. Pauca verba<sup>[9]</sup>, სერ ჯონ. მართლაცაა პრძანებთ, რა ჩირად გინდათ დავა!

ფოლსტაფი. არც ჩირად, არც კომბოსტოდ<sup>[10]</sup>. სლენდერ, შენ ხომ მაინც კარგა ბევრი მოგხვდა თავში, რას იტყვი ჩემს წინააღმდეგ?

სლენდერი. დიახაც ბევრი რამ მაქვს თავში, სერ, თქვენს წინააღმდეგაც და თქვენი თაღლითი ამფსონების - ბარდოლფის, ნიმის და პისტოლის წინააღმდეგაც; წამათრიეს სამიკიტნოში, კარგად გამომბრუყეს და მერე ჯიბეები დამიცალეს.

ბარდოლფი. ოჰ, ბენბერულო ყველო<sup>[11]</sup>!

სლენდერი. მერე რა, აქ რა მოსატანია!

პისტოლი. რას მიქარავ, მეფისტოფელო<sup>[12]</sup>!

სლენდერი. მერე რა, აქ რა მოსატანია!..

ნიმი. ჩაიწყვიტე-მეთქი! Pauca, pauca, ჩაიწყვიტე! ვთქვი და გათავდა!

სლენდერი. ნეტა სიმპლი სად დამეკარგა, ჩემი მსახური სიმპლი? თქვენ ხომ არ იცით, ბიძაჩემო?

ევანზი. გემუდარებით, დამშვიდდით, სჯოპს საქმე გავარკვიოთ. როგორც ვატყობ, ამ საქმეში სამი შუაკაცი ვართ: მისტერ პეიჯი, ესე იგი თვითონ მისტერ პეიჯი; მერე მე, ესე იგი თვითონ მეც და მესამე, პოლო და უკანასკნელი - „წვივსაკრავის“ პატრონი<sup>[13]</sup>.

პეიჯი. დიახ, სამივენი მზადა ვართ მოვისმინოთ ეგ საქმე და მოვსპოთ დავა.

ევანზი. ძალიან კარგი, ამას უპის წიგნაკში ჩავინიშნავ მერე კი განვსაჯოთ საქმე ისეთი კეთილგონიერებით, როგორც შესაძლებელი იქნება.

ფოლსტაფი. პისტოლ...

პისტოლი. გისმენს თავისი ყურებით.

ევანზი. რა ეშმაკი და ჯანდაპაა! „გისმენს თავისი ყურებით“! ეს რა დაპრანჭული ლაპარაკია!

ფოლსტაფი. პისტოლ, მართლა დააცარიელე მისტერ სლენდერის ქისა?

სლენდერი. დააცარიელა, ამ ხელთათმანებსა ვფიცავ, მართლა დააცარიელა; თუ ვტყუოდე, აღარ მეღირსოს ჩემს დიდ დარბაზში შესვლა; შვიდი გროტი<sup>[14]</sup> მომპარა ახალი ექვსპენიანებით და ორიც ედუარდისეული, იდი მილერისაგან ორ-ორ შილინგად ნაყიდი, ამ ხელთათმანებსა ვფიცავ, ასე იყო.

ფოლსტაფი. სიმართლეა ეს, პისტოლ?

ევანზი. სიმართლეო? სიმართლე კი არა და გათახსირებაა ჯიპის დაცლა!

პისტოლი. ამ ტყიდან გამოვარდნილ გადამთიელს ვერ უყურებთ, რასა ბედავს! სერ ჯონ, ბატონო, ჩხუბში ვიწვევ ამ თუნუქის ხმალს<sup>[15]</sup>, მე უარსა ვყოფ მაგ შენს სიტყვებს და პირში გახლი, დიახ, უარს ვყოფ, დორბლიანო, ცრუ, გაიმძერა!

სლენდერი. მაშ ეს იყო, ამ ხელთათმანებსა ვფიცავ.

(მიუთითებს ნიმზე)

ნიმი. აბა, აბა, გირჩევნიათ, ფრთხილად იყოთ, სერ, ლაპარაკის კილო შესცვალეთ. პოლიციის გამომძიებელივით ნუ ჩამაცვიდით, მოეშვით ასეთ ხუმრობას, თორემ პირში მოგახლით: „ჩქარა, აქედან მოუსვით თმეთქი“. მაშა!

სლენდერი. მაშ იმ ლაქლაქას მოუპარავს, ჩემს ქუდსა ვფიცავ. მართალია, ისე გამომათვრეთ, რომ თავიც კი დამავიწყდა, მაგრამ სულმთლად ვირი მაინც ნუ გგონივართ.

ფოლსტაფი. შენ რაღას იტყვი, ლაქლაქა ჯონ<sup>[16]</sup>?

ბარდოლფი. რას ვიტყვი და, მე თუ მკითხავთ, ამ ჯენტლმენს ღვინომ ხუთივე გრძნობიერება დაუკარგა.

ევანზი. ხუთი გრძნობიერება კი არა, ხუთი გრძნობა. ფუ, რა საშინელეპაა უფიცობა!

ბარდოლფი. ღვინით გამობრუყულს კი, ბატონო, როგორც იტყვიან ხოლმე, ჯიბე შეუმსუბუქეს; მერე ძუნძულით წავიდა საქმე.

სლენდერი. დიახ, თან ლათინურადაც ლაპარაკობდით. მაგრამ არაფერია, ამ ოინის შემდეგ მხოლოდ პატიოსან, განათლებულ და ღვთისმოშიშ ხალხთან დავლევ, თუ დავითვრები, რაღა ლოთმა არამზადებმა დამათრონ, სჯობს ისევ ღვთის მოშიშთან დავთვრე.

ევანზი. ღმერთო შენ მიშველე, მართლაც რომ სათნო გადაწყვეტილებაა.

ფოლსტაფი. ხომ ნახეთ ბატონებო, ყველა ბრალდება გაბათილდა, ხომ დაინახეთ?!

(შემოდინან ენ პეიჯი, რომელსაც თან ღვინო მოაქვს, მისის ფორდი და მისის პეიჯი)

პეიჯი. აჰ, ღვინო უკანვე წაიღე, შვილო, სახლში დავლევთ.

(გადის ენ პეიჯი)

სლენდერი. ოჰ, ღმერთო! ეს ხომ მისს ენ პეიჯია!

პეიჯი. როგორ გიკითხოთ მისის ფორდ?

ფოლსტაფი. მისის ფორდ, სინდისს გეფიცებით, ძლიერ გამეხარდა თქვენი მოსვლა. ნება მიბოძეთ კეთილო ქალბატონო. (კოცნის)

პეიჯი. აბა მეუღლე, სტუმრებს სთხოვე შინ შემობრძანდნენ. მობრძანდით, მობრძანდით, ირმის ღვეზელებით გაგიმასპინძლებით, წავიდეთ ბატონებო. იმედი მაქვს, ღვინოში ჩავკლავთ ყოველგვარ წყენას.

(გადიან ყველანი შელოუს, სლენდერსა და ევანზს გარდა)

სლენდერი. ორმოც შილინგს სიამოვნებით მივცემდი ახლა, ჩემი სიმღერებისა და სონეტების წიგნი რომ მომცა<sup>[17]</sup>. (შემოდის სიმპლი) შენა ხარ სიმპლ? სად დაიკარგე? თვითონვე უნდა მოვემსახურო თავს? ჰა, თვითონვე უნდა მოვემსახურო? სიმღერებისა და გამოცანების წიგნი ხომ არა გაქვს თან? ჰა, თან ხომ არა გაქვს?

სიმპლი. გამოცანების წიგნი? აკი ელის შორტკეივს ათხოვეთ ყველა წმინდანის დღეს, აი მიქელ-გაბრიელობამდე ორი კვირით ადრე<sup>[18]</sup>!

შელოუ. აბა, წამოდი, ძმისწულო, წამოდი, ძმისწულო, შენ გელოდებით. ჯერ მისმინე, ძმისწულო, სიტყვა მაქვს შენთან. ეს მაჭანკლობასავით იყო, ასე იცინა მაჭანკლობა. ნახე, სერ ჰიუმ როგორ შორიდან გადაუკრა სიტყვა? გამიგე?

სლენდერი. ვიცი, ბატონო. თვითონვე ნახავთ, რა გონიერი ვარ. თუ აგრეა საქმე, ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროა.

შელოუ. ჰო, მაგრამ გამიგე...

სლენდერი. ვიცი, ბატონო, ყველაფერი მესმის.

ევანზი. მისტერ სლენდერ, ყური დაუგდე რა გირჩიოს; მე გაგიმარტავ ყველაფერს, თუ შეგეძლება, გამიგო.

სლენდერი. არა, მე ბიძაჩემ შელოუს რჩევას უნდა მივსდიო, გთხოვთ, მომიტევეთ. ეს არის ჩვენი მომრიგებელი მოსამართლე, მე კი მასთან აბა რა ვარ!

ევანზი. ამაზე როდი ვლაპარაკობთ, ჩვენი საუპარი თქვენს დაქორწინებას შეეხებოდა.

შელოუ. დიახ, სწორედ ასეა, ბატონო.

ევანზი. მაშა, ესაა ჩვენი საზრუნავი - თქვენი დაქორწინება მისს ენ პეიჯზე.

სლენდერი. თუ ასეა, მე მზადა ვარ შევერთო იგი ყოველგვარი კეთილგონივრული პირობების გათვალისწინებით.

ევანზი. მაშ, შეგიძლია შეიყვარო ის ქალი? კეთილი ინეპე და შენი საკუთარი პირით, ან შენი ტუჩებით მოგვახსენე. ხომ იცი, ზოგი ფილოსოფოსი ამტკიცებს, ტუჩები პირის ნაწილიაო. აჰა, ნამდვილი გვითხარი, შეგიძლია შენი კეთილი გრძნობები იმ ქალწულისაკენ მიმართო?

შელოუ. ძმისწულო აბრაამ სლენდერ, შეგიძლია იმ ქალის შეყვარება?

სლენდერი. იმედი მაქვს, ბატონო, ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი კეთილგონიერებას შეჰფერის.

ევანზი. არა, ღმერთის ყველა ქალსა და კაც ანგელოზს ვფიცავ, გადაჭრით უნდა გვითხრა: შეგიძლია თუ არა შენი სურვილები იმ ქალის მიმართულეპით მიმართო?

შელოუ. ჰო, უნდა გვითხრა. კარგი მზითევი რომ მისცენ, შეირთავ?



სლენდერი. თქვენი ხათრით, ბიძაჩემო, ამაზე დიდ საქმესაც ვიკისრებ...

შელოუ. ჯერ გამიგონე, გამიგონე რას ვამბობ, ჩემო კარგო ძმისწულო. ხომ იცი, ჩემო ძმისწულო, რასაც ვაკეთებ, სულ შენი სიამოვნებისთვის ვაკეთებ. შეგიძლია თუ არა იმ ქალწულის სიყვარული? სლენდერი. რაკი თქვენა მთხოვთ შევირთავ, ბატონო; თუ პირველად არ გვექნება დიდი სიყვარული, ზეცა თანდათანობით გაგვინელებს ამ გრძნობას დაახლოვების შემდეგ, როცა დავქორწინდებით და ერთმანეთის კარგად გაცნობის მეტი საშუალება გვექნება. იმედი მაქვს, ერთმანეთთან დაახლოებით ზიზღიც გაიზრდება. მაგრამ თქვენ თუ მეტყვიით, შეირთეო - ავდგები და შევირთავ; ამას გავაკეთებ ჩემი წყურვილით და ძალდაუტანებლად.

ევანზი. მშვენივრად მოფიქრებული პასუხია, ოღონდ „წყურვილი“ კი არ უნდა გეთქვა, მე მგონია, შენ გინდოდა გეთქვა „სურვილი“. საერთოდ კარგი განზრახვაა.

შელოუ. მეც ასე ვფიქრობ, ჩემს ძმისწულს სწორედ ასე უნდოდა ეთქვა.

სლენდერი. დიახ, სწორედ ასე მინდოდა. თუ ასე არ იყოს, დე, ჩამომახრჩონ.

შელოუ. აი ტურფა მისს ენიც მოდის. (შემოდის ენ პეიჯი) თქვენ რომ გიყურებთ მისს ენ, მინდა ყმაწვილკაცად ვიქცე.

ენ პეიჯი. სუფრა გაშლილი გახლავთ. მამაჩემი თქვენს ბრწყინვალეობას ელოდება.

შელოუ. მოვდივარ, მშვენიერო მისს ენ.

ევანზი. ღმერთო შემიწყალე! მეც გავეშურეპი და სუფრას ვაკურთხეპ.

(გადიან შელოუ და ევანზი)

ენ პეიჯი. ბატონო, არ ინებებს თქვენი მოწყალება შინ შემობრძანებას?

სლენდერი. არა, გულითად მადლობას მოგახსენებთ. აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

ენ პეიჯი. გაშლილი სუფრა თქვენ გელოდებათ, ბატონო.

სლენდერი. გმადლობთ, არა მშია, გეფიცებით. შენ წადი, ბიჭო. მართალია ჩემი მსახური ხარ, მაგრამ ახლა წადი და ბიძაჩემ შელოუს მოემსახურე. (სიმპლი გადის) ზოგჯერ მომრიგებელ მოსამართლესაც სჭირდება მეგობრის დახმარება; მანამ დედაჩემი მოკვდებოდეს მხოლოდ სამი მსახური და ერთი ფარეში მყავს. მერე რა, მაინც ღარიბ აზნაურით ვცხოვრობ.

ენ პეიჯი. ბატონო, უთქვენოდ შინ ვერ შევბრუნდები; თქვენს მობრძანებამდე სუფრას არ მოუსხდებიან.

სლენდერი. გეფიცებით, ვერაფერს შევჭამ. ისე კი მადლობელი ვარ, თითქოს მეჭამოს.

ენ პეიჯი. გთხოვთ წამობრძანდეთ, ბატონო.

სლენდერი. გმადლობთ, მირჩევნია აქ გავიარ-გამოვიარო. ამას წინათ წვივი ვიტკინე ფარიკაობის მასწავლებელთან. ქლიავის მურაბაზე დავნაძღვევდი<sup>[19]</sup> - სამჯერ ვის მოხვდებოდა ხმალი. მას შემდეგ, თავს გეფიცებით, ცხელი საქმლის სუნს ვეღარ ვიტან. ასე რად ყვეგენ თქვენი ძაღლები? დათვებს ხომ არ დაატარებენ ქალაქში?

ენ პეიჯი. მგონი დაატარებენ, ბატონო. ასე თქვეს.

სლენდერი. ძალიან მიყვარს დათვების თამაში. და მთელს ინგლისში ჩემსავით გაბედულად არავინ ჩამოდის სანაძღველს... თქვენ ალბათ გემინიათ აშვებული დათვისა! გემინიათ ხომ?

ენ პეიჯი. დიახ, მართალსა ბრძანებთ, ბატონო.

სლენდერი. მე კი მაგითი მიდგას სული: ნურც მაჭმევ, ნურც მასმევ, ოღონდ დათვების თამაშს მაყურებინე. ოცჯერ მაინც შევხვედრივარ აშვებულ სეკერსონს<sup>[20]</sup>, ჯაჭვითაც კი მჭერია ხელში. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორი კივილ-წივილი მორთეს ქალებმა! ღმერთმანი! ქალები მართლაც ვერ იტანენ დათვებს. ძალიან ტლანქი ცხოველები არიან დათვები.

(შემოდის პეიჯი)

პეიჯი. მობრძანდით კეთილშობილო მისტერ სლენდერ, მობრძანდით, თქვენ გელოდებით.

სლენდერი. არაფრის ჭამა არ შემიძლია, ბატონო, მადლობელი ვარ.

პეიჯი. აჰ, როგორ იქნება; მამალს და კაჭკაჭს გეფიცებით, ვერ მოგეშვებით, ბატონო. მობრძანდით, მობრძანდით.

სლენდერი. მაშინ გთხოვთ, თქვენ მიბრძანდეთ წინ.

პეიჯი. აჰ, არა, თქვენ მიბრძანდით.

სლენდერი. მისს ენ, ჯერ თქვენ შებრძანდით.



ენ პეიჯი. მე არა, ბატონო, ჯერ თქვენ შებრძანდით.

სლენდერი. არაფრის გულისთვის არ შევალ; როგორ იქნება, ასეთ რამეს როგორ გაკადრებთ!

ენ პეიჯი. გთხოვთ, ბატონო.

სლენდერი. თავის მობეზრებას ისევ ისა სჯობს უზრდელად მოვიქცე, თქვენ თვითონ შეურაცხყავით თავი, აჰ, რა გაეწყობა.

(გადიან)

სურათი მეორე. შემოდინ სერ ჰიუ ევანზი და სიმპლი

ევანზი. აჰა, გასწი და იკითხე, ექიმ კაიუსის სახლთან რომელი გზა მიგიყვანს. მასთან ცხოვრობს ერთი მისის კუიკლი; არ ვიცი ძიძად ჰყავს აყვანილი, გადიად, მზარეულად, დიასახლისად, მრეცხავად თუ სარეცხის მწურავად...

სიმპლი. კეთილი, ბატონო.

ევანზი. დაიცა, ასე აჯოპებს - ეს პარათი გადაეცი იმ ქალს. ის ქალი კარგად იცნობს მის ენ პეიჯს. წერილში გამოხატულია სურვილი და თხოვნა, რათა მან კეთილ ინეპოს და შენი პატონის ნება შეასრულოს - მის ენ პეიჯთან უშუამავლოს. აჰა გასწი, მე კი შევპრუნდეპი და სადილს მოვრჩეპი: ვაშლი და ყველიდა დარჩა.

(გადიან)

სურათი მესამე. ოთახი სასტუმრო „წვივსაკრავში“

შემოდინ ფოლსტაფი, სასტუმროს პატრონი, ბარდოლფი, ნიმი, პისტოლი და რობინი

ფოლსტაფი. ჩემო მასპინძელო...

სასტუმროს პატრონი. რაო, რას ინებებს ჩხუბისთავი? ბრძნული და გონივრული რამე სთქვი.

ფოლსტაფი. მართალი თუ გინდა, რამდენიმე ჩემი ამფსონი უნდა დავითხოვო.

სასტუმროს პატრონი. დაითხოვე, შფოთიანო ჰერკულესო; გააპანდურე, მოუსვან აქედან - თოხარიკით, თოხარიკით.

ფოლსტაფი. კვირაში ათი გირვანქა მეხარჯება.

სასტუმროს პატრონი. შენ ხომ იმპერატორი ხარ - ცეზარი, კეისარი, პეიზარი<sup>[1]</sup>. ბარდოლფს ჩემთან დავიტოვებ, ღვინის დაწურვა-გადმოღებაში მიშველის. თანახმა ხარ, შფოთიანო ჰექტორო? ფოლსტაფი. მასე იყოს, ჩემო კარგო მასპინძელო.

სასტუმროს პატრონი. ვთქვი და გავათავე, გამომყვეს. ვნახო ერთი, როგორ ააქაფებს. მე ჩემ სიტყვას არ გადავალ. აჰა, წავიდეთ.

(გადის)

ფოლსტაფი. გაჰყევი ბარდოლფ, მიკიტნობა კარგი ხელობაა. ძველი წამოსასხამიდან ახალი ქურთუკი გამოდის. ძველი, გაცვეთილი მხლებლებიდან კი - ახალი მიკიტანი. წადი, მშვიდობა ნახე.

ბარდოლფი. ამისთანა ცხოვრებას ვნატრობდი, მუდამ, ახლა მე ვიცი.

პისტოლი. ოი, მდაბალო ბოშავ<sup>[2]</sup>, კასრების ონკანების გამგებლობა გიტაცებს!

(გადის ბარდოლფი)

ნიმი. სიმთვრალეშია ჩასახული. ვერ გამოგეთ ხუმრობა? არაფერი გმირული არ გააჩნია - აი ხუმრობა!

ფოლსტაფი. ძლივს არ გავთავისუფლდი ამ აბედის ყუთისაგან! ისე ვერაფერს მოიპარავს, არ გაუგონ. უხეირო მომდერალსა ჰგავს: დროის შეგრძნება არა აქვს. მარჯვე ქურდმა თვალის დახამხამებაში უნდა აწაპნოს.

პისტოლი. ჭკვიანი კაცი იტყვის „მიითვისოსო“, „აწაპნა“ რა სიტყვაა! ფუ! ოლოლო შენ მაგ სიტყვისთვის!

ფოლსტაფი. კმარა, ბატონებო! ვერა ხედავთ, ფეხსაცმელი სულ შემომაცვთა.

პისტოლი. ფეხებს დაგაზრობს.

ფოლსტაფი. რას იზამ, ისევ ტყუილების გუდად უნდა ვიქცე და თაღლითობა დავიწყო.

პისტოლი. ყორნის ბახალებს ჭამა ხომ უნდათ?

ფოლსტაფი. რომელი თქვენგანი იცნობთ ამ ქალაქში ფორდს?

პისტოლი. მე ვიცნობ, კაი დოვლათიანი ვაჭბატონია.

ფოლსტაფი. ჩემო პატიოსანო მეგობრებო, ახლავე გეტყვით, რაც მაწუხებს...

პისტოლი. ღიპი!

ფოლსტაფი. ოხუნჯობის დრო არ არის, პისტოლ, მართალია, ზომაზე მეტად ვარ გაბერილი, მაგრამ ახლა გაბერილობა როდი მაწუხებს, მოკლება კი არ მინდა - შემატება მსურს. მოკლედ რომ გითხრათ, მინდა ფორდის ცოლთან გავაბა სიყვარული, ვატყობ, სიამოვნებს ჩემი სიახლოვე. ატიტინდება ხოლმე, მეპრანჭება, თვალებს პრაწავს. მე კი მშვენივრად ვხვდები მის ქარაგმებს: მისი ყველაზე მკაცრი გამოთქმაც რომ გადმოვთარგმნოთ ინგლისურად, ასე იქნება - „მე სერ ჯონ ფოლსტაფისა ვარ“.

პისტოლი. კარგად შეუსწავლია ის ქალი და კარგადაც თარგმნის მას პატიოსნების ენიდან ინგლისურად.

ნიმი. ჰოი, რა ღრმად არის ღუზა ჩაშვებული! კარგად არ ვიხუმრე?

ფოლსტაფი. ასე ამბობენ, ქმრის ქისა იმ ქალის ხელთ არისო; ქმარს კი ანგელოზების მთელი ლეგიონი აქვს<sup>[3]</sup>.

პისტოლი. მაშ შენც გაიჩინე იმდენივე ეშმაკი და გასწი, ბიჭიკო, პირდაპირ ქალისკენ.

ნიმი. რა კარგია, თანდათან იზრდება ხუმრობა. კიდევ იხუმრე ანგელოზებზე.

ფოლსტაფი. აგერ წერილიც დავეწერე, ფორდის ცოლს უნდა გავუგზავნო. ეს მეორე წერილი კი პეიჯის ცოლისთვის მოვამზადე. იმანაც კარგი თვალთ შემომხედა ამას წინათ. თავით ფეხებამდე ამათვალ-ჩამათვალეირა მეტად წყლიანი თვალებით. მისი მხედველობის სხივმა ჯერ ფეხები მოაოქროვა ჩემი, მერე კი დიდებული ღიპი.

პისტოლი. ამაზე იტყვიან სწორედ, მზე ნეხვსაც დახედავსო.

ნიმი. მადლობელი ვარ ამ მშვენიერი ხუმრობისათვის.

ფოლსტაფი. ისე ხარბად ამხედ-დამხედა, რომ ლამის დამხრუკა მისი თვალების ვნებამ; ასე გეგონებოდა, ცეცხლგამჩენი ბროლიაო. ეს მისი წერილია. ქმრის ქისა მასაც ხელთ უპყრია. იგი არის გვიანა, ოქროთი და სიუხვით სავსე<sup>[4]</sup>. მე უნდა გავხდე იმ ვაჭბატონების ხაზინადარი; ისინი იქნებიან ჩემი აღმოსავლეთი და დასავლეთი ინდოეთი, ვაჭრობა უნდა გავმართო მათთან. აჰა, ეს წერილი მისის პეიჯს გადაეცი. შენ კი ეს მისის ფორდს მიართვი, ჩვენს ბედს ძალის არ დაჰყეფს, ბიჭებო, ძალის არ დაჰყეფს.

პისტოლი. ტროელ მაჭანკლად ხომ არ გინდა გადამაქციო? მე ხმალს ვატარებ! ჯობს ეშმაკმა წაგილოთ ყველა!

ნიმი. სულაც არ მაინტერესებს შენი მასხრობა, უკანვე წაიღე ეს მასხრული წერილი. მე სახელს ვუფრთხილდები.

ფოლსტაფი. (რობინს) შენ გამომართვი წერილები და მარდად გასწი,

გასცურე, როგორც იალქანი მისცურავს ზღვაზე.

თქვენ კი მოუსვით, ვერაგებო, თავიდან მომწყდით,

წადით, გამშორდით, გამეცალეთ, თოვლივით გაქრით,

ემიეთ ჭერი, იწანწალეთ და ივაგლახეთ.

დროს შესაფერად აწ ფოლსტაფმაც ისწავლა ჭკუა -

ვიკმარებ ფარეშს და ვიცხოვრებ მომჭირნეობით.

(გადიან ფოლსტაფი და რობინი)

პისტოლი. დე, ყვავ-ყორნებმა დაგიკორტნონ შიგნეულობა!

კამათლები ხომ ჩემს ხელთაა - მდიდარს თუ ღატაკს

მე ერთნაირად გავაცურებ, და ჩემს ქისაში

ფული მუდამჟამს იჩხრიალებს. შენ კი ქოფაკო,

მდაბალო თურქო, შენს დღეს გალევ გაჭირვებაში.

ნიმი. ერთი კარგი ოინი მოვიგონე - შური ვიძიოთ.

პისტოლი. შურისძიება გინდა?

ნიმი. მინდა, ზეცას და ვარსკვლავებს ვფიცავ.

პისტოლი. ხმლით თუ ჭკუით?

ნიმი. ერთითაც და მეორითაც. ახლავე გავსწევ და მისი სიყვარულის ამბავს პეიჯს შევატყობინებ.

პისტოლი. მე კი ფორდს ვნახავ, რომ ჩავუკაკლო

ამ გაიძვერას ბილწი სურვილი:

მოსტაცოს მტრედი, წაგლიჯოს ქისა,

და შეუბღალოს ლოგინი რბილი.

ნიმი. ნუ გგონია ამით გაცივდეს ჩემი შურისძიება: ისე გავაცოფებ პეიჯს, რომ საწამლავი იხმაროს, სიყვითლეს შევეყრი. ჩემთან ხუმრობა ხელს არ მისცემს - ისეთი საშინელი ხასიათი მაქვს!

პისტოლი. შენ ხომ უკმაყოფილო ხალხის მარსი ხარ! წავიდეთ, მეც მოგეშველები.

(გადიან)

სურათი მეოთხე. ოთახი ექიმ კაიუსის სახლში

შემოდინ მისის კუიკლი და სიმპლი

მისის კუიკლი. ჰეი, ჯონ რაგბი! (შემოდის რაგბი) ფანჯარასთან მიირბინე და ნახე, ჩემი ბატონი ექიმი კაიუსი ხომ არ მოდის. თუ დაბრუნდა და სახლში ვინმეს წააწყდა, მშვიდობით, ისევ მოჰყვება ლანძღვა-გინებას; მაშინ გებრალეობდეთ ყოვლისმომთმენი ღმერთი და ინგლისური ენა.

რაგბი. კარგი, ვუთვალთვალე.

კუიკლი. აბა, გასწი და სამაგიეროდ სადამოთი ნახშირის ნარჩენებზე რძისა და ღვინის სასმელს მოგიმზადებ. (რაგბი გადის) კარგი ბიჭია, დაუზარელი და პატიოსანი. მაგისთანა მოსამსახურეს სადღა იშოვი, არც ენატანიაა, არც ჩხუბი უყვარს. ესაა, რომ სულ ლოცვაზეა გადაგებული; რაღაც მეტისმეტად გამწარებული ღვთისმოსავია. რას იზამ, უნაკლო არავინაა ქვეყნად. ჰო, პეტრე სიმპლი მქვიანო?

სიმპლი. დიახ, რა ვქნა, უკეთესი სახელი არ შემარქვეს.

კუიკლი. მისტერ სლენდერის ფარეში?

სიმპლი. დიახ.

კუიკლი. დაიცა, მეხელთათმნის დანასავით დიდი, მრგვალი წვერი რომ აქვს არა?

სიმპლი. აჰ, არა, პატარა მოცქინტული სახე და ასევე პატარა წვერი აქვს, კაენივით მწითური<sup>[1]</sup>.

კუიკლი. უწყინარი კაცია ხომ, რბილი?

სიმპლი. დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ ისეთი მწარე ხელი აქვს... ერთხელ მეტყვევსაც ეჩხუბა.

კუიკლი. რაო, რა სთქვი? ჰო, თითქოს მაგონდება. აი, გაბღინებული რომ დადის, ცხვირაბზუკილი?

სიმპლი. დიახ, სწორედ ის გახლავთ.

კუიკლი. ღმერთო, მაგაზე უარესს მაინც ნურავის მოუვლენ ენ პეიჯს! მამაო ევანზს უთხარი, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემიძლია-თქო, ენი მშვენიერი გოგონაა და მინდა...

(შემოდის რაგბი)

რაგბი. დავილუპეთ! ბატონი მოდის.

კუიკლი. კაი დღეს არ დაგვაყრის. (რაგბი გადის) აბა, შეძვერი, ყმაწვილო კაცო, ამ საკუჭნაოში დაიმალე ჩქარა; მალე გაბრუნდება. (სიმპლს ოთახში ჩაკეტავს) ჰეი, ჯონ რაგბი! ჯონ! ჯონ-მეთქი, არ გეყურება? აბა, გაიქეცი და ბატონი მოიკითხე; ასე რატომ დაიგვიანა, ხომ არა შეემთხვა რა!

(მღერის)

ქვემოთ, ქვემოთ, სულ ქვემოთ...

(შემოდის ექიმი კაიუსი)

კაიუსი. რასა მგერი? ქომ იცი, რომ არ მიკუარს ესეთი რამეები, ჩემი ოთაქიდან კუთი გამომითანე, მწვანე კუთი un boitier vert<sup>[2]</sup>. გაიგე რას გეუბნები? მწვანე კუთი.

კუიკლი. გავიგე, როგორ არა! ახლავე მოგართმევთ. (თავისთვის) კიდე კარგი, თვითონვე არ წავიდა მოსატანად. ის ბიჭი რომ ენახა, თავზე რქადადგმული ქმარივით გაცოფდებოდა.

კაიუსი. Fe, fe, fe, fe! ma foi, il fait fort chaud. Je m'en vais à la cour la grande affaire<sup>[3]</sup>.

კუიკლი. ეს ყუთი, ბატონო?

კაიუსი. Oui; mette le au mon ყიბე: dépêche<sup>[4]</sup>, მარდად! არამზადა რაგბი სადლაა?

კუიკლი. ჯონ რაგბი! ჰეი, ჯონ!

(შემოდის რაგბი)

რაგბი. გახლავართ, ბატონო...

კაიუსი. ჟონ რაგბი ქარ თუ ჟანდაბა რაგბი, ჩქარა ქმალი და ეზოში ფექდაფექ მომკევი.

რაგბი. მზადა მაქვს, ბატონო, აქვე, დერეფანში.

კაიუსი. ვაი, როგორ დამაგვიანდა ამ ზოზინში. ჟანდაბას ჩემი თავი! Qu' ai-j' publié<sup>[5]</sup>! რაღაც ცამლებიცაა ოთაქში, უსათუოდ უნდა გავიგო.

კუიკლი. ღმერთო, იმ ბიჭს ნახავს ახლა ოთახში და მორჩა, გაცოფდება!

კაიუსი. O diable, diable<sup>[6]</sup>! ვინა ქარ ჩემს ოთახში; ავაზაკი! ქურდი! (სიმპლს გამოათრევს) ჩემი ქმალი რაგბი!

კუიკლი. დამშვიდდით, კარგო ბატონო.

კაიუსი. რატომ უნდა დავიმშვიდო?

კუიკლი. ეს ყმაწვილი პატიოსანი კაცი გახლავთ.

კაიუსი. პატიოსანი კაცი ჩემს ოთაქში რა ესაქმება? ჩემს ოთაქში პატიოსანი ქალქი არ დადიქარ.

კუიკლი. გემუდარებით, ნუ გაცხარდებით. ჯერ მომისმინეთ, სიმართლე გითხრათ: ეს ყმაწვილი კაცი მამაო ჰიუ ევანზის მოგზავნილია რაღაც საქმეზე.

კაიუსი. მერე?

სიმპლი. ასეა, სწორედ ასეა, უნდა მეთხოვნა...

კუიკლი. გაჩუმდი, გეთაყვა.

კაიუსი. შენი ენა გაჩუმდა!.. შენი თქვი.

სიმპლი. ამ ქალბატონისათვის უნდა გვეთხოვნა, რომ ჩემი ბატონის სახელით მისს ენ პეიჯთან ორიოდე ტკბილი სიტყვა მიეტანა; რადგანაც ჩემს ბატონს მისს პეიჯის შერთვა სწადიან.

კუიკლი. დიახ, მართალია, სწორედ ასეა. მაგრამ აუტკივარი თავი რად ავიტკივო, რა ჩემი საქმეა.

კასიუსი. სერ ჰიუმ გაგიგზავნა? რაგბი, baillez<sup>[7]</sup> ქაგალდი. შენ ცოტა ქანს აქ მოითმინე. (წერს)

კუიკლი. მადლობა ღმერთს, არ აღელდა, თორემ მაშინ გენახათ ღრიალი და მალონხოლა. მაგრამ სულერთია, ყმაწვილო კაცო, რაც კი შემიძლია ყველაფერს გავაკეთებ შენი ბატონისათვის, ოღონდ მთელი უბედურება ისაა, რომ ამ ფრანგ ექიმს - ჩემს ბატონს - ჩემს ბატონს ვეძახი, რადგან ხომ ხედავთ, მასთან ვმუშაობ: სახლს ვულაგებ, ვურეცხავ, ვუუთოებ, ვუხარშავ, ვუცხოებ, ვასმევ, ვაჭმევ, ლოგინს ვუშლი და ყველაფერს ჩემი ხელით ვუკეთებ...

სიმპლი. ძალიან ძნელი საქმეა ერთი ხელისთვის ამდენი ჯაფა.

კუიკლი. ძნელი საქმეო! თქვენც ხომ ხედავთ ადრე ვდგები, გვიან ვიძინებ, მაგრამ - ეს ჩვენს შორის დარჩეს, - გასამხელად არ გეუბნები, ჩემს ბატონს თვითონვე უყვარს ენ პეიჯი; სულერთია, შიში ნურა გექნებათ რა, ვიცი რასაც ფიქრობს ენ პეიჯი; ზედაც არ უყურებს.

კაიუსი. აბა, მაიმუნო, ეს ცერილი სერ ჰიუს გადავესი; დუელში ვიცვევ: კელს გამოვჩერი, ბაგში; უნდა ვასწავლო მაგ არამზადა მაიმუნ ქუცესს, როგორი უნდა სქვის საქმეში ჩაერევი. ახლა, ცადი, აქ ნუგარ ზოზინებ - ისეთი გაკქადო, მაგლის საკბენი არ გამოდგეს.

(სიმპლი გადის)

კუიკლი. ცოდვაა, თავისთვის ხომ არ უნდა, მეგობრისთვის ზრუნავს!

კაიუსი. ეგ სულერთია: აქ შენ თვითონ მეუბნებოდა, ენ პეიჯი თქვენი იქნებო? ეშმაკმა დალაქვრა, მოგქლავ იმ არამზადა ქუცესს. სეკუნდანტად სასტუმროს პატრონი ავირჩიე. ეშმაკმა დალაქვრა, მე თვითონ გინდა ენ პეიჯი.

კუიკლი. ბატონო, იმ ქალს თქვენ უყვარხართ, მეტი რაღა გინდათ. რა ყურს უგდებთ ხალხის ლაქლაქს, რა გენაღვლებათ!

კაიუსი. რაგბი, ეზოში გამომკევი. ენ პეიჯი თუ ჩემი სოლი არ იქნები, თავს გეფიცები, კინცის კვრით გაგაგდე საქლიდან. ვერავის დავუთმობ ენის თავს! ფექებში მომკევი, რაგბი!

(გადიან კაიუსი და რაგბი)

კუიკლი. ენის თავი არა და ვირის გამოყეყეზებული თავი კი შეგრჩება მხრებზე! არ ვიცოდე მაინც, ენი რას ფიქრობს: მთელს უინძორში ჩემსავით ვერავინ იცნობს ენს. და მადლობა ღმერთს, ჩემს გარდა, სხვას არც არავის შეუძლია გავლენა იქონიოს მასზე.

ფენტონი. (გარედან) ჰეი, შინ ვინ არის?

კუიკლი. ნეტა ვინ უნდა იყოს? შემოდით, შემოდით, გეთაყვა.

(შემოდის ფენტონი)

ფენტონი. როგორ გიკითხვით, კეთილო ქალბატონო, როგორა ხართ?

კუიკლი. მით უფრო კარგადა ვარ, რომ თქვენი ბრწყინვალეობა ინებებს ამბის კითხვას.

ფენტონი. ახალს რას მეტყვით? მშვენიერი ენი როგორ არის?

კუიკლი. სწორედ რომ მშვენიერიც გახლავთ, ჩემო ბატონო, პატიოსანიცა და კეთილშობილიც. ამასთან, უნდა გითხრათ, მადლობა ღმერთს, თქვენს მიმართაც კეთილგანწყობილია.

ფენტონი. ჰა, გამოვა ვითომ ეგ საქმე? იმედი ვიქონიო? როგორა გგონიათ, უქმად არ ჩამივლის?

კუიკლი. ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ჩემო ბატონო. მაგრამ, თუნდა სახარებაზე დავიფიცებ, მისტერ ფენტონ, რომ ენს თქვენ უყვარხართ. აკი მეჭეჭი გაქვთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, თვალს ზემოთ!

ფენტონი. მეჭეჭი კი მაქვს, მაგრამ მერე რა?

კუიკლი. სწორედ მაქედან იწყება მთელი ამბავი; მართალი გითხრათ, მშვენიერი გოგოა, მაგისტანა პატიოსანი ქალი მეორე არ არის დუნიაზე. მთელი საათი ვლაპარაკობდით თქვენს მეჭეჭზე. მართო მასთან ვიცინი ხოლმე, სხვაგან არსად არ გავიცინებ! ოღონდ ესაა, ხშირად მოიწყენს და მალანხოლაში წავა. თქვენ მაინც ნურა გენაღვლებათ რა, ყოჩაღად იყავით.

ფენტონი. დღეს უნდა მოვინახულო. აჰა, ფული გამომართვი; სიტყვაც შემაწიე, ჩემზე ადრე თუ ნახო შემაქე.

კუიკლი. შემაქეო? გეფიცებით შეგაქებთ; მერე თქვენს მოწყალეობას მეჭეჭის ამბავსაც მოვახსენებ საიდუმლოდ, სხვა მთარშიყეების ამბავსაც გეტყვით.

ფენტონი. ახლა მშვიდობით, ძალიან მეჩქარება.

კუიკლი. მშვიდობა ნუ მოეშალოს თქვენს მოწყალეობას; (ფენტონი გადის) პატიოსანი კაცია, მაგრამ რა გინდა, ენს არ უყვარს. ჩემსავით ვინ იცნობს ენ პეიჯს?! ვაი, სირცხვილო! ეს რა დამავიწყდა?! (გადის)

## მოქმედება მეორე

სურათი პირველი. პეიჯის სახლთან

შემოდის მისის პეიჯი. ხელში წერილი უჭირავს

მისის პეიჯი. საოცარია, როცა სილამაზით ვცვაოდი, არავინ მაწუხებდა წერილებით, ახლა დაიწყეს?! ვნახო მაინც. (კითხულობს) „ნუ მკითხავ, რატომ მიყვარხარ: გონება მკურნალად გამოადგება სიყვარულს, მრჩევლად კი, ვერაფერი მრჩეველია. შენ უკვე აღარ ხარ ახალგაზრდა, არც მე ვარ ყმაწვილი კაცი. აჰა, მეტი რა გინდა? შესაფერი ვართ; შენ მხიარულება გიყვარს, მეც გულმხიარული კაცი ვარ! ჰა, ჰა, ჰა! ნამდვილად შესაფერებისეები ვართ: შენ ღვინის ყლაპვა გიყვარს, მეც კარგი მყლაპავი ვარ; მეტი შესაფერი გინდა? მისის პეიჯ, თუკი საერთოდ ჯარისკაცის ტრფობას შეუძლია ქალი დააკმაყოფილოს, მიიღე ჩემი სიყვარული. არ გეტყვი, შემიბრალე-მეთქი, ჯარისკაცს ასეთი სიტყვა არ შეჭვერის; მაგრამ შემეყვარე-მეთქი, ამას გიმეორებ.

შენი რაინდი, შენთვის გულმკვდარი,

გინდა დღე იყოს, გინდ ღამე, წყნარი

მუდამუამ იმის ნატვრაში არი,

რომ შენთვის შესძრას მთელი მთა-ბარი,

მტერს დაატეხოს მრისხანე ზარი.

ჯონ ფოლსტაფი.“



ისრაელთა იროდს დამიხედეთ<sup>[1]</sup>! ო, უკუღმართო, უკუღმართო წუთისოფელო! ერთი შეხედვით, დაჩაჩანაკებულ ბერიკაცს თავი მოხდენილ ჭაბუკად მოაქვს! ნეტა გაუფრთხილებელი სიტყვა ხომ არ დამცინცლა საუბარში ამ ფლამანდელმა ლოთმა, ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი! როგორ უტიფრადა მცდის?! სამჯერაც კი არ შევხვედივარ! რა უნდა მეთქვა ისეთი? ღმერთო, ნუ მიწყენ და ვცდილობდი ჩემი მხიარული გუნება არ გამომემჟღავნებინა. არა, უსათუოდ უნდა შევიტანო პარლამენტში საკითხი და მსუქანი კაცების სინსილა გავაწყვეტინო. როგორ ვიძიო შური? შურისძიების გრძნობით კი ისევე ვარ სავსე, როგორც მისი ნაწლავები ღვეზლებით.

(შემოდის მისის ფორდი)

მისის ფორდი. ოჰ, მისის პეიჯ, სწორედ შენთან მოვდიოდი.

მისის პეიჯი. მე კიდევ შენთან მოვდიოდი. თითქოს რაღაც უქეიფოდ ხარ.

მისის ფორდი. რას ამბობ, რა ბრძანებაა, ახლავე დაგარწმუნებ, რომ ძალიანაც მხიარულადა ვარ.

მისის პეიჯი. რა ვქნა, თუკი ასე მეჩვენები.

მისის ფორდი. შეიძლება, მაგრამ ხომ გეუბნები, ახლავე დაგარწმუნებ-მეთქი, რომ გახარებული ვარ. ო, მისის პეიჯ, მირჩიე, როგორ მოვიქცე.

მისის პეიჯი. რა მოგივიდა, ქალო?

მისის ფორდი. ჰოი, რა პატივს ვეწეოდი, ერთი პატარა რაღაც რომ არ მიშლიდეს ხელს.

მისის პეიჯი, „პატარა რაღაც“ ჯანდაბას გაუშვი და იმ პატივს ჩასჭიდე ხელი! მაგრამ „პატარა რაღაც“ იქით იყოს და რა მოხდა?

მისის ფორდი. წამიერი ცოდვებისათვის ჯოჯოხეთში ჩავარდნისა რომ არ მეშინოდეს, რაინდის წოდებას მივიღებდი.

მისის პეიჯი. როგორ? ალბათ მატყუებ! სერ ელის ფორდი! ეს რაინდები ისე მომრავლდნენ, რომ... ისევ ისა ჯობს, შენი წოდება შეინარჩუნო.

მისის ფორდი. რაღა ღობე-ყორეს ვედები. ბარემ პირდაპირ გითხრა! აჰა, წაიკითხე და ხელად გაიგებ, რანაირად ვლებულობ რაინდის წოდებას. მანამ ჩემს თვალებს კარგისა და ავის გარჩევა შეუძლია, კარგს არაფერს ვიფიქრებ მსუქან მამაკაცებზე. თუმცა ერთხელაც არ შეუგინია, ქალის კდემამოსილებას აქებდა, ისე ბრძნულად და წესიერად გამობდა ხოლმე ყოველგვარ უხამსობას, რომ შემეძლო დამეფიცა მისი სიტყვა და საქმე ერთია-მეთქი; სინამდვილეში თურმე ისე ეთვისება ერთმანეთს მისი სიტყვა და საქმე, როგორც ასი ფსალმუნის „მწვანე სახელოს“ სიმღერას<sup>[2]</sup>. ნეტა რა ქარიშხალმა გამორიყა უინძორში ეს ქონის კასრებით მუცელგამოტენილი ვეშაპი? აჰ, როგორ ვიძიო შური? მგონი აჯობებს იმედი არ მოვუშალო, მანამ ავხორცობის წყეული ცეცხლი თავისივე ქონში არ გაადნობს. არა, გაგონილა ასეთი რამე?

მისის პეიჯი. სიტყვა-სიტყვით იგივეა, მხოლოდ სახელებია შეცვლილი: იქ ფორდი წერია, აქ პეიჯი. შენდა სანუგეშოდ, ამ ბილწ საიდუმლოებაში რომ გაგარკვიო, აი მაგ წერილის ტყუპი ძმა. ოღონდ მემკვიდრეობის უპირატესობას შენსას ვანიჭებ, რადგან ჩემი არასოდეს არ მიიღებს. მერწმუნე, რომ ათასი ამისთანა წერილი აქვს გამზადებული: პირველი ბწკარი შეუვსები იქნება, სახელის ადგილი, ასეთი სახელები კიდევ უფრო მეტი ექნება. ეს, ალბათ, მეორე გამოცემაა. უსათუოდ დაბეჭდავს ამ წერილებს. მისთვის ხომ სულ ერთია, რას ჩაყრის, საბეჭდ დაზგაში აკი ორივე ერთად შეგვყარა. ჯობდა გოლიათი ვყოფილიყავ და პელიონის ძირში ვწოლილიყავ<sup>[3]</sup>. ეჰ, ოცი ავხორცი გვრიტის პოვნა უფრო ადვილია, ვიდრე ერთი წესიერი მამაკაცისა.

მისის ფორდი. ერთი შეხედვით, იგივე ხელი, იგივე სიტყვები. ნეტა ვიცოდე, ვინა ვგონივართ!

მისის პეიჯი. აღარ ვიცი რა ვიფიქრო: ლამის ჩემს პატიოსნებაშიც ეჭვი შემეპაროს. ასე მგონია, ვიღაც სხვა ვარ-მეთქი. არა, თუკი რაიმე ისეთი სისუსტე არ შემნიშნა, მე თვითონაც რომ არ შემინიშნავს საკუთარი თავისთვის, როგორღა გაბედავდა ასე გაცოფებით შემოტოპვას?!  
მისის ფორდი. შემოტოპვასო, შენ ამბობ? თუ ასეა, ჩემს გემბანზე ამოსვლას ვერ ეღირსება.

მისის პეიჯი. ვერც ჩემსაზე ამოვა! და თუ მაინც მოახერხა ჩემს გემბანქვეშ შემოდრომა, მაშინ სულაც აღარ გავალ საცურაოდ ზღვაში. მოდი ერთი და შური ვიძიოთ - პაემანი დავეუნიშნოთ, ისე ვაჩვენოთ თავი, თითქოს მართლაც თანავუგრძნობდეთ, მანამ ვატყუილოთ, ვიდრე თავის ცხენებს არ დააგირავებს „წვივისაკრავის“ პატრონთან.

მისის ფორდი. მე კი თანახმა ვარ, ყოველგვარი სისაძაგლე მოვუწყო, ოღონდ ფრთხილად, რომ ჩვენი პატიოსნება არ შეიზღალოს. ჰოი, ჩემმა ქმარმა რომ ნახოს ეს წერილი! მთელი სიცოცხლე ეყოფა ეჭვიანობის საბაზად.

მისის პეიჯი. აჰა, ისიც გამოჩნდა. ჩემი კეთილი ქმარიც მოდის. იგი ისევე შორსაა ეჭვიანობისაგან, როგორც მე მისთვის ეჭვის საბაზის მიცემისაგან. იმედი მაქვს, იმოდენაა ეს მანძილი, რომ ვერც კი გაზომავ.

მისის ფორდი. ეჰ, რა ბედნიერი ხარ!

მისის პეიჯი. ახლა კი ერთად მოვიფიქროთ რაიმე ოინი იმ ქონით გაბერილი რაინდის წინააღმდეგ. წამოდი.

(გადიან. შემოდიან ფორდი, პისტოლი, პეიჯი და ნიმი)

ფორდი. არა, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ასე არ იქნება.

პისტოლი. იმედი ზოგჯერ სანადიროდ უვარგის კუდაჭრილ ძაღლსა ჰგავს. სერ ჯონი შენს ცოლს ეარშიყება.

ფორდი. რასა ბრძანებთ, ბატონო, ჩემი ცოლი ხომ ახალგაზრდა აღარაა!

პისტოლი. ის ყველას ეტრფის - მოხუცსაც და ახალგაზრდასაც, ღარიბს და მდიდარს, მდაბალსა და სიმაღლით განთქმულს, ნარევი უყვარს, ფორდ, გახსოვდეს ჩემი სიტყვები.

ფორდი. ჰა, ჩემს ცოლს ეტრფის?

პისტოლი. ტრფობით ლამის ღვიძლი დაეწვას. გაფრთხილდი, თორემ ძალი დაგგლეჯს აკტეონივით<sup>[4]</sup>. ო, რა ბილწია ეს სახელი!

ფორდი. რა სახელს ამბობ?

პისტოლი. რქოსანი-მეთქი. აწ მშვიდობით, უნდა წავიდე;

თვალს ნუ მოხუჭავ, ფრთხილად, ქურდი ღამ-ღამე დაძრწის.

ახლავ გაფრთხილდი, ვიდრე გუგულს დაუძახნია.

აბა, წავიდეთ, კაპრალი ნიმ. პეიჯ, ერწმუნე -

რაც მაგან გითხრა, მართალია.

(გადის)

ფორდი. ჯობს მოვითმინო. ჯერ ყველაფერი კარგად უნდა გამოვარკვიო.

ნიმი. (პეიჯს) მართალს ამბობს, ტყუილი როდი მიყვარს. ფოლსტაფმა მაწყენინა; სატრფიალო წერილის გატანება სურდა, მაგრამ მე ხმალი მკიდია და, თუ საჭირო გახდა, მწარედაც იჩხვლიტება ეს ხმალი. ფოლსტაფს თქვენი ცოლი უყვარს - აი, ეს გახლავთ ამ ამბის თავი და ბოლო. მე კაპრალი ნიმი ვარ და, რასაც ვამბობ, მერწმუნეთ, სრული სიმართლეა - მე ნიმი მქვია! გეუბნებით, რომ ფოლსტაფი თქვენს ცოლს ეკურკურება. მშვიდობით. პურ-მარილისთვის კაცს არ გავყიდი! მამა, ასეთი ბიჭი ვარ! მშვიდობით. (გადის)

პეიჯი. „ასეთი ბიჭი ვარ!“ ძალიან კი ტრაბახობს!

ფორდი. წავალ, ფოლსტაფს მოვინახავ.

პეიჯი. ასეთი ენაბლიყინა და თაღლითი ჯერ არავინ მინახავს.

ფორდი. ერთი ეს მართალი აღმოჩნდეს და მერე მე ვიცი!

პეიჯი. ამ ბაცაცს მაინც არ ვენდობი, თუნდა ქალაქის მოძღვარმა ამტკიცოს, მართალი კაციაო.

ფორდი. რატომ, კარგი, მგრძნობიარე ყმაწვილი ჩანს, კეთილი!

(შემოდიან მისის პეიჯი და მისის ფორდი)

პეიჯი. შენც აქა ხარ, მეგ?

მისის პეიჯი. საით მიდიხარ, ჯორჯ? გამიგონე.

მისის ფორდი. რა მოგივიდა, ჩემო ტკბილო ფრენკ, რატომ მოგიწყენია?

ფორდი. მოგიწყენიაო? სულაც არა ვარ მოწყენილი. წადი, შინ წადი.

მისის ფორდი. რაღაცამ მოგიხუსტურა, გეტყობა. წამოხვალ, მისის პეიჯ?

მისის პეიჯი. ახლავე გახლები. ჯორჯ, სადილად არ მოხვალ? (მისის ფორდს გადაულაპარაკებს) ხედავ, ვინ მოდის? ეს გამოგვადგება ჩვენს უბადრუკ რაინდთან.



მისის ფორდი. (ჩუმად გადაულაპარაკებს მისის პეიჯს) მეც მაგაზე ვფიქრობდი ახლა, დამერწმუნე. სწორედ ზედგამოჭრილია ამ საქმისათვის.

(შემოდის მისის კუიკლი)

მისის პეიჯი. ჩემს ქალთან მოხვედით, ალბათ?

მისის კუიკლი. დიახ, თქვენს ქალთან გახლავართ. როგორ ბრძანდება მშვენიერი ენი?

მისის პეიჯი. გამოგვევით და ნახეთ. თან რაღაც უნდა გითხრათ, ერთი საათით წავიმუსაიფოთ.

(გადიან მისის პეიჯი, მისის ფორდი და მისის კუიკლი)

პეიჯი. რას იტყვით, მისტერ ფორდ?

ფორდი. გაიგონეთ, რა მითხრა იმ არამზადამ? არა, გაიგონეთ?

პეიჯი. როგორ არა. მაგრამ ისიც თუ გაიგონეთ, მეორე არამზადამ მე რა მითხრა?

ფორდი. როგორ გგონიათ, მართალს ამბობენ?

პეიჯი. ჯანდაბას მაგ უღირსი მონების თავი! არა მგონია ეს ფოლსტაფის საქმე იყოს. ბოლოს და ბოლოს, ვინ სწამებს ცილს - მისივე ყოფილი მონები. ახლა რაკი დაითხოვა და უსამსახუროდ დატოვა, გამწარდნენ და ყოველნაირად თაღლითობენ.

ფორდი. როგორ, ესენი ფოლსტაფს ემსახურებოდნენ?

პეიჯი. მაშა.

ფორდი. სულ ერთია, ჩემთვის მაინც ვერაფერი ნუგეშია. „წვივსაკრავში“ ცხოვრობს?

პეიჯი. ჰო, იქა ცხოვრობს. მაგრამ თუ მართლა განუზრახავს ჩემს ცოლთან მიცოცება, ავდგები და თვითონ ცოლს მივუშვებ მასზე; თუ ჩემი ცოლისაგან მწარე სიტყვების გარდა რამე მიიღოს, მაშინ მართლაც ჯანდაბას ჩემი თავი.

ფორდი. არც მე ვეჭვიანობ ცოლზე, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა, მასთან მიშვებას მაინც ვერ გავბედავ, ზოგჯერ კაცი მეტისმეტ ნდობას იჩენს ხოლმე. ჯანდაბას ვერ გავგზავნი ჩემ თავს. არა, ამით ვერ დავმშვიდდები.

პეიჯი. აგერ, ჩვენი სასტუმროს პატრონიც; ისე მხიარულია, რომ უთუოდ ან არაყი აქვს თავში, ან ფული ქისაში. (შემოდის სასტუმროს პატრონი) როგორა ხარ, მეგობარო?

სასტუმროს პატრონი. სად დაიკარგე, თაღლითო? აზნაური არა ხარ?! ჰეი, კავალერო მსაჯულო!

(შემოდის შელოუ)

შელოუ. აჰა, მოგვეები, მოგდევ, კაცო. ოცჯერ მშვიდობა და კარგად ყოფნა, კეთილო მისტერ პეიჯ. არ გამოგვევები, მისტერ პეიჯ? სეირს გაყურებინებთ.

სასტუმროს პატრონი. უთხარი, კავალერო მსაჯულო, უთხარი, ჩხუბისთავო.

შელოუ. ჩემო ბატონო, დუელია, დუელი უელსელ მოძღვარ სერ ჰიუსა და ფრანგ ექიმ კაიუსს დუელი აქვთ.

ფორდი. ჩემო კეთილო სასტუმროს პატრონო, სიტყვა მაქვს თქვენთან.

სასტუმროს პატრონი. მითხარი, ჩხუბისთავო. (გვერდზე მიდგებიან)

შელოუ. (პეიჯს მიმართავს) არ გამოგვევები? არ ნახავ? ჩემი მხიარული სასტუმროს პატრონი სეკუნდანტია, იარაღების გასასინჯად აირჩიეს მაგრამ, როგორც ვიცი, მან სხვადასხვა ადგილას დაიბარა მოჩხუბრები. ხომ იცი, მღვდელს ხუმრობა არ უყვარსო, ამბობენ. ახლა მომყევი და გეტყვი, რა ოინს ვამზადებთ. (გვერდზე მიდგებიან)

სასტუმროს პატრონი. სარჩელი ხომ არაფერი გაქვს ჩემს სტუმარ რაინდ კავალერის წინააღმდეგ?

ფორდი. არავითარი. მაგრამ ერთი ბოთლი კარგად დადუღებული ღვინო ჩემზე იყოს, ოღონდ ფოლსტაფს შემახვედრე და ჩემი თავი ბრაკად გააცან<sup>[5]</sup>. ეს ისე, სალალობოდ.

სასტუმროს პატრონი. ასე იყოს, დაჰკა ხელი, ჩხუბისთავო. მაშ, შენი სახელი იქნება ბრაკი. როცა გინდოდეს, შებრაკუნდი, როცა გინდოდეს, გამობრაკუნდი. კარგა არა ვთქვი? ო, რა მხიარული რაინდია! არ წამოხვალთ, ბატონებო?

შელოუ. მზად გახლავართ, ჩემო მეგობარო.

პეიჯი. გამიგონია, ფრანგი ხმალს მარჯვედ ხმარობსო.

შელოუ. ეჰ, ეგ რა მოსატანია, თქვენ ჩემი უნდა გენახათ. ეს ახლა შემოიღეს მანძილის და წონასწორობის დაცვა, სტოკატა და რა ვიცი, ათასი ჯანდაბა და დოზანა. მთავარი გულია, მისტერ

პეიჯ, გული, აი, აქა, აქ. მე უნდა გენახეთ ჩემი გრძელი ხმლით ოთხ თქვენისთანა მოხდენილ ვაჟკაცს სულ ვირთავებზეთ ავახტუნებდი.

სასტუმროს პატრონი. მომყეთ, ყმაწვილებო, მომყეთ. აბა, დავიდრათ.

პეიჯი. მეც მოვდივარ. იმათი ლანძღვა-გინების მოსმენა უფრო მაინტერესებს, ვიდრე ჩხუბისა.

(გადიან სასტუმროს პატრონი, შელოუ და პეიჯი)

ფორდი. პეიჯი სულელია, თავდაჯერებული. დიდი ნდობა აქვს ცოლისა. მე კი ასე ადვილად ვერავინ შემაცვლევინებს აზრს. პეიჯის სახლში შეხვდა ფოლსტაფს! ვინ იცის, იქ რა მოიმოქმედეს! არა, მე ჩემსას გავაკეთებ. გადავიცვამ და ფოლსტაფს ყველაფერს დავტყუებ. თუ ჩემი ცოლი პატიოსანი აღმოჩნდა, ხომ კარგი, ცუდად არ ჩამივლის შრომა; თუ არ აღმოჩნდა პატიოსანი, მაინც ანაზღაურებული იქნება ჩემი გარჯა.

(გადის)

სურათი მეორე

სასტუმრო „წვივსაკრავი“

შემოდინ ფოლსტაფი და პისტოლი

ფოლსტაფი. არა, ერთ პენსაც არ გაღირსებ.

პისტოლი. ქვეყანა ჩემთვის მაშ ხამანწკად გადაქცეულა და ხმლით უნდა მოვიპოვო, ასე გამოდის!

ფოლსტაფი. ერთ პენსაც არ მიიღებ. მეყო თქვენგან. ბევრჯერ აგილიათ ჩემი სახელით ვალი, სამჯერ გავაგრძელებინე გადახდის ვადა ჩემს საუკეთესო მეგობრებს, თორემ შენცა და შენი ავანჩავანი ნიმიც გალიაში იქნებოდით გამოკეტილი, ტყუპი მაიმუნებით. ჯოჯოხეთში ჩასაგდებად გამიწირავს თავი და ცრუ ფიცი მითქვამს მეგობარ აზნაურებისთვის - კარგი, გულადი ჯარისკაცები არიან-მეთქი; ხოლო მისის ბრიჯეტმა რომ მარაოს ტარი დაკარგა, სინდისი დავიფიცე, პისტოლს არ მოუპარავს-მეთქი.

პისტოლი. შენც ხომ გაგინაწილე? აკი შენც გერგო თხუთმეტი პენი!

ფოლსტაფი. მაშ, როგორ გინდოდა, გაიძვერა? თვითონვე დაუფიქრდი, რას ლაპარაკობ! მუქთად ხომ არ წავიწყებდდი სულს? რა გინდა, რას ჩამომეკიდე, შენი სახრჩობელა გგონივარ? გამეცალე, წადი. შენი საქმეა ჯიბის დანა და ერთად თავშეყრილი ხალხი. წადი შენს პიკეტის მამულში<sup>[1]</sup>. გამეცალე. წერილის წაღება არ ინებეთ ხომ, გაიძვერა? აჰ, როგორ იქნება, სინდისმა არ მოგცა! აი შე უძირო სიმდაბლევ! შენ კი არა, ზოგჯერ მეც მიჭირს სინდისიერად მოქცევა! ხანდახან მეც, მე თვითონ, ღვთის შიშს ვეპუები, სინდისს საჭიროების საბურველში გავახვევ ხოლმე და იძულებული ვხდები ვიყალთაბანდო, ვითვალთმაქცო, ქურდით გავძვერე-გამოვძვერე. შენ კი, თაღლითო, სინდისის საფარქვეშ გინდა დამალო შენი დაკონკილი ჩვრები, კატასავით დაჭყეტილი თვალები, მიკიტნის სიტყვა-პასუხი - უტიფარი ლანძღვა-გინება! ასეთი კაცი მეუბნები უარს?!

პისტოლი. მიტომაც ვნანობ ახლა: მეტი რაღა გინდა?

ფოლსტაფი. მორჩა, წადი, გამეცალე, გამშორდი.

(შემოდის რობინი)

რობინი. ბატონო, ვიღაც ქალს თქვენი ნახვა სურს.

ფოლსტაფი. შემოვიდეს.

(შემოდის მისის კუიკლი)

კუიკლი. მშვიდობის დილას ვუსურვებ თქვენს ბრწყინვალეობას.

ფოლსტაფი. დილა მშვიდობისა, კარგო მანდილოსანო.

კუიკლი. ასე ნუ მომმართავს თქვენი ბრწყინვალეობა.

ფოლსტაფი. მაშ, კარგო ქალიშვილო.

კუიკლი. თავი ნუ მომიკვდება, ისეთივე ვარ, როგორც დედაჩემი იყო ჩემი დაბადების დროს.

ფოლსტაფი. მჯერა თქვენი ფიცისა. ჩემთან რა საქმე გქონდათ?

კუიკლი. ნებას მიბოძებს თქვენი ბრწყინვალეობა, ორი სიტყვა მოვახსენო?

ფოლსტაფი. ორი ათასი იყოს, ტურფა ქალო, სიამოვნებით მოგისმენ.

კუიკლი. ერთი მისის ფორდი გახლავთ, ბატონო... ცოტა იქით მივდგეთ, თუ შეიძლება. მე თვითონ მისტერ კაიუსთანა ვცხოვრობ, ექიმთან...

ფოლსტაფი. მერე, მერე, განაგრძეთ. მისის ფორდიო, ასე თქვით არა?

კუიკლი. დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, სწორად ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ. თუ შეიძლება ცოტა იქით მივდგეთ.

ფოლსტაფი. ფიქრი ნუ გაქვთ, არავინ გვისმენს - აქ ჩემი ხალხია, სულ ჩემი ხალხი.

კუიკლი. მაშ ღვთის კურთხევა ნუ მოკლებოდეთ და ღვთისმოსაობა ნუ მოშლოდეთ!

ფოლსტაფი. ჰო, რაო, მისის ფორდიო? მერე, მერე?

კუიკლი. ოჰ, ჩემო ბატონო, რა სათნო ქმნილებაა! ღმერთო, ღმერთო! თქვენო ბრწყინვალეზავ, კაი მუსუსი ბრძანდებით! ღმერთმა შეგინდოთ, ყველას შეგვინდოს ღმერთმა!

ფოლსტაფი. მისის ფორდი! ახლა მისის ფორდი.

კუიკლი. ჰო, ამ ამბის თავი და ბოლო ეს გახლავთ. რა საშინლად ააფორიაქეთ! ყველაზე წარჩინებული უინძორელი კარისკაციც კი ვერ შესძლებდა იმის ასე ააფორიაქებას. მერე რამდენი რაინდი, ლორდი და თავადია მათ შორის, რომელთაც საკუთარი კარეტები აქვთ. დამერწმუნეთ, კარეტა კარეტაზე მოდიოდა, წერილი წერილზე, ნობათი ნობათზე. მერე როგორი სურნელოვანი!.. სულ მუშკის სუნი ასდიოდა, ოქროსა და აბრეშუმს ჩხრიალი და შარიშური გაჰქონდა, ტკბილ სიტყვებს ნულარ იკითხავთ! რა ღვინო ვარო, რა შაქარი ვარო, უკეთესი და უმშვენიერესი მთელს ქვეყანაზე, ვერც ერთი ქალის გული ვერ გაუძლებდა; მაგისგან კი, მენდეთ, თვალის ჩაკვრასაც ვერ ეღირსნენ. მეც შემომთავაზეს ამ დილას ოცი ანგელოზ-გამოსახული ოქრო, მაგრამ რად მინდა ასეთი ფული - მე პატიოსნებით მონაგარი ფული მწამს... ჰო, დამიჯერეთ-მეთქი, რომ პირიც კი არ დაუკარებია ყველაზე უფრო წარჩინებული ვაჟბატონის მორთმეული ღვინისთვის. მერე რა ხალხი იყო! ლორდებიც ერია მათში, უფრო ზევით-ზევითაც უმდიდრესი კარისკაცებიც, მაგრამ მისთვის ყველა ერთია.

ფოლსტაფი. ჩემთან რა დაგაბარა, ჩემთან? მოკლედ მითხარი, ჩემო მანდილოსანო მერკურო<sup>[2]</sup>.

კუიკლი. მიიღო თქვენი წერილი და ათას მადლს გიძღვნი, თან შემოგიტვალათ, ათიდან თერთმეტამდე ჩემი ქმარი შინ არ იქნებაო.

ფოლსტაფი. ათიდან თერთმეტამდე?

კუიკლი. დიახ, ნამდვილად ასე თქვა. მობრძანდით და იმ სურათს გაჩვენებთ, თქვენ რომ გაინტერესებთო. მისტერ ფორდი, ქმარი, შინ არ იქნება. ეჰ, რა ბედნიერება უნდა იგრძნოს მასთან ტკბილმა ქალბატონმა?! მეტისმეტად ეჭვიანი კაცია; საბრალო ქალს პირდაპირ მოსვენება არა აქვს.

ფოლსტაფი. ათიდან თერთმეტამდე!.. მომიკითხე და თან უთხარი, უთუოდ მოვა-თქო.

კუიკლი. კეთილი, კარგად ბრძანებთ. ახლა სხვა საქმეცა მაქვს თქვენს ბრწყინვალეზავსთან. მისის პეიჯიც გულითად სალამს გიძღვნის ბატონო. თანაც - ამას ყურში გეტყვით - ისეთი სათნო და კვდომამოსილია, ისეთი, რომ მთელს უინძორში მხოლოდ ეგ ერთი ქალი არ გამოსტოვებს არც მწუხრის, არც ცისკრის წირვა-ლოცვას. ასე შემოუთვალა თქვენს ბრწყინვალეზავს, ჩემი ქმარი შინიდან იშვიათად გადისო, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, როცა იქნება, დროს ვიხელთებო. ჯერ არ მინახავს, ქალი ასე გაგიჟებულიყოს მამაკაცისთვის. უთუოდ ჯადოს ხმარობთ, ჰა? ხომ მართალს ვამბობ?

ფოლსტაფი. ეჰ, არა, მერწმუნე. ჩემი მომაჯადოებელი ღირსებების გარდა არავითარ ჯადოს არა ვხმარობ.

კუიკლი. მაშ ღმერთმა გადღეგრძელოთ.

ფოლსტაფი. ახლა ესეც მითხარი, ფორდის და პეიჯის ცოლებმა ერთმანეთს ხომ არ გაუმხილეს თავიანთი სიყვარულის ამბავი?

კუიკლი. ოი, რა სეირი იქნებოდა! ასე უღირსნი როდი არიან. მართლაც რა ოინი იქნებოდა! ჰო, მისის პეიჯმა შემოგიტვალათ, თქვენი პატარა ფარეში გამომიგზავნეთო, მის ქმარს რაღაც საოცარი სიმპოტიკა აქვს პატარა ფარეშისა. მართალი თუ გინდათ, მისტერ პეიჯი პატიოსანი კაცია. მთელს უინძორში არც ერთი ცოლი არა ცხოვრობს მისის პეიჯზე უკეთ: რაც უნდა იმას გააკეთებს, რასაც უნდა იტყვის, რასაც უნდა იყიდის, როცა უნდა დაწვება, როცა უნდა ადგება - თავის ნებაზეა მიშვებული. ღირსიც არის. თუკია ვინმე უინძორში კვდომამოსილი ქალი, ეს მისის პეიჯია. უნდა გაუგზავნოთ თქვენი ფარეში, მეტი რა ჩარაა.

ფოლსტაფი. რატომაც არა, გავუგზავნი.

კუიკლი. მამ ასე, გაუგზავნეთ; ვინ იცის, იქნებ შუამავლადაც გამოგადგეთ. ყოველ შემთხვევისათვის, მაინც გამოიგონეთ სანიშნო სიტყვები, ისე, რომ თქვენ ყველაფერი გაუგოთ ერთმანეთს, ბიჭი კი ვერაფერს ხვდებოდეს. ხომ იცით, ზავშვებს თვალთმაქცობა არ უნდა აჩვენოთ; ხანდაზმულ ხალხს, ეს თქვენც მოგესხენებათ, თვითონვე აქვთ საჭირო სიფრთხილე და კარგი და ავი ესმითო, ამბობენ!

ფოლსტაფი. მშვიდობით, სალამი ჩემგან ორივეს. აჰა, ქისა და დანარჩენიც ჩემზე იყოს. აბა, ბიჭო, ეს მანდილოსანი გააცილე. (გადიან მისის კუიკლი და რობინი) თავგზა ამიბნია ამ ამბავმა.

პისტოლი. მამ ეს როსკიპი კუპიდონის მოგზავნილია?

აუშვი აფრა, დაედევნე, ესროლე ჩქარა!

მე ვიღებ ნადავლს თუ არა და, ზღვამ შთანთქას ყველა.

(გადის)

ფოლსტაფი. ჰა, ასეა საქმე, ბებერო ჯეკ?! მიდი, მიდი, მიჰყე! რა დრო დამიდგა! ახლა ჩემმა დაჩაჩანაკებულმა სხეულმა იმაზე მეტი უნდა მომაგებინოს, ვიდრე ოდესმე მიმიღია. ჰა, კიდევ მოსწონხართ? აქამდე ამდენ ფულს ხეთქავდი, ახლა კი მოხვეჭა დაიწყე? მადლობელი ვარ, ჩემო კარგო ღიპო. რამდენიც უნდათ, იყბედონ ულაზათოაო; საქმე ისაა, მაგარი იყო.

(შემოდის ბარდოლფი, ხელში ღვინით სავსე თასი უჭირავს)

ბარდოლფი. სერ ჯონ, ვილაც მისტერ ბრაკი იცდის ქვემოთ, ძალიან უნდა თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი. თან დილით ცოტაოდენი ღვინო მოართვა თქვენს ბრწყინვალეებს.

ფოლსტაფი. ბრაკი ჰქვიან?

ბარდოლფი. დიახ სერ.

ფოლსტაფი. შემოვიდეს. (ბარდოლფი გადის) სიამოვნებით მივიღებ ყველა მისტერ ბრაკებს, თუკი ასეთ მშვენიერ სიტხეს ჩამირაკრავებს. ჰა, მისის ფორდ და მისის პეიჯ, ხომ მიგჩიხეთ. მამ ასე, მიდი! via.

(შემოდის ბარდოლფი და გადაცმული ფორდი)

ფორდი. ღმერთმა გადღეგრძელოთ, ბატონო.

ფოლსტაფი. ასევე თქვენც, ჩემო ბატონო. ჩემთან საუბარი გნებავდათ?

ფორდი. ისე გავკადნიერდი, რომ მოუბოდიშებლად გეახელით.

ფოლსტაფი. სიამოვნებით მოგისმენთ. რა გნებავდათ? მართო დაგვტოვე, ბიჭო.

(ბარდოლფი გადის)

ფორდი. სერ, მე ბევრი ფული გამიფლანგავს ცხოვრებაში. ჩემი სახელია ბრაკი.

ფოლსტაფი. კეთილო მისტერ ბრაკ, გულით მწადიან, უფრო ახლოს გაგიცნოთ.

ფორდი. მეც მაგის მოსურნე ვარ, კეთილო სერ ჯონ. ოღონდ არ გეგონოთ ტვირთად აკიდება მინდოდეს; უნდა მოგახსენოთ, რომ, მგონი თქვენზე მეტი შეძლების პატრონი ვარ, მეტი ფულის გაცემა შემიძლია. სწორედ ამან გამაბედვინა, ასე უდროო დროს შემეწუხებინეთ: ხომ გაგიგონიათ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო!

ფოლსტაფი. ფული კარგი ჯარისკაცია, ბატონო ჩემო, ყველგან უშიშრად მიდის.

ფორდი. ჭეშმარიტად. ჰოდა, მთელი ერთი ტომარა ფული მაქვს და მაწუხებს. იქნება ტარება მიშველოთ, სერ ჯონ. სულ თქვენი იყოს, გინდა ნახევარი, წაიღეთ, შემიმსუბუქეთ ტვირთი.

ფოლსტაფი. რომ არ ვიცი, სერ, როგორ გავხდე თქვენი მეკურტნეობის ღირსი!

ფორდი. ამას ახლავე მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, თუ მომისმენთ.

ფოლსტაფი. ბრძანეთ, კეთილო მისტერ ბრაკ. მოხარული დავრჩები, თუკი შემეძლება თქვენი სამსახური!

ფორდი. ყველაფერს მოკლედ მოგახსენებთ. როგორც ვიცი, თქვენ სწავლული ბრძანდებით, ჩემო ბატონო. დიდი ხანია შორიდან გიცნობთ, მაგრამ დღემდე არ მომეცა ახლოს გაცნობის ხელსაყრელი შემთხვევა, თუმცა ამისი დიდი სურვილი მქონდა. მინდა ერთი ჩემი ცოდვა გაგანდოთ. მაგრამ, კეთილო სერ ჯონ, ცალი თვალით რომ ჩემს სისუსტეს გადმოხედავთ, მეორე თვალი თქვენს საკუთარსაც გადაავლეთ; მაშინ მიხვდებით, რომ ასეთი ცოდვა ადვილი მისატყვებელია, და მეც იმდენად აღარ გამკიცხავთ.

ფოლსტაფი. კეთილი, ბატონო, განაგრძეთ.

ფორდი. ერთი მანდილოსანი გახლავთ ჩვენს ქალაქში, მის ქმარს ფორდი ჰქვიან.

ფოლსტაფი. დიახ, დიახ, ბატონო.

ფორდი. დიდი ხანია ვეტრფი იმ ქალს, და უნდა გამოგიტყდეთ, ბევრიც დავახარჯე. გაგიჟებული დავდევი ყველგან, მასთან შესახვედრად ხელსაყრელ შემთხვევას ვეძებდი, მისთვის უბრალოდ თვალის შესავლებადაც კი ფულს არ ვზოგავდი; მართო იმ ქალისათვის კი არ ვყიდულობდი უთვალავ საჩუქრებს, იმათზედაც ბლომად ვხარჯავდი, ვინც მეტყოდა ესა და ეს საჩუქარი უფრო გაახარებსო. ერთი სიტყვით, სიყვარული მე არ მამლევედა მოსვენებას, მე კი იმ ქალს; ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას ფრთებზე მოვახტებოდი. მაგრამ რა გამოვიდა? ჩემი გრძნობებისა და წვალების ჯილდოდ რა მივიღე? არაფერი, თუკი გამოცდილებას არ ჩავთვლით ძვირფას მარგალიტად, რომელიც საზღაპრო ფასად დამიჯდა და რომელმაც აი, ეს სიბრძნე მასწავლა:

სიყვარული ჩრდილსა ჰგავს უსმინე ამ ცნებას,

მისდევე - გაგირბის და გაყენებს ვნებას,

მაგრამ თუ გაექეცი, თვითონვე დაგედევნება.

ფოლსტაფი. ერთხელაც არ დაგაიმედათ?

ფორდი. არასოდეს.

ფოლსტაფი. მერე, თავიც არ მოაბეზრეთ ასეთი იმედის მისაღებად?

ფორდი. არა.

ფოლსტაფი. ეს რას ჰგავს, რა სიყვარულია?

ფორდი. ეს ჰგავს სხვის მიწაზე აგებულ კოხტა სახლს. რაკი ადგილი შეცდომით ავირჩიე, შენობაც დავეკარგე.

ფოლსტაფი. მე რატომღა გამანდეთ თქვენი გულისპასუხი?

ფორდი. მოგახსენეთ და ამით ყველაფერი გაგაგებინეთ. როგორც მითხრეს, ის ქალი თურმე მე მაჩვენებს თავს პატიოსნად, თორემ სხვაგან გულგაშლილად ლაღობს და კაი გაქნილი ვინმეც ბრძანდება. ახლა, სერ ჯონ, აი რა არის ჩემი განზრახვის ნამდვილი არსი: თქვენ ჩინებულად აღზრდილი ჯენტლმენი ბრძანდებით - მქვერმეტყველი, დიდად მიღებული, თქვენი მდგომარეობითა და პიროვნებით ყველასთვის სანუკვარი, საქვეყნოდ განთქმული მხედრული ღვაწლით, კარისკაცული სიქველთა და განსწავლულობით...

ფოლსტაფი. ო, სერ!

ფორდი. მერწმუნეთ ასეა - ეს ხომ თვითონვე მოგეხსენებათ. აჰა, ფული! დახარჯეთ, დახარჯეთ, კიდევ დახარჯეთ; თუნდა სულ გაფლანგეთ, ოღონდ სამაგიეროდ მეც მაჩუქეთ ცოტაოდენი დრო და ჩიხში მოიძწყვდიეთ იმ ფორდის ცოლის პატიოსნება. გამოიყენეთ მთელი თქვენი ხელოვნება აშიკობისა. დაიპყარით: ბოლოს და ბოლოს, თუკი ვინმეს შეუძლია მისი დაპყრობა, თქვენ ხომ მით უფრო!

ფოლსტაფი. მერედა, მე რომ დავიპყრა ის, ვისი დაპყრობა თქვენ თვითონვე გწადიათ, ამით ვითომ დაგვიამდებათ აგზნებული გრძნობები? მე მგონი, ძალიან უცნაური წამალი გამოგიწერიათ.

ფორდი. ჯერ ჩემი განზრახვა გაიგეთ, სერ. ისე იცავს თავს ის ქალი პატიოსნების საბურველით, რომ ვერც კი გამიბედავს ჩემი შმაგი გრძნობები გავუმჟღავნო. მეტისმეტად ელვარეა და თვალსაც ვერ ვუსწორებ. მაგრამ რომ გამაგებინა მისი საიდუმლოებანი, მაშინ ჩემს ჟინს გზა გაეხსნება და ქომაგი გაუჩნდება. მე მიინდა ჩამოვამორო ეს საფარი კდემამოსილებისა, სახელისა, ქორწინების ფიცისა და ათასი ასეთი თავდაცვის ხერხი, რომლებიც ახლა მეტისმეტად შეუპოვრად მიტევენ. თქვენ რას იტყვით, სერ ჯონ?

ფოლსტაფი. მისტერ ბრაკ, უპირველესად ყოვლისა თქვენს ფულს უნდა დავეუფლო სრულიად მოუბოდიშებლად; მერე, მომეცით ხელი; ბოლოს კი, თუკი მოისურვებთ, ვაჟკაცურ სიტყვას გამძლევეთ, რომ ისიამტკბილებთ ფორდის მეუღლესთან.

ფორდი. უკეთილშობილესო ბატონო!

ფოლსტაფი. მისტერ ბრაკ, გეუბნებით, რომ ასე იქნება!

ფორდი. მაშ ფულს არ დაზოგავთ, სერ ჯონ, ფული არ მოგაკლდებათ!

ფოლსტაფი. მისის ფორდს არ დაზოგავთ, მისტერ ბრაკ, მისის ფორდი არ მოგაკლდებათ! უნდა მოგახსენოთ, რომ მალე ვინახულე, თვითონვე დამინიშნა შეხვედრის დრო. სწორედ ერთი ფეხით გაგასწოროთ მისმა მოციქულმა, თუ მაჭანკალმა. ათიდან თერთმეტამდე მასთან ვიქნები, რადგან



სწორედ ამ დროს გადის შინიდან მისი არამზადა და თაღლითი, ეჭვიანი ქმარი. მობრძანდით ღამე და გაიგებთ, რა წარმატებებს მივაღწიე.

ფორდი. ო, სწორედ ღმერთმა მომივლინა თქვენი თავი. ფორდს იცნობთ, სერ?

ფოლსტაფი. ჯანდაბას მისი უბადრუკი, რქოსანი თავი! არ ვიცნობ; თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა უბადრუკია! უთვალავი ფული ჰქონია იმ ეჭვიან ცოლგაქცეულ არამზადას. მიტომაც მეჩვენება მისი ცოლი ასე კდემამოსილად. იცოცხლე, გამოვიყენებ იმ გაიძვერა, რქოსანი ქმრის სკივრის გასაღებად; მერე ნახე, რას მოვიძიკი.

ფორდი. ნეტა იცნობდეთ, სერ, იმ ფორდს, სადმე რომ შეხვდეთ, მოერიდებოდით მაინც.

ფოლსტაფი. მოეშვით ერთი მაგ დოყლაპია თაღლითს! ერთს ისე შევუბღვერ, რომ სულ დავუფანტავ ჭკუას; ჩემი ჯოხით დავთრებს ავურევ, მეტეორივით დავუტრიალებ რქებთან. მისტერ ბრაკ, თვითონვე ნახავთ, როგორ ყურმოჭრილ მონად გავიხდი მაგ გლეხაჭუას, თქვენ კი მის ცოლს მიუწეკით. მოდით საღამოს, ნუ დაიგვიანებთ. ფორდი არამზადაა, ახლა კი სხვა სახელებსაც შევმატებ. თქვენ თვითონვე ნახავთ მისტერ ბრაკ, რომ იგი არამზადა და რქოსანია. აბა, მოსალამოვდება თუ არა, მოდით.

(გადის)

ფორდი. აჰ, წყეული ეპიკურელი არამზადა! საღამომდე გაძლება არ გინდა?! ღამის გული გამისკდეს! კიდევ იტყვის ვინმე, უსაფუძვლო ეჭვიანობააო? ჩემმა ცოლმა კაცი მოუგზავნა, დრო დაუნიშნა, საქმე გაჩარხულია. აბა, ამას ვინ იფიქრებდა? ო, რა ჯოჯოხეთი ყოფილა მოღალატე ცოლი! მაშ, სარეცელი უნდა შემიბღალონ, სკივრი გამიცალონ, სახელი შემირცხვინონ! საშინელ შეურაცხყოფასაც რომ არ მაკმარებენ! უნდა ვიდგე და ჩემი შეურაცხმყოფელისაგან უწმაწური ლანძღვა-გინება ვისმინო. რა ლანძღვა! რა სახელები! ამაიმონი უფრო კარგადა ჟღერს; ლუციფერიც ჯობს, ბარბასონიც ჯობს<sup>[8]</sup>! ესენი, ბოლოს და ბოლოს, ავი სულები არიან, ეშმაკები! ჩემი სახელი კი რქოსანი! ცოლგაქცეული! რქოსანი! ამას ეშმაკსაც არ კადრებენ. პეიჯი ვირია, ყურწაგდებული ვირი! ეჭვიანობას არ ინებებს, ცოლს ენდობა! ის მირჩვენია, ფლამანდელს კარაქი ვანდო, მღვდელ ჰიუს ყველი, ირლანდიელს არყით სავსე ბოთლი, ქურდს ჩემი იორლა, ცოლს კი თავის ნებაზე ვერ მივუშვებ; ხან რაღაც მოუხუსტურებს თავში, ხან რაღაც ოინს მოიგონებს, ხანაც უხამს გეგმას დააწყობს. ქალმა თუ რამე ამოიჭრა გულში, მერე მორჩა, უსათუოდ შეასრულებს, თავს მოიკლავს და შეასრულებს! ღმერთო, შენ გმაძღობ, რომ ეჭვიანი გამაჩინე! თერთმეტ საათზე! ჩავუშლი! ცოლს ვამბილებ, ფოლსტაფზე შურს ვიძიებ, პეიჯს სასაცილოდ ავიგდებ!.. ახლავე გავწევ, რომ მივუსწრო. ისა ჯობია, სამი საათით ადრე მივიდე, ვიდრე ერთი წუთით დავიგვიანო. ფუი, ფუი, ფუი, სირცხვილო! რქოსანი! რქოსანი! რქოსანი!

(გადის)

სურათი მესამე

მინდორი უინმორთან ახლოს. შემოდინ კაიუსი და რაგბი

კაიუსი. ჟეკ რაგბი...

რაგბი. დიახ, სერ?

კაიუსი. რომელი საათია, ჟეკ?

რაგბი. უკვე გავიდა, ბატონო; სერ ჰიუს მოსვლის დრო გავიდა.

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა, თავის სულს უშველა ამითი, რომ არ მოვიდა. ეთკობა, ბევრი ილოსა ბიბლიასე და მიტომ არ მოვიდა; ეშმაკმა დალაქვრა, ჟეკ რაგბი, აქამდე მაგას მოგკლავდი, რომ მოსულიყო.

რაგბი. ეშმაკი გახლავთ, სერ, იცოდა, რომ თქვენი ბრწყინვალეობა მოკლავდა და მიტომაც არ მოვიდა.

კაიუსი. გეფიცებათ, ქაშაკიც კი არ იქნება ისე მკვდარი, როგორც მე ის მოგკლავ. აბა, ქმალი იშიშვლე, ჟეკ, უნდა გაჩვენო როგორას მოგკლავ.

რაგბი. ვაიმე, ბატონო, ხმლის ხმარება რომ არ ვიცი!

კაიუსი. არამზადო, იშიშვლე-მეთქი ქმალი!

რაგბი. შეჩერდით, მოდიან.

(შემოდინან სასტუმროს პატრონი, შელოუ, სლენდერი და პეიჯი)  
სასტუმროს პატრონი. ღმერთმა გაკურთხოს, ჩხუბისთავო ექიმო!

შელოუ. ღმერთმა გიშველოს, მისტერ ექიმო კაიუსო.

პეიჯი. რასა იქო, კეთილო ბატონო ექიმო?

სლენდერი. მშვიდობის დილა ნუ მოგშლოდეთ, სერ!

კაიუსი. რა ამბავი, ერთი, ორი, სამი, ოთქი, ქუთი, რად მოსულქართ?

სასტუმროს პატრონი. მოვედით, რომ ვნახოთ შენი ბრძოლა, შენი დარტყმები, შენი შემოკვრა, აქეთური, იქითური. ვნახოთ შენი პუნტო, შენი რევერსო, სტოკადო<sup>[1]</sup>... უკვე მოჰკალი ჩემი ეთიოპელი? უკვე მოჰკალი ჩემი ფრანცისკო<sup>[2]</sup>? ჰა, ჩხუბისთავო? ხმა ამოიღე, ჩემო ესკულაპუსო, ჩემო გალენო<sup>[3]</sup>, ჩემო დიდგულას გულო! ჰა, მოჰკალით-მეთქი? მოკვდა, ძველო ჩხუბისთავო? მოჰკალ?

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა, მაგისტანა მქდალი არამზადა ქუცესი მეორე არაა ქვეკანად. დგეს აგარ გამოშენილა მისი საქე.

სასტუმროს პატრონი. ყოჩად კასტილიელო მეფე პისუარო<sup>[4]</sup>! ბერძენო ჰექტორო<sup>[5]</sup>, ჩემო ბიჭუნა!

კაიუსი. გთქოვთ დამიმოსმოთ, რომ დგეს ექესი-შვიდი, ორი-სამი საათი ვისადე და ის არ მოქვედი.

შელოუ. ის უფრო ჰკვიანი გახლავთ, ბატონო ექიმო. იგი სულის მკურნალია, თქვენ კი სხეულისა; ახლა რომ ბრძოლა დაიწყოთ, ხომ თქვენზე ხელობის აბუჩად აგდება იქნება? მართალს არ ვამბობ, მისტერ პეიჯ?

პეიჯი. ეჰ, მისტერ შელოუ, თქვენც კაი ჩხუბისთავი იყავით, ახლა კი მომრიგებელი მოსამართლე ბრძანდებით.

შელოუ. ღმერთმა დალახვროს, მისტერ პეიჯ, ახლაც კი, ამოდებულ ხმაღს რომ დავინახავ, ხელი მექავება, თუმცა უკვე მოვხუცდი. რა ვუყოთ, რომ მსაჯულები, ექიმები და ღვთისმსახურები ვართ, მისტერ პეიჯ, სიჭაბუკის ცეცხლი მაინც შეგვრჩა. რას იზამ, ჩვენც ქალის გაჩენილები ვართ, მისტერ პეიჯ.

პეიჯი. მართალს ამბობთ, მისტერ შელოუ.

შელოუ. ასეც უნდა იყოს, მისტერ პეიჯ. ბატონო ექიმო კაიუს, თქვენს წასაყვანად მოვსულვარ. მე ნაფიცი მსაჯული ვარ, ხალხი ერთმანეთში უნდა მოვარიგო; თქვენ ბრძენი მკურნალი ხართ, სერ ჰიუ კი ბრძენი და სულგრძელი ღვთისმსახური. უნდა გამომყვეთ, ბატონო ექიმო.

სასტუმროს პატრონი. ბოდიშს ვიხდი, ჩემო სტუმარო-მსაჯულო. თქვენ კი აი, რას გეტყვით, მუსიო ნაგვისყუთო?

კაიუსი. ნაგვისყუთო? რა არის ნაგვის კუთო?

სასტუმროს პატრონი. ნაგვისყუთი ჩვენებურად, ინგლისურად, მამაცობას ნიშნავს, ჩხუბისთავო.

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა, მეც იმდენი ნაგვისხუთი ხარ, რამდენიც ინგლისელი. ქოფაკი, არამზადა ქუცესი! ჟანდაბა! ჩემი მაგას კურები დავაჩრა!

სასტუმროს პატრონი. ერთს მაგრა მიგასულმკვდარებს, ჩხუბისთავო.

კაიუსი. მიგასულმკვდარებს! რა არის მიგასულმკვდარებს?

სასტუმროს პატრონი. ესე იგი, ბოდიშს მოგიხდის.

კაიუსი. მაშ გეფიცება, ნაქე ერთი თუ არ მიმასულმკვდაროს, ამას ვაიზულეზ, ჟანდაბა!

სასტუმროს პატრონი. მეც წავაქეზებ ამისათვის, თუ არა და ჯანდაბამდის გზა ჰქონია.

კაიუსი. დიდი მადლობელი შენი ვიქნება.

სასტუმროს პატრონი. ამას გარდა, ჩხუბისთავო... (ჩუმად მიმართავს დანარჩენებს) მაგრამ ჯერ თქვენ, ბატონო მსაჯულო, მისტერ პეიჯ და თქვენც, კავალერო სლენდერ, ფროგმორში წადით, ქალაქზე გავლით<sup>[6]</sup>.

პეიჯი. სერ ჰიუ იქ იქნება?

სასტუმროს პატრონი. იქნება. ნახეთ ერთი, რა გუნებაზუა. ექიმს კი მინდორ-მინდორ გამოვატარებ და მოვიყვან. ასე არა ჯობს?

შელოუ. მაშ წავიდე. მშვიდობით, ბატონო ექიმო.

(გადიან პეიჯი, შელოუ და სლენდერი)

კაიუსი. ის ქუცესი უნდა მოჰკალი, თორემ ენ პეიუს იმ მაიმუნის თავი უქებს.



სასტუმროს პატრონი. ჯანდაბას, მოკვდეს. შენ კი ახლა შენი მოუთმენლობა ქარქაშში ჩააგე, გახურებულ გულს ცივი წყალი გადაასხი და მე გამომყევი, ფროგმორის მინდვრებში წაგიყვან. სოფელში ლხინი აქვთ, შენი ენ პეიჯიც იქ არის და ეკურკურე. ხომ პირდაპირ მოვარტყი? ა, კარგად არა ვთქვი?

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა! შენ მადლობელი დიდი ვარ მაგაზე: მიკუარქარ, ნაქე სასტუმროში მოგიტანო კარგი მუშტარი - გრაფი, რაინდი, ლორდები, კეთილშობილები - ჩემი პაციენტები.

სასტუმროს პატრონი. მაგიერში, შენი ხათრით მეც შევუტევ ენ პეიჯის, ხომ კარგა ვთქვი?

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა! კარგია, კარგი ამბობს.

სასტუმროს პატრონი. მაშ ახლა მოვუსვათ.

კაიუსი. ფეხებში მომდიე, ქვე რაგბი.

(გადიან)

## მოქმედება მესამე

სურათი პირველი. მინდორი ფროგმორის მახლობლად

შემოდინ სერ ჰიუ ევანზი და სიმპლი

ევანსი. (მღერის) ახლა ეს მითხარი, კეთილი მისტერ სლენდერის მსახურო და სახელდეპულეპით ჩემო მეგობარო სიმპლ, სად ძეპნე მისტერ კაიუსი, რომელიც თავს მედიცინის დოქტორად ასაღებს?

სიმპლი. ყველგან სერ, მცირე პარკისკენ, დიდი პარკისკენაც, უინძორისკენაც, ოლონდ ქალაქის გზაზე არ მიძებნია.

ევანზი. უმორჩილესად გთხოვ, იქითაც დაძეპნო.

სიმპლი. დაძეპნე სერ!

(გადის)

ევანზი. ღმერთო მიშველე! გული ყელში მეპჯინეპა და სულიც აფორიაქებული მაქვს! ნეტა მართლა მომატყუებდეს და არ მოვიდოდეს. გული როგორღაც მეწურება! მაგ არამზადას სულ გოგრაზე გადავამტვრევ თავის საშარდე ჭურჭლეპს, როგორც კი ვიხელთეპ. ღმერთო, მიშველე!

(მღერის)

სად რაკრაკეპენ ნაკადულეპი,  
და ჩიტუნები გალოპენ წყნარად,  
ჩვენც გავიშალოთ ვარდის საწოლი,  
თაიგულეპი ვაფრქვიოთ მარად.

ღმერთო, შემიწყალე, ლამის ავქვითინდე<sup>[1]</sup>! (მღერის)

და ჩიტუნები გალოპენ წყნარად.

მეც ბაბილონთან ვიჯექი ახლოს<sup>[2]</sup>.

თაიგულეპი ვაფრქვიოთ მარად.

სად რაკრაკეპენ...

სიმპლი. (შემოდის) გამოჩნდა, სერ ჰიუ, აგერ, მოდის.

ევანზი. კეთილი იყოს მისი მოპრძანეპა!

(მღერის)

სად რაკრაკეპენ ნაკადულეპი...

ღმერთო, შენ უშველე მართალს! რა იარადი აქვს?

სიმპლი. იარადი სულაც არ აქვს, სერ. ჩემი ბატონი, მისტერ შელოუ და ვიღაც ჯენტლმენი მოდიან ფროგმორიდან - ღობეს გამოსცდნენ, აქეთ მოდიან.

ევანზი. მაშ წამოსასხამი მომაწოდე; თუმცა არა, შენ გეჭიროს.

(შემოდინ პეიჯი, შელოუ და სლენდერი)

შელოუ. აპ, თქვენა ხართ, მამაო! დილა მშვიდობისა, კეთილო სერ ჰიუ. მოდი და ნუ გაგიკვირდება მონარდე უკამათლოდ ნახო, ხოლო კარგი მეცნიერი უწიგნოდ.

სლენდერი. (თავისთვის) აჰ, სულზე უტკბესო ენ პეიჯ!

პეიჯი. ღმერთმა გადღეგრძელოს, კეთილო სერ ჰიუ!

ევანზი. ღმერთმა ლოცვა-კურთხევა და წყალოპა ნუ მოგაკლოთ ნურც ერთს!

შელოუ. რა ამზავია, ხელში მახვილი და სიტყვებიც ასე მახვილი! ორივე საქმეში ვარჯიშობთ, ბატონო მოძღვარო?

პეიჯი. ჭაბუკსაც რომ ბაძავს! მოკლე შარვლითა და პერანგის ამარა გამოსულა ამ ნესტიან დღეს.

ევანზი. არის მიზეზი და საპაპი.

პეიჯი. მოვედით, რომ კეთილი სამსახური გაგიწიოთ, ბატონო მოძღვარო.

ევანზი. ძალიან კარგი. მაინც რა სამსახური?

პეიჯი. ერთი დიდად პატივცემული ვაჟბატონი ვნახეთ, ეტყობა ვიღაცას გაუბრაზებია: ისე განდგომია სიდარბაისლესა და მოთმინებას, რომ ასეთი რამ ჯერ არ გვინახავს.

შელოუ. აგერ ოთხმოცს გადავაბიჯე და ჯერ არ მინახავს, რომ მაგისთანა დარბაისელ, სწავლულ და მიღებულ კაცს ასე დაეკარგოს საკუთარი თავის პატივისცემა.

ევანზი. მაინც ვინ არის?

პეიჯი. მგონი თქვენც უნდა იცნობდეთ, ბატონი კაიუსი - სახელგანთქმული ფრანგი ექიმი.

ევანზი. ღმერთო, გვიშველე და შეგვიწყალებ! ისა ჯობდა, ერთი ქოთანს ფლავი გეთქვათ.

პეიჯი. ვითომ რატომაო?

ევანზი. მეტი არც იმას ესმის ჰიპოკრატისა და გალენისა. ამასთან, არამზადაც არის; მაგისთანა ლაჩარ არამზადას მეორეს ვერ ნახავთ ქვეყნად.

პეიჯი. მერწმუნეთ, რომ სწორედ ამას უნდა შეებრძოლოს.

სლენდერი. (თავისთვის) ო, ტკბილო ენ პეიჯ!

შელოუ. ამას ამტკიცებს მისი შეჭურვილობა. აჰა, ექიმი კაიუსიც მოდის. ერთმანეთს არ მივაკაროთ.

(შემოდინან სასტუმროს პატრონი, კაიუსი და რაგბი)

პეიჯი. აჰ, კეთილო მამაო, ხმალი ჩააგეთ.

შელოუ. თქვენც ჩაგეთ, კეთილო ექიმიო.

სასტუმროს პატრონი. ჩამოვართვათ ხმლები, ისე მოილაპარაკონ: რაღა თავს იმტვრევენ, ჯანდაბას ისევ ჩვენი ინგლისური ენა ამტვრიონ!

კაიუსი. (ევანზს) გთქოვთ, ერთი სიტყვა მოგისმინე, კურში გითქარი: რატომ არ მოგიქვედი დგეს?

ევანზი. (ჩუმად კაიუსს) გემუდარეპით, თავი შეიკავოთ, ყველაფერი მოგვარდება.

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა, თქვენ მქდალი ქართ, არამზადა, ზაგლი, ნაცარქექია-მაიმუნი.

ევანზი. (ჩუმად კაიუსს) თქვენ გენაცვალეთ, ამათ სასაცილოდ ნუ გავიხდით თავს. მინდა თქვენთან მეგობრულად ვიყო: ასე თუ ისე, ჩვენ მოვრიგდებით. (ხმამალა) მაგ პრიყვ თავზე გადავამტვრეე შენს შარდის ჭურჭლებს, როგორ გაპედე, რომ დათქმულ საათს არ მოხვედი?!

კაიუსი. რაო? Diable ეშმაკის კერზო! ჯეკ რაგბი! ჩემო „ცვივსაკრავის“ პატრონი, განა მე მას არ გელოდი მოსაქლათ? არა ვკოფილქარ მე იქა, საცა დათქმული იკავი?

ევანზი. ქრისტეს სჯულს ვფიცავ, აქ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს: აგერ „წვივსაკრავის“ პატრონი დამემოწმება.

სასტუმროს პატრონი. გაჩუმდით, გალიელო და კელტო! ფრანგო და უელსელო, სულთმკურნალო და ხორცთმკურნალო!

კაიუსი. ო, კარქად ვამზობს, შინებულად.

სასტუმროს პატრონი. დაჩუმდით, მოუსმინეთ ჩემო „ცვივსაკრავის“ პატრონს. ვარ თუ არა მე პოლიტიკოსი? ვარ თუ არა მე მოხერხებული კაცი? ვარ თუ არა მაკიაველი<sup>[3]!</sup>? ჩემი ექიმი დავკარგო? არასოდეს! შევრულ კუჭს გამიხსნის. მაშ ჩემი მოძღვარი, ჩემი ხუცესი, ჩემი სერ ჰიუ დავკარგო? არასოდეს! შთაგონებით გონებას გამიხსნის. ხელი მომეცი, მიწიერო. ასე! ხელი მომეცი, ზეციერო. ასე! ხელოვანო ჭაბუკებო! მე თქვენ ორივენი გაგაცურეთ - სხვადასხვა ადგილას დაგიბარეთ. ახლა გულითაც მხნედა ხართ და ტყავიც მრთელი შეგრჩათ. კარგმა ღვინომ დააგვირგვინოს საქმე. აბა, ამათი ხმლები დავიგირათ. მომეცეთ, მშვიდობის მოყვასნო, მომეცეთ, მომეცეთ, მომეცეთ.

შელოუ. მენდეთ, რომ ნამდვილად გაგიჟებულა! აბა, მივყვეთ, ბატონებო, მივყვეთ.

სლენდერი. (თავისთვის) ო, ტკბილო ენ პეიჯ!

(გადიან შელოუ, სლენდერი, პეიჯი და სასტუმროს პატრონი)

კაიუსი. ა? განა ვერ გავიგო? მაგან უნდა გაგვასულელა! ჰა, ჰა?

ევანზი. ძალიან კარგი, მაშ სასაცილოდ აგვიღია, არა? მოდი დავმეგობრდეთ, ერთად ვიტეხოთ თავი, თუ როგორ ვიძიოთ შური ამ გარეწარ, წუწკ, ქლესა სასტუმროს პატრონზე.

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა, მთელი გულით თქვენთან არი. ენ პეიჟთან მიგიკვანო, შენ გითქარი, და ნაქავ როგორ მომატკუა?!

ევანზი. ჰოდა, გოგრას გავუხეთქავ, ახლა წავიდეთ.

(გადიან)

სურათი მეორე. უინძორი. ქუჩა

შემოდინ მისის პეიჯი და რობინი

მისის პეიჯი. იარე, იარე, ჩემო კოხტა ბიჭო. აქამდე უკან ყოფნას იყავი დაჩვეული, ახლა კი მეგზური გახდი. რა გირჩევენია, ჩემს თვალებს მისცე გზა თუ შენი ბატონის ქუსლებს დაამტერო თვალეზი?

რობინი. მართალი გითხრათ, ჯუჯასავით ჩემი ბატონის კუდში თრევას, ის მიჩევენია, თქვენ გაგიძღვეთ წინ, ვაჟკაცივით.

მისის პეიჯი. ოი, როგორი პირმოთნე ბიჭი ყოფილხარ. ვატყობ, კარგი ჯარისკაცი იქნები.

(შემოდის ფორდი)

ფორდი. კარგ დროს შეგხვდით, მისის პეიჯ. საით გაგიწევიათ?

მისის პეიჯი. თქვენი ცოლის სანახავად მივდივარ, სერ. შინ არის?

ფორდი. შინ არის და უსაქმურობისაგან აღარ იცის რა ქნას. მოსწყინდა მარტოკას. ალბათ თქვენი ქმრები რომ დაიხოცონ, მაშინვე იქორწინებდით.

მისის პეიჯი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ოღონდ ერთმანეთს კი არ მივთხოვდებოდით, გამოვნახავდით ორ საქმროს.

ფორდი. ეს ფლუგერი სად გიშოვნიათ?

მისის პეიჯი. კი არ ვიცი, ვინ ჯანდაბას გამოართვა ჩემმა ქმარმა. ბიჭო, რა ქვიან იმ შენს რაინდს?

რობინი. სერ ჯონ ფოლსტაფი.

მისის პეიჯი. ჰო, ისა, ისა. მავიწყდება ხოლმე სახელები. იმას და ჩემს ქმარს დიდი მეგობრობა აქვთ ერთმანეთში. მართლა შინაა თქვენი ცოლი?

ფორდი. ნამდვილად.

მისის პეიჯი. მაშ ნება მიბოძეთ წავიდე, სერ. ერთი სული მაქვს, ვიდრე ვნახავდე.

(გადიან მისის პეიჯი და რობინი)

ფორდი. ამის შემდეგ ტვინის ნატამალი შერჩენია პეიჯს? ან თვალეზი აქვს? ჭკუა უჭრის? არა, სძინავთ მათ, აღარ ემსახურებიან პეიჯს. ეს ბიჭი ოც მილზე ისევე სწრაფად მიარბენინებს წერილს, როგორც ზარბაზნის ტყვია გაიქროლებს ორასიოდე ნაბიჯს; თვითონვე ხელს უწყობს ცოლს. თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული. ახლა ჩემს ცოლთან მიდის ეს ქალბატონი, ფოლსტაფის ფარეში თან ახლავს! ეს ნიავი ქარიშხლის მომასწავებელია! ფოლსტაფის ფარეში თან ახლავს! ეს ხომ შეთქმულებაა! კარგად კი მოუწყვიათ. ჩვენი აჯანყებული ცოლები ერთად მიექანებიან ჯოჯოხეთისკენ. არაფერია, იმ ვაჟბატონს მახეში გავაბამ, ცოლს ვაწამებ, მისის პეიჯს იმ მოჩვენებითს კდემამოსილების ნიდაბს ჩამოვგლეჯ და ქვეყანას მოვდებ, რომ პეიჯი ყურწაგდებული და ჯიუტი აკტეონია. მეზობლები ამაზე ტაშს დამიკრავენ. (ისმის საათის რეკვა) აჰა, საათი მომიწოდებს, ჩემი რწმენა კი მიბრძანებს საძებნელად წავიდე. ვნახავ, იქ ვნახავ ფოლსტაფს. ვინ დამცინებს? პირიქით, შემაქებენ. ფოლსტაფი ხომ იქ არის - ეს ისევე ცხადია, ვით ის, რომ დედამიწა მყარია. მივდივარ.

(შემოდინ პეიჯი, შელოუ, სლენდერი, სასტუმროს პატრონი, სერ ჰიუ ევანზი, კაიუსი და რაგბი)

შელოუ, პეიჯი და სხვები. გამარჯობა, ბატონო ფორდ.

ფორდი. აი, მშვენიერი კრებული. გთხოვთ ყველანი ჩემსა წამობრძანდეთ, დროსტარება გვექნება. შელოუ. მე ბოდში უნდა მოვიხადო, მისტერ ფორდ.

სლენდერი. მეც ბოდიშს ვიხდი, სერ: შეპირებული ვართ, მის ენთან უნდა ვისადილოთ, და სიტყვას არ გავტეხ, თუნდა ფულით ამავესოთ.

შელოუ. რამდენი ხანია ენ პეიჯისა და ჩემი ძმისწული სლენდერის დაქორწინებასა ვცდილობთ, დღეს გადაწყვეტილი პასუხი უნდა მივიღოთ.

სლენდერი. თქვენი იმედი კი მაქვს, მია პეიჯ, თანახმა იქნებით.

პეიჯი. იმედი გქონდეთ, მისტერ სლენდერ, თქვენი მხარე მიჭირავს, ჩემი ცოლი კი, ბატონო ექიმო, თქვენს მხარეზეა.

კაიუსი. დიახ, გეფიცებათ, და ქალსაც გიკუარვართ ჩემი, ჩემმა გოგომ კუიკლიმ გითქრა ჩემი ასე.

სასტუმროს პატრონი. ახალგაზრდა მისტერ ფენტონს რაღას ეუბნებით? ისე დახტის, ცეკვავს, თვალებს აკვესებს, ლექსებსა თხზავს, მომხიბლავად ლაპარაკობს, აპრილ-მაისის სურნელებას აფრქვევს!.. არა, ის გაიმარჯვებს, თავისას გაიტანს. ასე უწერია დაბადებითვე!

პეიჯი. ოღონდ ჩემი თანხმობით არა, ამაში დამერწმუნეთ. არაფრის მქონებელია ეს ვაჟბატონი, თანაც თავზეხელაღებულ პრინცსა და პოინსს მეგობრობს. მეტისმეტად მაღალი წარმოშობისა გახლავთ; მეტად ბევრი რამ იცის. არა, ვერ ეღირსება ჩემი სიმდიდრის თითებით თავისი დახლართული საქმეების გამოსნას. თუ შეირთავს, შეირთოს უმზითვოდ! ჩემი სიმდიდრე ჩემს არჩეულ სასიძოს დარჩება, ხოლო ის კაცი სიძედ მე არა მსურს.

ფორდი. მთელი გულით გემუდარებით, ვინმე მაინც გამომყვეს სადილად. გარდა მხიარული დროსტარებისა, კარგ სეირსაც გაჩვენებთ: ურჩხული უნდა განახვოთ. ბატონო ექიმო, თქვენ წამომყეთ, თქვენცა, მისტერ პეიჯ, სერ ჰიუ, თქვენც.

შელოუ. კეთილი, მშვიდობით იყავით. უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ მისტერ პეიჯის სახლში.

(გადიან შელოუ და სლენდერი)

კაიუსი. რაგბი, შინ ცადი, მეც მალე მოქვალ.

(გადის რაგბი)

სასტუმროს პატრონი. მშვიდობით, ძვირფასნო. მე ჩემს პატიოსან რაინდ ფოლსტაფისკენ გავწევ და ცოტას გადავკრავ.

(გადის)

ფორდი. (თავისთვის) მე კი მგონია, ჯერ მე გადავკრავ იმას ისე მაგრად, რომ ცეკვას დავაწყებინებ. არ წავიდეთ, ბატონებო?

ყველანი. წავიდეთ, ურჩხული ვნახოთ.

(გადიან)

სურათი მესამე. ოთახი ფორდის სახლში  
შემოდინ მისის ფორდი და მისის პეიჯი

მისის ფორდი, ჰეი, ჯონ! ჰეი, რობერტ!

მისის პეიჯი. ჩქარა, ჩქარა. ჭუჭყიანი თეთრეულის კალათი...

მისის ფორდი. ფიქრი ნურაფრისა გაქვთ. რობინ, რობინ!

(შემოდინ მსახურები, კალათი შემოაქვთ)

მისის პეიჯი. აბა, მარდად, მარდად!

მისის ფორდი. აქ დადეთ.

მისის პეიჯი. ჩქარა დაარიგე, როგორ უნდა მოიქცნენ, გვაგვიანდება.

მისის ფორდი. მაშ ასე, ჯონ და რობერტ, როგორც გითხარით, მზად უნდა იყოთ. აქვე, ლუდსახარში დაიმალებით; დაგიძახებთ თუ არა, გამოვარდებით; არც კი შეყოყმანდებით, დასტაცებთ ხელს ამ კალათს, მხარზე გაიდებთ და რაც შეიძლება სწრაფად გააქანებთ მრეცხავებისკენ, დატჩეტის ველზე. ტემზის ნაპირას რომ ჭუჭყის ორმოა, იქ გადმოაპირქვავებთ.

მისის პეიჯი. ხომ გაიგეთ?

მისის ფორდი. უკვე რამდენჯერმე დავარიგე. ზედმეტი განმარტება აღარ სჭირდებათ. აბა, გასწით და მელოდეთ.

(მსახურნი გადიან)

მისის პეიჯი. აგერ პატარა რობინიც მოდის.

(შემოდის რობინი)

მისის ფორდი. მოხვედი, ჩემო მიმინო? ახალს რას გვეტყვი?

რობინი. მისის ფორდ, ჩემი ბატონი სერ ჯონი უკანა კარებთანა დგას და გთხოვთ, რომ მიიღოთ.

მისის პეიჯი. ხომ არ გვიდალატე, პატარა სამარხვო ტიკინავ<sup>[17]</sup>!

რობინი. არა, გეფიცებით; ჩემმა ბატონმა არ იცის, თქვენ რომ აქა ხართ. დამემუქრა, მისის პეიჯმა რომ გაიგოს ჩემი აქ მოსვლა, სამუდამოდ თავისუფლებას მოგანიჭებო - დამითხოვს, ალბათ.

მისის პეიჯი. შენ კარგი ბიჭი ხარ. ეს საიდუმლო თერმად იქცევა და ახალ ქურთუკსა და შარვალს შეგიკერავს. ახლა წავალ, დავიმალები..

მისის ფორდი. დაიმალე. შენ კი წადი და ბატონს მოახსენე, მარტო არის-თქო. მისის პეიჯ, შენი როლი არ დაგავიწყდეს.

(რობინი გადის)

მისის პეიჯი. არა, ფიქრი ნუ გაქვს. თუ ვერ გავითამაშო, მერე მიკვირინე. (გადის)

მისის ფორდი. წადი, ბარემ. უნდა მოვარჯულოთ ეს მავნე სინესტე, ეს წყლით გაბერილი საზამთრო. ვასწავლოთ ჩხიკვისა და გვრიტის გარჩევა.

(შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი. „ნუთუ ხელში ჩაგიგდე, ციურო მარგალიტო<sup>[2]</sup>?“ ახლა დე, მოვკვდე, მაინც ბევრი მიცხოვრია! უკვე ვეწიე ჩემს საწადელს. ო, კურთხეულო საათო!

მისის ფორდი. ო, ტკბილო სერ ჯონ!

ფოლსტაფი. მისის ფორდ, არ შემიძლია ვითვალთმაქცო, არ შემიძლია ვიცრუო, მისის ფორდ! რა ვქნა, ნატვრაში ვცოდავ - ნეტა მოკვდებოდეს შენი ქმარი, მაშინ, ღმერთია მოწმე, ჩემი ქალბატონი გახდებოდი.

მისის ფორდი. თქვენი ქალბატონი, სერ ჯონ? ო, რა უბადრუკი ქალბატონი ვიქნები!..

ფოლსტაფი. ერთი საფრანგეთის სასახლემაც სინჯოს და გვიჩვენოს შენისთანა ქალბატონი! შენი თვალები აღმასსაც გაუწევენ მეტოქეობას; შენს გადაგრეხილ წარბებს ყოველგვარი თავსამკაული დაშვენდება, რომელიც გინდა ვენეციური ქული.

მისის ფორდი. უბრალო ხილაბანდი გეთქვათ, სერ ჯონ; უკეთესის ღირსი არც არის ჩემი წარბები; სხვა არაფერი მოუხდება, ეგეც კი მეტია.

ფოლსტაფი. ღმერთს გეფიცები, ცოდვას ჩადიხარ, ამას რომ ამბობ. შენ ნამდვილი სეფექალი იქნებოდი. ეს ჩამოქნილი ფეხები ისეთს ლაზათს მისცემდნენ შენს მიხრა-მოხრას გაფარფაშებულ კაბაში! ბუნება შენი მეგობარია და ო, რა იქნებოდი, რომ ბედისწერა არ გაგხდომოდა მტრად<sup>[3]</sup>. აჰ, ამას ვერ უარყოფ.

მისის ფორდი. სულაც არა, დამიჯერეთ, რომ ასეთი თვისებები მე არ გამაჩნია.

ფოლსტაფი. მაშ რამ შემაყვარა შენი თავი? ამან მაინც დაგარწმუნოს, რომ შენ რაღაც არაჩვეულებრივი ხარ. გაიგე, თვალთმაქცობა არ მეხერხება - ასეთი ხარ და ისეთი ხარ-მეთქი, არ შემიძლია გეტიტინო ზოგიერთ ენამოჩლეკილ კუნელის კოკორივით, რომელთაც მამაკაცის შარვალი ჩაუტვამთ და ქალივით იპრანჭებიან<sup>[4]</sup>, თან კი ძველი აფთიაქის სუნი ასდით. არა, არ შემიძლია. მიყვარხარ; შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ, და ხარ კიდევაც ამისი ღირსი.

მისის ფორდი. ნუ მიდალატებთ, სერ! ასე მგონია, რომ მისის პეიჯი გიყვართ.

ფოლსტაფი. იქნებ ისიც თქვა, კაუნტერის ციხის გვერდით ჩავლა გიყვარსო, რაც, უნდა გამოგიტყდეს, დამწვარი კირის კვამლივითა მძულს.

მისის ფორდი. ღმერთმა ხომ იცის, როგორ მიყვარხართ, როცა იქნება, ალბათ მიხვდებით ამას.

ფოლსტაფი. ნურც გადამიყვარებ; როცა იქნება, გავხდები ამის ღირსი.

მისის ფორდი. აჰ, უკვე ხართ ამისი ღირსი, ისე ხომ არც შემიყვარდებოდით!

რობინი. (გარედან) მისის ფორდ, მისის ფორდ! აქლოშინებული მისის პეიჯი მოვარდა თქვენთან, სულ ოფლშია გაწურული და თვალებიც არეული აქვს. თქვენი ნახვა უნდა.

ფოლსტაფი. მაგან არ უნდა დამინახოს, ფარდას ამოვეფარები.

მისის ფორდი. კარგს იზამთ, თუ დაიმალებით, თორემ საშინელი ენაჭარტალა დედაკაცია. (ფოლსტაფი ფარდის უკან იმალება. შემოდინ მისის პეიჯი და რობინი) რა ამბავია, რა მოგივიდათ?

მისის პეიჯი. ეს რა ქენი, მისის ფორდ, რა ქენი? როგორ შეირცხვინე თავი, დაილუპე, სამუდამოდ განადგურდი!

მისის ფორდი. რა ამბავია, რა მოხდა, ჩემო კარგო მისის პეიჯ?

მისის პეიჯი. ვაი, ამ შავ დღეს, მისის ფორდ! ასეთი პატიოსანი ქმარი გყავს და კიდევ ეჭვის საბაბს აძლევ?

მისის ფორდი. რა ეჭვის საბაბს?

მისის პეიჯი. რა ეჭვის საბაბსო? არც კი გრცხვინია! როგორ მოვტყუვდი!

მისის ფორდი. ვაიმე, არ მეტყვი მაინც, რა მოხდა?

მისის პეიჯი. შენი ქმარი მოდის, ქალო, და უინძორის მთელი პოლიცია მოჰყავს, ვიღაც ვაჟბატონს ეძებენ, რომელიც თითქოს აქ იმალება, ამ სახლში. ასე ამბობს, როგორც შინიდან გამიგულა, დრო იხელთა და საყვარელი დაიბარაო. შენი საქმე წასულია.

მისის ფორდი. არა, იმედი მაქვს, მართალი არ იქნება!

მისის პეიჯი. ღმერთმა ქნას და მართლაც არ გყავდეს საყვარელი სახლში! ეს კი ნამდვილია, რომ შენი ქმარი მოდის და მთელი უინძორი ფეხდაფეხ მოსდევს, ეძებენ იმ ვიღაცას. გამოვიქეცი, რომ შენთვის შემეტყობინებინა. თუ პატიოსნად მიგაჩნია თავი, მაშინ ხომ რა, გამიხარდება, მაგრამ თუკი მართლა გყავს სახლში ვინმე მეგობარი, გააპარე, ახლავე გააპარე. ნუ გაშტერდი! გონს მოდი, სახელს გაუფრთხილდი, ანდა სამუდამოდ გამოეთხოვე ტკბილ ცხოვრებას.

მისის ფორდი. რა მეშველება! მართლაცა მყავს ერთი კარგი მეგობარი და ახლა ჩემი შერცხვენა ისე არ მაწუხებს, როგორც მისი ხიფათში ჩავარდნა. ოცი ათას გირვანქა ტერლინგს არ დავიშურებდი, ოღონდ კი იგი სახლში არ მყავდეს.

მისის პეიჯი. გრცხვენოდეს! რა დროს „ნეტა“ და „ნეტა“, საცაა ქმარი დაგადგება თავზე. რამე მოიფიქრე და გააპარე: სახლში ვერ დამალავ. ო, რა მწარედ მომატყუე!.. აგერ კალათიც ბედზე! თუ დიდი ტანის არაა, კალათში შეუძლია ჩაძვრეს, ზევიდან კი ჭუჭყიან თეთრეულს დააყრი, თითქოს გასარეცხად აგზავნი, და გაატანე კიდევ სამრეცხაოში ორ მსახურს - სწორედ რეცხვის დროა.

მისის ფორდი. ძალიან დიდი ტანისაა, როდი ჩაეტევა. რა ვქნა, რა მეშველება?

(შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი. მაჩვენეთ! კალათი მაჩვენეთ! მაჩვენეთ-მეთქი! ჩავწვები! ჩავეტევი! კარგად გირჩევს შენი მეგობარი, ჩავწვები.

მისის პეიჯი. უი, სერ ჯონ ფოლსტაფი! ეს თქვენი წერილებია, რაინდო?

ფოლსტაფი. (ჩუმად მისის პეიჯს) მე შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ, სხვა არავინ! (ხმამაღლა) აბა, მიშველეთ, მიშველეთ ჩაძრომა. აღარასოდეს... (ჩაძვრება კალათში. ზევიდან ჭუჭყიან სარეცხს აყრიან)

მისის პეიჯი. ბიჭო, შენც გვიშველე, გადავაფაროთ შენს ბატონს. ახლა მსახურებს დაუძახე, მისის ფორდ. ო, გაიძვერა რაინდო!

(რობინი გადის)

მისის ფორდი. ჯონ! რობერტ! ჯონ! არ გეყურებათ? (შემოდინ მსახურნი) აბა, ეს სარეცხი წაიღეთ, ჩქარა. კალათის კეტი რაღა იქნა? რა მოგივიდათ, რას დაბორილებთ? სამრეცხაოში წაიღეთ, ჩქარა! (შემოდინ ფორდი, პეიჯი, კაიუსი და სერ ჰიუ ევანზი)

ფორდი. შემოდით, შემოდით, გემუდარებით; თუ ჩემი ეჭვი უსაფუძვლო იყოს, გამაქიპეთ, გამამასხარავეთ - ღირსი ვიქნები. ეს რა რის? სად მიგაქვთ ეს კალათი?

მსახურნი. მრეცხავთან, ბატონო.

მისის ფორდი. რას კითხულობ, სად მიაქვთ? ესლა მაკლია, ჭუჭყიანი სარეცხის ქექვას მოჰყვე!

ფორდი. ნეტა შემემლოს საკუთარი ჭუჭყი ჩამოვირეცხო. დიახ ჭუჭყი, ჭუჭყი, ჰო, ჭუჭყი-მეთქი, გეუბნებით! და ახლავე გაჩვენებთ ამას! (მსახურებს კალათი გააქვთ) ბატონებო, წუხელ სიზმარი ვნახე. უნდა გიამბოთ, რა მესიზმრა. აი, აი, აი გასაღებები, ჩემს ოთახებში ადით ზემოთ; მიიხედ-მოიხედეთ, დაძებნეთ, მონახეთ, დარწმუნებული იყავით, რომ მელას წამოაგდებთ. დაიცა, ჯერ ეს გზა გადავულობოთ. (ჩაკეტავს კარებს) ასე, ახლა კი ახადეთ ფარდა.

პეიჯი. დამშვიდდით, კეთილო მისტერ ფორდ, ასეთი აღელვება გაწყენთ.

ფორდი. მართალი ხარ, მისტერ პეიჯ. აბა, ზემოთ, ბატონებო, ახლავე ნახავთ სერს. მომყეთ, ბატონებო. (გადის)

ევანზი. რა გიჟური ეჭვიანობაა!

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვრა! საფრანგეთში ამისთანა რამეს ვერ გნაქავ; საფრანგეთში ეჩვი არ ვისიან. პეიჯი. გავყვით, ბატონებო, ვნახოთ ერთი, რას გვაპოვნიებს.

(გადიან პეიჯი, კაიუსი, ევანზი)

მისის პეიჯი. ორმაგი მომხიბლაობა არ არის ჩვენს ოინში?

მისის ფორდი. აღარ ვიცი, რა უფრო მიხარია - ჩემი ქმრის გაცურება თუ ფოლსტაფისა.

მისის პეიჯი. კაი სანახავი კი იქნებოდა, შენმა ქმარმა რომ იკითხა კალათში რა დევსო!

მისის ფორდი. ამის შემდეგ მგონი მართლაც დასჭირდებოდა ფოლსტაფს ბანაობა; სწორედ რომ სამადლო საქმე იქნება მისი წყალში გადაგდება.

მისის პეიჯი. ჯანდაბას მისი თავი, უსინდისო, არამზადა! ნეტა ყველა მაგისთანა ამ დღეში ჩავარდებოდეს.

მისის ფორდი. მგონი, ჩემს ქმარს განსაკუთრებული გუმანი ჰქონდა, რომ აქ იქნებოდა ფოლსტაფი. პირველად ვხედავ ეჭვით ასე გაბერილს.

მისის პეიჯი. მაგას როგორმე გავიგებ; ფოლსტაფს კი ერთი ასეთი ოინი კიდევ უნდა ვუყოთ, მარტო ეს წამალი ვერ განკურნავს მისი გარყვნილების სენს.

მისის ფორდი. რა იქნება, ის რეგენი მძოვრი მისის კუიკლი გავუზავნოთ და ბოდიში მოვუხადოთ წყალში ჩაგდებისათვის, თან ახალი იმედი აღვუძრათ და ერთხელ კიდევ ვაწვნიოთ სასჯელი?

მისის პეიჯი. ასეც მოვიქცეთ, გავუზავნოთ და ხვალ რვა საათისათვის დავიბაროთ. დღევანდელი წამების წილ დაგაჯილდოვებთ-თქო, შევუთვალეთ.

(შემოდინ ფორდი, პეიჯი, კაიუსი და სერ ჰიუ)

ფორდი. ვერსად ვერ მიპოვია. ის არამზადა იქნებ იმას ტრაბახობდა, რისი მიღებაც ვერ მოახერხა!

მისის პეიჯი. (ჩუმად მისის ფორდს) გესმის?

მისის ფორდი. (ჩუმად მისის პეიჯს) ჰო, ჩუმად. კარგად კი მომექცით, მისტერ ფორდ, ჰა, რას იტყვით?

ფორდი. ჰო, რატომაც არა.

მისის ფორდი. ეჰ, ღმერთსა ვთხოვ, შენივე ფიქრებზე უკეთესი ყოფილიყო!

ფორდი. ამინ!

მისის პეიჯი. თქვენივე თავსა ვნებთ, მისტერ ფორდ.

ფორდი. ეჰ, რა ვქნა, უნდა ავითანო.

ევანზი. თუ ვინმე სულიერი იყოს ამ სახლში, ან ოთახეპში, ან სკივრეპში, ან განჯინეპში, მაშინ ღმერთმა შემინდოს ცოდვეპი განკითხვის დღეს.

კაიუსი. მეც, ეშმაკმა დალაქვრა, არავინ აქა არის.

პეიჯი. ფუი, ფუი, მისტერ ფორდ! არა გრცხვენიათ? რა ეშაკმა, რა ავმა სულმა გაგიქრებინათ ეს? უინძორის კოშკის მთელი განძეულიც რომ მომცენ, თქვენს სნეულებას - ამნაირ ეჭვიანობას - მაინც არ ვისურვებდი.

ფორდი. რა ვქნა, მისტერ პეიჯ, ამით უბედური ვარ და ვიტანჯები კიდევ.

ევანზი. თქვენ თქვენი პინძური სინდისი გტანჯავთ: თქვენი ცოლისთანა პატიოსან ქალს ხუთიათასში ერთს ვერ ნახავ... და კიდევ ხუთიათასიც რომ დაუმატოთ.

კაიუსი. ეშმაკმა დალაქვროს, მართლაც პატიოსნებას ქალია.

ფორდი. კარგით, მოვეშვათ. მე ხომ სადილზეც მოგიწვიეთ! წავიდეთ ახლა, ბაღში გავიაროთ. ამისათვის კი ბოდიშს ვიხდი, მერე გაიმბობთ, ეს რად ჩავიდინე. აბა, ჩემო ცოლო, წავიდეთ. მისის პეიჯ, გთხოვთ, მომიტევოთ. მთელის გულითა გთხოვთ პატიებას.

პეიჯი. წავიდეთ, ბატონებო. ღირსია, რომ ყბად ავიდოთ! ხვალ დილით საუზმეზე მეწვიეთ ყველა, მერე კი სანადიროდ წავიდეთ - მშვენიერი მიმინო მყავს. ჰა, რას ტყვით?

ფორდი. ძალიან კარგი.

ევანზი. ერთი თუ წამოვა ვინმე, მე დავუწყვილდებ.

კაიუსი. ერთი და ორი თუ იქნები, მესმია ჩემი იქნები, ჩემი გეფისებათ.

ევანზი. ფუი, სირცხვილო!

ფორდი. წავიდეთ, მისტერ პეიჯ.

ევანზი. აბა, ხვალ არ დაგავიწყდეთ ის ტილიანი არამზადა, სასტუმროს პატრონი.



კაიუსი. კარგი, ეშმაკმა დალაქვროს, არა.  
ევანზი. ტილიანი არამზადა, როგორ პედავს მასხარად და აპუჩად აგდეპას!  
(გადიან)

სურათი მეოთხე. ოთახი პეიჯის სახლში  
შემოდინ ფენტონი და ენ პეიჯი

ფენტონი. ვატყობ, ვერ შევძლებ მამიშენის გულის მოგებას; და მეტად ნუღარც მათხოვნიებ, უტკბესო ენი.

ენ პეიჯი. მაშ რა უნდა ვქნათ?

ფენტონი. შენი თავი შენ გეკუთვნოდეს!

მოიმიზეზა, დიდი გვარის მემკვიდრე ხარო,

შენი დოვლათი დაუდევრად გაანიავე

და მის აღდგენა ახლა ჩემი ქონებით გსურსო.

გადამიშალა წინ აგრეთვე სხვა დაბრკოლებაც:

მეგობრობდით უხამს ხალხთან, მუდამ შფოთს სტეხდი;

ვერ დავიჯერებ, მითხრა, ჩემი ქალი გიყვარდეს,

მისი დოვლათი გიტაცებსო, სხვა არაფერი.

ენ პეიჯი. იქნება მართლაც ასე იყოს!

ფენტონი. არა, მერწმუნე, ზეცას ვფიცავ, ასე არ არის,

თუმცა პირველად, გამოვტყდები, მისმა ქონებამ

დამაწყებინა, ო, ტკბილო ენ, შენთან არშიყი.

მაგრამ დავრწმუნდი, რომ შენ უფრო მეტი ფასი გაქვს,

ვიდრე მის ოქროს, ან სკივრებში ჩაკეტილს ფულსა;

და ახლა მხოლოდ შენ საკუთარ სიმდიდრეს ვეტრფი.

ენ პეიჯი. კეთილშობილო მისტერ ფენტონ, კვლავაც ეცადე.

იქნება შეძლო მამიჩემის გულის მოგება,

და თუ შემთხვევამ, მშვიდმა თხოვნამ არ გაგიმართლა,

რა გაეწყობა, მაშინ... ჩუმად, აქეთ მოდიან.

(გვერდზე მიდგებიან და ჩუმად ლაპარაკობენ. შემოდინა შელოუ, სლენდერი და მისის კუიკლი)

შელოუ. მისის კუიკლი, გააწყვეტინე საუბარი, ჩემი ძმისწული უნდა ელაპარაკოს.

სლენდერი. რაც იქნება იქნეს, გაგზედავ და ვეტყვი!

შელოუ. არ დაფრთხე.

სლენდერი. არა, მისს ენი არ დამაფრთხოვს, ამისი ფიქრი არა მაქვს, ოღონდ ისე მეშინია რაღაც.

მისის კუიკლი. მომისმინეთ, მისტერ სლენდერს ორი სიტყვა აქვს თქვენთან სათქმელი.

ენ პეიჯი. მოვდივარ. (თავისთვის) აი, მამაჩემის ამორჩეული. ამ განუსაზღვრელ ბოროტებას და სისამაგლეს ფარავს სამასი გირვანქისა შემოსავალი.

მისის კუიკლი. თქვენ როგორღა ბრძანდებით, მისტერ ფენტონ? რაღაც უნდა გითხრათ.

შელოუ. აბა, მოდის, შეეგებე, ძმისწულო. ეჰ, რა მამა გყავდა, ბიჭო!

სლენდერი. მე მამა მყავდა, მისს ენ. ბიძაჩემი მოგიყვებათ სასაცილო რამეებს მასზე. ძია, გემუდარებით უამბოთ მისს ენს, როგორ მოიპარა ერთხელ მამაჩემმა საქათმიდან ორი ბატი, ჰა, ბიძაჩემო!

შელოუ. მისს ენ, ჩემს ძმისწულს უყვარხართ.

სლენდერი. ნამდვილად, ნამდვილად მიყვარს. ისე მიყვარს, როგორც ყოველი გლოსტერშირელი ქალი.

შელოუ. ნამდვილი ქალბატონივით შეგინახავს.

სლენდერი. უსათუოდ, უსათუოდ, როგორც ესკვაირზე დაბლა მდგომს შეეფერება.

შელოუ. ას ორმოცდაათ გირვანქას თქვენს სახელზე დაამტკიცებს.

ენ პეიჯი. კეთილო მისტერ შელოუ, აცალეთ, თვითონვე მეკურკუროს.

შელოუ. ო, გმადლობთ, მადლობელი ვარ ამ გამხნეებისათვის. ძმისწულო, მისს ენი გიხმობს, მე დაგტოვებთ.

ენ პეიჯი. აბა, მისტერ სლენდერ...

სლენდერი. აბა, მშვენიერო მისს ენ...

ენ პეიჯი. რა არის თქვენი უკანასკნელი სურვილი?

სლენდერი. უკანასკნელი სურვილიო! ჰა, კაი ხუმრობაა, ღმერთმანი! მადლობა ღმერთს, ჯერ უკანასკნელი სურვილი და ანდერძი არ შემიდგენია, არც ისე სუსტი და ავადმყოფი ქმნილება ვარ, დიდება უფალს.

ენ პეიჯი. მე გეკითხებით, ჩემთან რა საქმე გაქვთ-მეთქი, მისტერ სლენდერ?

სლენდერი. მართალი გითხრათ, ჩემი მხრით და ჩემდა თავად, სათქმელი ძალიან ცოტა მაქვს, თითქმის სულაც არაფერი. მამათქვენმა და ბიძაჩემმა წამოიწყეს ეგ საქმე. თუ ბედმა გამიღიმა, ხომ კარგი - არადა, ღმერთმა ხელი მოუმართოს ბედნიერს! ჩემზე უკეთ ისინი გეტყვიან, როგორა ჯობს საქმისათვის. მამათქვენს ჰკითხეთ. აჰა, ისიც მოდის.

(შემოდინან პეიჯი და მისის პეიჯი)

პეიჯი. ჰა, მისტერ სლენდერ! შეიყვარე, ჩემო ასულო! ამას შეხედე! მისტერ ფენტონს ჩვენთან რა უნდა? სერ, თავს მაზეზრებთ წარამარა აქ სიარულით. აკი გითხარით, რომ ჩემს ასულს სხვაზე ვათხოვებ!

ფენტონი. მოთმინებიდან ნუ გამოხვალთ, გემუდარებით.

მისის პეიჯი. ბატონო ფენტონ, ჩემს ქალიშვილს ჩამოეხსენით!

პეიჯი. არ არის თქვენი შესაფერი! ჯობს ჩამოეხსნათ!

ფენტონი. აღარ მომისმენთ?

პეიჯი. არა, არა, ბატონო ფენტონ. მისტერ შელოუ, გამომყევით, შენც, შვილო სლენდერ. პასუხი უკვე იცით, და სწორედ ის მწყინს, რომ არ მეშვებით, მისტერ ფენტონ.

(გადიან პეიჯი, შელოუ და სლენდერი)

მისის კუიკლი. დედასა სთხოვთ.

ფენტონი. მისის პეიჯ, წმინდა გულით ვეტრფი თქვენს ასულს,

ისე გულწრფელად, რომ გაკიცხვას, უარს, დატუქსვას

მე შევგაგებებ ფართოდ გაშლილ ტრფობის ბაირალს;

ძირს კი არ დავხრი - თქვენს თანხმობას გთხოვთ, ქალბატონო.

ენ პეიჯი. კარგო დედილო, ე მაგ ჩერჩეტს ნუ მიმათხოვებ.

მისის პეიჯი. მაგას არც ვფიქრობ. უკეთეს ქმარს დავეძებ შენთვის.

მისის კუიკლი. ჩემი ბატონი! ეს ბატონი ექიმი გახლავთ!

ენ პეიჯი. ვაიმე, მიჯობს, რომ ცოცხალი ჩამფლათ მიწაში,

მერე ბოლოკი დამიშინოთ და იმით მომკლათ.

მისის პეიჯი. დამშვიდდი, ასე რად აღელდი. კეთილო ფენტონ,

ნურც მტრად მიმიღებთ, ნურც მიგულეებთ თქვენს მეგობრადა.

ვკითხავ ჩემს ასულს, თუ უყვარხართ, და როგორც მეტყვის,

მეც სწორედ ისე მოვიქცევი. ახლა მშვიდობით,

უნდა წავიდეს, თორემ მამა გაუჯავრდება.

ფენტონი. მშვიდობით, ჩემო ქალბატონო. მშვიდობით ენი.

(გადიან მისის პეიჯი და ენ პეიჯი)

მისის კუიკლი. სულ ჩემი საქმეა. ასე ვუთხარი: „განა იმ ჩერჩეტისთვის, ან იმ ექიმისათვის გადაადგებთ ბავშვს? აბა, მისტერ ფენტონს შეხედეთ!“ სულ ჩემი საქმეა.

ფენტონი. მადლობელი ვარ, და ერთსაც გთხოვ; ჩემს ძვირფას ენსა

ჩემგან გადაეც ეს ბეჭედი. ჰა, გასამრჯელო.

მისის კუიკლი. ღმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოს! (ფენტონი გადის) ალალი გული აქვს. ამისთანა კეთილი გულისთვის ქალი ცეცხლში და წყალში გადავარდება. მაგრამ მე მაინც იმას უნდა ვეცადო, რომ მის ენი ჩემს ბატონს შეხვდეს, ან მისტერ სლენდერს, ან თუ არადა მისტერ ფენტონს. ყოველ ღონეს ვიხმარ სამივეს საამებლად, რადგან სამივეს შევპირდი, სიტყვას ხომ არ გავტეხ! ეს კია, რომ მისტერ

ფენტონისათვის უფრო მეტად შევეცდები. ვაიმე, აკი ფოლსტაფთან უნდა წავსულიყავ, ასე დამავალა ორმა ქალბატონმა. რა მხეცი ვარ, კიდეც აქა ვზოზინებ!  
(გადის)

სურათი მეხუთე. ოთახი სასტუმრო „წვივსაკრავში“  
შემოდინა ფოლსტაფი და ბარდოლფი

ფოლსტაფი. ბარდოლფ, ბარდოლფ...

ბარდოლფი. აქ გახლავართ, სერ.

ფოლსტაფი. წადი, ღვინო მომიტანე, ცოტა გამომხმარი პურიც ჩამიყარე შიგ. (ბარდოლფი გადის) იმისათვის მოვიყარე ამოდენა კაცი, რომ ახლა საყასბოს დამპალი ხორცის ნარჩენებივით, კალათით ტემზაში გადავეგდეთ?! ერთხელ კიდეც რომ დამემართოს ასეთი სეირი, ნებას მივცემ, ტვინი გამომიღონ თავიდან, ერბოში შეწვან და ძაღლებს დაუყარონ საახალწლოდ. მაწანწალები! ისე არხეინად გადამიძახეს წყალში, თითქოს ძუკნას თხუთმეტი ბრმა ლეკვი გადაეყაროთ - ოდნავადაც არ უგრძენიათ სინდისის ქენჯნა. მერედა, ჩემი მოყვანილობის კაცს რა მისწრაფება აქვს ჩამირვისაკენ! ჯოჯოხეთის სიღრმეზე რომ იყოს ფსკერი - იქაც ჩავაღწევ. დავიღრჩობოდი კიდეც, მაგრამ ბედზე მეჩეჩიანი ნაპირი შემხვდა. მერე რა საზიზღარი სიკვდილია! წყალი ხომ ბერავს ადამიანს, და რა კარგი სანახავი ვიქნებოდი, კიდეც უფრო რომ გავბერილიყავი. მთას არ დავემსგავსებოდი!

(ბარდოლფს ღვინო შემოაქვს)

ბარდოლფი. მისის კუიკლი გახლავთ, სერ, თქვენი ნახვა სურს.

ფოლსტაფი. მომეცი, ტემზის წყალს ცოტა ღვინოც დავასხა, თორემ ისე გაყინული მაქვს მუცელი, თითქოს გამაგრებელი აბების ნაცვლად თოვლის გუნდები გადამეყლაპოს. უთხარი შემოვიდეს.

ბარდოლფი. შემოდი, ქალო.

(შემოდის მისის კუიკლი)

კუიკლი. მშვიდობის დილა თქვენს ბრწყინვალეობას.

ფოლსტაფი. ეს თასები გაიტანე და ერთი ბოთლი ღვინო ამიდულე.

ბარდოლფი. კვერცხით, სერ?

ფოლსტაფი. არა, შეუზავებლად. ღვინოში ახალგამოჩევილ წიწილებს ხომ არ ავურევ? რა გინდა?

(ბარდოლფი გადის)

კუიკლი. ბატონო, თქვენს ბრწყინვალეობასთან გამომგზავნა მისის ფორდმა.

ფოლსტაფი. მისის ფორდო! მეყო, მეყო ფერდების ჩამტვრევა! მრთელი აღარაფერი შემრჩა! ფერდები მუცელში შემვივარდა!

კუიკლი. ვაი, ამ მოსწრებას! საბრალო ქალი! რა მისი ბრალია, სერ?! კარგად მოხვდათ ამისთვის იმ ხეპრეებს: ვერ გაიგეს ქალბატონის ნათქვამი!

ფოლსტაფი. ჩემსავით მოსვლიათ, მეც სულელი დედაკაცის ნათქვამი დავიჯერე.

კუიკლი. სამაგიეროდ, ახლა ისე ნანობს, სერ, ისე ნანობს!.. გული მოგიკვდებათ, რომ ნახოთ! მისი ქმარი ამ დილას სანადიროდ აპირებს წასვლას, და ქალმა ასე შემოგივთვალათ, რვიდან ცხრამდე მოდითო. ჩქარა უნდა მივუტანო პასუხი. დამიჯერეთ, რომ იმ მარცხის ნაცვლად, ახლა მიიღებთ ჯილდოს.

ფოლსტაფი. კეთილი, მოგინახულებ-თქო, გადაეცი. თან უთხარი, კარგად დაუფიქრდეს, რას წარმოადგენს ადამიანი, აწონ-დაწონოს მისი დაუდგრომელი ბუნება და მერე ჩემი ღირსებაც განსაჯოს.

კუიკლი. ვეტყვი.

ფოლსტაფი. ჰო, უთხარი! რვიდან ცხრამდეო?

კუიკლი. რვიდან ცხრამდე, სერ.

ფოლსტაფი. კარგი, წადი, უსათუოდ მოვალ.

კუიკლი. მშვიდობა არ მოგეშალოთ, სერ. (გადის)

ფოლსტაფი. ნეტა მისტერ ბრაკი სად დაიკარგა! შემომითვალა, დამელოდეო. ძალიან შემეყვარდა მისი ქისა! აჰა, მოდის.

(შემოდის გადაცემული ფორდი)

ფორდი. გამარჯობა, სერ.

ფოლსტაფი. ო, მისტერ ბრაკ, ამბის გასაგებად მოხვედით არა? გინდათ გაიგოთ, რა მოხდა მისის ფორდსა და ჩემს შორის?

ფორდი. დიახ, სერ ჯონ, სწორედ მაგისტრის მოვედი.

ფოლსტაფი. ვერ მოგატყუებთ, მისტერ ბრაკ, ვიყავი მასთან, სწორედ დანიშნულ დროს.

ფორდი. მერე, სერ, მიაღწიეთ რამეს?

ფოლსტაფი. ძალიან ცუდ რამეს მივაღწიე, მისტერ ბრაკ.

ფორდი. როგორ, სერ, გადაიფიქრა?

ფოლსტაფი. არა, მისტერ ბრაკ, მაგრამ ძლივს მოვასწარიტ შეხვედრა, ჩახუტება, კოცნა, სიყვარულის ახსნა, ერთგვარი შესავლის გათამაშება ჩვენი კომედიისათვის, რომ უცებ მოვარდა მისი უბადრუკი, რქოსანი ქმარი, რომელსაც მუდამ ეჭვიანობის ბნედა მოსდის ხოლმე, მისტერ ბრაკ... უკან თავისი ავანჩავანების მთელი ბანდა მოსდევდა ფეხდაფეხ; გაცოფებულს, ყველა აეწრიალებინა, რათა ცოლის საყვარელი დაეჭირა სახლში.

ფორდი. როგორ, იმ დროს თქვენ იქ იყავით?

ფოლსტაფი. იქ ვიყავი.

ფორდი. მერე, დაგმებნათ და ვერ გნახათ?

ფოლსტაფი. მომისმინეთ. ბედზე, ვიღაც მისის პეიჯი შემოვარდა და გაგვაფრთხილა, ფორდი მოდისო; მისი მოსაზრებისა და ფორდის ცოლის დაბნეულობის წყალობით, ჭუჭყიანი სარეცხის კალათით გამომაპარეს.

ფორდი. სარეცხის კალათით?!

ფოლსტაფი. სარეცხის კალათით, ღვთის მადლმა. ჩამტენეს ჭუჭყიან თეთრეულში, ქალის პერანგებში, ჭუჭყიან წინდებში, გაქონილ სუფრებში... ისე იყო, მისტერ ბრაკ, სიმყრალე არეული ერთმანეთში, რომ იმისთანა საზიზღარ სუნს ჯერ არ შეურაცხყვია ადამიანის ცხვირი.

ფორდი. რამდენ ხანს იწექით იმ კალათში?

ფოლსტაფი. დამაცათ, გითხრათ, მისტერ ბრაკ. რა არ გადავიტანე, რომ თქვენდა სასიკეთოდ ის დედაკაცი ბოროტისაკენ გადამეხარა! ჩამტენეს თუ არა კალათში, ქალბატონმა ორ არამზადა მსახურს მოუხმო და უბრძანა, სამრეცხაოს უბანში წაათრიეთო, თითქოს ჭუჭყიანი სარეცხი ვყოფილიყავ. ის იყო გამიდეს მხარზე, რომ კარებში ეჭვით გაბერილი არამზადა გამოჩნდა - მათი ბატონი. ორჯერ იკითხა, კალათში რა გაქეთო. შიშით კანკალი დამაწყებინა, ამ გიჟმა არამზადამ კალათი არ გაჩხრიკოს-მეთქი, მაგრამ ბედმა, რომელსაც მისთვის რქოსნობა დაუწერია, ხელი გაუჩერა. ის შინ შევიდა სამეხნელად, მე კი, როგორც ჭუჭყიანი საცვალი, გარეთ გამომათრიეს. კარგად დააკვირდით, მისტერ ბრაკ! სამი სხვადასხვაირი სიკვდილის ტანჯვა გადავიტანე: ჯერ იყო და, საზარელი შიში განვიცადე, იმ დამპალმა, ეჭვიანმა ბოტმა არ მნახოს-მეთქი, მეორე ისა, რომ მოკრუნჩხული ვიყავი ესპანური ხანჯალივით, ისე, რომ ტარი ფეხისკენ იყო მიზიდული, ხოლო ქუსლები თავისკენ; მესამეც - მაგარი სასმელივით თავდაცული ვიყავი მყრალი საცვლებით, რომელიც თავისივე ქონში იხარშებოდა; არა, თვითონვე წარმოიდგინეთ ჩემი მოყვანილობის ადამიანი - კარგად დაუფიქრდით ამას - რომელსაც სიცხე ერბოსავით მომაქცევს ხოლმე, ერთთავად ვდნები და ვლღვები!.. არ ვიცი, რა სასწაულით არ მოვიგუდე... და ასეთი გახურებული აბანოდან, როცა ჰოლანდიური შეჭამანდივით ნახევრად მოხარშული ვიყავი ჩემივე ქონში, უცებ ტემზაში მიკრეს თავი, ჩემი გავარვარებული სხეული გასაცივებლად წყალში ჩაუშვეს, თითქოს ცხენის ნალს აწრთობენო. არა, კარგად დაუფიქრდით! გავარვარებული სხეული, მისტერ ბრაკ! ამას დაუფიქრდით!

ფორდი. სინდისს გეფიცებით, დიდად ვწუხვარ, სერ, რომ ჩემი გულისთვის ასე ეწამეთ. ჩემი თხოვნა კი, რა თქმა უნდა, უიმედოა ახლა. მეტად აღარა ცდით, ალბათ.

ფოლსტაფი. ტემზაში ხომ ჩამაგდეს! ახლა ეტნაში ჩამაყირავონ, მისტერ ბრაკ, თუ ასე ადვილად დავთმო ის ქალი. მისი ქმარი ამ დილას სანადიროდ მიდის. ქალმა დღეს კიდევ გამომიგზავნა კაცი, ერთმანეთს შევხვედითო; რვიდან ცხრამდე დამინიშნა დრო, მისტერ ბრაკ.

ფორდი. უკვე მეცხრე საათია, სერ.

ფოლსტაფი. მართლა? მაშ დროა წავიდე. როცა მოიცლით, გამოიარეთ, ყველაფერს გეტყვით. საქმე თქვენი შეერთებით დაგვირგვინდება, სერ. მშვიდობით. ის ქალი თქვენი გახდება, მისტერ ბრაკ. ფორდს რქებს დაადგამს თავზე. (გადის)

ფორდი. ა? რაო? მომეჩვენა? სიზმარში ვარ? მიძინავს? გაიღვიძე, მისტერ ფორდ! გაიღვიძე, მისტერ ფორდ! შენი საუკეთესო ქურთუკი გამოხვეტილა, მისტერ ფორდ! აბა, რა გეგონა, ცოლს რომ ირთავდი! რა გეგონა, სახლში ჭუჭყიანი სარეცხის კალათს რომ ინახავდი! კარგი, ახლა გაჩვენებთ, ვინცა ვარ. ახლავე დავიჭერ ამ მრუშს. ჩემს სახლშია, ვერსად წამივა! ვერ წამივა! ქისაში ხომ ვერ ჩამვრება, სამარილეში ხომ ვერ დაიმალება? მაგრამ, რაკი ბოროტი ანგელოზი სწყალობს - ყველაფერს დავზრეკ, ყველა ეჭვიმტანილ ადგილს. რაკილა ვერ გავეჩევი იმას, რაცა ვარ, ბარემ ნუ ვიქნები თვინიერი: რაკი რქები გამომება, რაკილა გამაცოფეს იმ რქებმა, ბარემ გავამართლებ ანდაზას და ცოფიანი ხარივით დავიწყებ რქენას.

(გადის)

### მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი. ქუჩა

შემოდინ მისის პეიჯი, მისის კუიკლი და უილიამი

მისის პეიჯი. როგორ გგონია, უკვე მივიდოდა მისის ფორდთან?

კუიკლი. უთუოდ მივიდოდა, ან საცაა მივა. რომ იცოდეთ, როგორ გაცოფებულია - მდინარეში ჩამაყირავესო! მისის ფორდმა გთხოვათ, მალე მოდიეთ.

მისის პეიჯი. ახლავე წავალ, ჯერ ჩემი ბიჭი მივიყვანო სკოლაში. აგერ მისი მასწავლებელიც, ეტყობა, მეცადინეობა არ იქნება დღეს. (შემოდის სერ ჰიუ ევანზი) რა ამბავია, სერ ჰიუ, დღეს მეცადინეობა არ იქნება?

ევანზი. არ იქნება! მისტერ სლენდერმა მთხოვა - გაუშვი პიჭები, ითამაშონო.

კუიკლი. ღმერთმა დალოცოს მისი გული!

მისის პეიჯი. სერ ჰიუ, ჩემი ქმარი ამბობს, ჩვენს ბიჭს წიგნი არაფერ სარგებლობას არ აძლევსო. იქნებ გამოსცადოთ ლათინურ გრამატიკაში.

ევანზი. აქეთ მოიწი, უილიამ. თავი ასწიე, მოიწი.

მისის პეიჯი. აბა, მიდი, სულელო, გასწორდი და მასწავლებელს უპასუხე, ნუ გეშინია.

ევანზი. რამდენნაირია, უილიამ, რიცხვი არსეპითი სახელისა?

უილიამი. ორნაირი.

კუიკლი. მე კი მეგონა, მეტი იყო. სულ გაიმახიან - უთვალავიაო.

ევანზი. ნუ ტიტინეკ. აბა, უილიამ, როგორ იქნება „ჭემმარიტეპა“?

უილიამი. „Veritas<sup>[1]</sup>!“

კუიკლი. ვერ იტანსო?! ჭემმარიტეპას ვინ ვერ იტანს?

ევანზი. რამ გამოგაჩერჩეტა, დედაკაცო, გაჩუმდი. უილიამ, რას ნიშნავს „lapis“?

უილიამი. ქვას.

ევანზი. ქვა რაღას ნიშნავს, უილიამ?

უილიამი. კენჭს.

ევანზი. არა, „lapis“-ს ნიშნავს. ეს კარგად დაიხსომე ტვინში.

უილიამი. „lapis“.

ევანზი. ყოჩად, უილიამ. რისგან იწარმოება უილიამ, წევრეპი?

უილიამი. წევრეპი იწარმოება ნაცვალსახელისაგან და ასე იბრუნვის: Singulariter, nominativo, hic, haec, hoc.

ევანზი. Nominativo, hig, hag, hog, დაიხსომე. genetivo hujus. კარგი, აპლატიუსი, როგორღა იქნება?

უილიამი. ablativo - quo, qua, quo<sup>[2]</sup>.

ევანზი. სწორია, quo, qua, quo.

კუიკლი. ყვა, ყვა, ყვა! - ასე ყვავები ჩხავიან.

ევანზი. გაჩუმდი-მეთქი, დედაკაცო! აპა, წოდებითი პრუნვა როგორ იქნება, უილიამ?

უილიამი. ო, vocativo, ო...

ევანზი. აპა დაიხსომე, უილიამ. ვოკატივ - caret.

კუიკლი. გარეთ? საით გარეთ?

ევანზი. მოითმინე, დედაკაცო!

მისის პეიჯი. გაჩუმდი!

ევანზი. როგორ იქნება ნათესაობითი პრუნვის მრავლობითი რიცხვი?

უილიამი. ნათესაობითი ვაბრუნო?

ევანზი. ჰო.

უილიამი. Genetivo - horum, harum, horum.

კუიკლი. სირცხვილი, სირცხვილი, ბიჭო, ასე უნდა აიგდო ნათესავეები?! ნათესავეები აბრუნეო! ეს რა გავიგონე!

ევანზი. გრცხვენოდეს, დედაკაცო!

კუიკლი. თვითონვე უნდა გრცხვენოდეთ, ასეთ სიტყვებს რომ ასწავლით ბავშვს... სასაცილოდ იგდებენ ნათესავეებს და კეთილებს.

ევანზი. ქალო, გიჟი ხარ? არა გესმის, რას ნიშნავს პრუნვა, რიცხვი ან სქესი? შენისთანა გამოტვინებული ქრისტიანი ჯერ არ მინახავს.

მისის პეიჯი. გაჩუმდი, გთხოვ.

ევანზი. აპა ერთი ნაცვალსახელები მიპრუნე, უილიამ.

უილიამი. დამავიწყდა, ბატონო.

ევანზი. qui, quae, quod! - არ დაგავიწყდეს ეს qui-ები, quae-ები და quod-ები, თორემ მოგხვდება. ახლა წადი და ითამაშე, გასწი.

მისის პეიჯი. არ მეგონა, ამდენი რამე თუ იცოდა.

ევანზი. კარგი მესსიერება აქვს. მშვიდობით, მისის პეიჯ.

მისის პეიჯი. მშვიდობით, კეთილო სერ ჰეი. (ევანზი გადის) შინ წადი, შვილო. აბა გავსწიოთ, თორემ დაგვიგვიანდა. (გადიან)

სურათი მეორე. ოთახი ფორდის სახლში

შემოდინ ფოლსტაფი და მისის ფორდი

ფოლსტაფი. მისის ფორდი, შენ რომ მწუხარეს გიყურებ, სულ გადამავიწყდა ჩემი განსაცდელი. ვხედავ, რა თავდავიწყებამდე გცოდნია სიყვარული! სამაგიეროდ მეც სწორედ ასე მეყვარები, მისის ფორდი! უბრალო სიყვარულით კი არა - მთელი მორთულობით, სამკაულებითა და წესითა და რიგით. ოღონდ ნამდვილად გჯერა, რომ შენი ქმარი არ დაბრუნდება?

მისის ფორდი. სანადიროდაა, ძვირფასო სერ ჯონ.

მისის პეიჯი. (გარედან) ჰეი, ნათლიდედ, მისის ფორდი, სადა ხარ! არ გესმის?

მისის ფორდი. სერ ჯონ, ამ ოთახში შედით.

(ფოლსტაფი გადის, შემოდის პეიჯი)

მისის პეიჯი. როგორა ხარ, ჩემო საყვარელო? ხომ არავინა გყავს სახლში?

მისის ფორდი. მსახურებს გარდა, არავინ.

მისის პეიჯი. ნამდვილად?

მისის ფორდი. რა თქმა უნდა! (ჩუმად მიმართავს) ხმამალა ილაპარაკე.

მისის პეიჯი. როგორ მიხარია, რომ სახლში არავინა გყავს.

მისის ფორდი. რა მოხდა?

მისის პეიჯი. ისევ გაცოფებულა, ქალო, შენი ქმარი. დგას ჩემს ქმართან და ღრიალებს, ლანძღავს ყველა ჯვარდაწერილს, წყევლის ევას შთამომავლობას, ყველას უკლებლივ. შუბლში ხელს იცემს და ღრიალებს: „ამოდით, ამოდით, რქებო!“ - რამდენი გიჟი მინახავს ქვეყნად, მაგრამ ამასთან შედარებით

ყველა თვინიერი, თავაზიანი და წყნარი მოგეჩვენება. კიდევ კარგი, რომ ის გაბერილი რაინდი შენთან არ არის დღეს.

მისის ფორდი. რატომ? იმასაც ახსენებს?

მისის პეიჯი. სხვას არც არავის ახსენებს და თან ფიცულობს - ამასწინათ რომ ვემბდი, კალათით გააპარესო; ჩემს ქმარს არწმუნებს, ახლაც ჩემსა არისო. წამოათრია კიდევ ისა და სხვებიც ყველა, ვინც სანადიროდ იყო, რათა მეორედ მაინც გაამართლოს თავისი ეჭვები. ო, როგორ მიხარია, რომ რაინდი აქ არ არის! თვითონვე დარწმუნდება შენი ქმარი, რომ ტყუილუბრალოდ ჩმახავს რაღაცას.

მისის ფორდი. ახლოს არიან, მისის პეიჯ?

მისის პეიჯი. აქვე არიან, ქუჩის ბოლოში. საცაა მოვლენ კიდევ.

მისის ფორდი. დავილუპე, რაინდი აქ არის.

მისის პეიჯი. ვაი, როგორ შეირცხვინე თავი! ესეც ვერ გადაურჩება სიკვდილს. რა ყოფილხარ მაინც, ქალო! ჩქარა გაუშვი, ჩქარა გააპარე!.. სიკვდილს ისევე სირცხვილი ჯობს.

მისის ფორდი. რომელი გზით გაუშვა! რითი ვუშველო? ისევე კალათში ხომ არ ჩავტენოთ?

(შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი. აჰ, არა, არა, კალათში აღარ ჩავწვები. ისე ვერ გავასწრებ?

მისის პეიჯი. უბედურებაც ისაა, რომ მისტერ ფორდის სამი ძმა ეზოშია ჩასაფრებული, ხელში დამბაჩები უჭირავთ; ასე რომ არ იყოს, წახვიდოდით. რა გეშველებათ, რა გეშველებათ?

ფოლსტაფი. რა ვქნა? მოდი, ბუხარში შევძვრები!

მისის ფორდი. ნადირობის შემდეგ სწორედ ბუხარში იცის ხოლმე თოფის დაცლა.

მისის პეიჯი. ღუმელში შეძვრით.

ფოლსტაფი. სადაა ღუმელი?

მისის ფორდი. ღუმელს გაჩხრეკს, ნამდვილად ვიცი. არაფერი არ დაავიწყდება, არც ყუთი, არც სკივრი, განჯინა, კარადა, სარდაფი, საკუჭნაო... ყველაფერს გაჩხრეკს. არა, სახლში ვერ დაიმალება.

ფოლსტაფი. მაშ, წავალ.

მისის პეიჯი. გადაუცმელი რომ გახვიდეთ, სერ ჯონ, სიკვდილი არ აგცდებათ!

მისის ფორდი. რა გადავაცვათ?

მისის პეიჯი. ვაი ამ მოსწრებას! აბა, რა გითხრა? ამოდენა კაბა სად ვიშოვოთ, ამას რომ მოერგოს, თორემ კარგი კი იქნებოდა: ქუდს დაიხურავდა, თავშალით მოიფუთნებოდა და გაიპარებოდა.

ფოლსტაფი. მოიგონეთ რამე, კეთილო ხალხო. ოღონდ ნუ მომკლავენ და, რაც გინდათ, ის გამაკეთებინეთ.

მისის ფორდი. ბრეინფორდელი ფაშფაშა დედაბრის - ჩემი მოახლის ძალუის კაბაა ზემოთ<sup>[1]</sup>!

მისის პეიჯი. მოერგება, შენ არ მომიკვდე! ისიც სწორედ ამოდენაა. ფოჩებიანი ქუდი და თავშალიც ხომ აქ არის? აბა, ზემოთ, სერ ჯონ.

მისის ფორდი. გასწით ზემოთ, ჩემო კარგო სერ ჯონ. მისის პეიჯი და მე აქ გამოვნახავთ რაიმეს თავზე შემოსახვევად.

მისის პეიჯი. მარდად, მარდად! ჩვენც ახლავე ამოვალთ და მოგრთავთ, მანამდე კაბა გადაიცვით.

(ფოლსტაფი გადის)

მისის ფორდი. ნეტა ჩემი ქმარი შეხვდებოდეს ასე გადაცმულს: ვერ იტანს იმ ბრეინფორდელ ბებრუხუნას; კუდიანიაო, ამბობს, და აუკრძალა კიდევ ჩვენსა მოსვლა. თუ ვნახე, ვცემო, იმუქრება.

მისის პეიჯი. ზეცამ ინებოს და შენი ქმრის ჯოხქვეშ მოაქციოს ეგ არამზადა, ჯოხი კი ეშმაკს დაატრიალებინოს!

მისის ფორდი. მართლა ხომ არ მოდის ჩემი ქმარი?

მისის პეიჯი. მართლა მოდის და თან იმ კალათზე ლაპარაკობს, ეტყობა, როგორღაც გაუგია.

მისის ფორდი. მაგას გამოვარკვევთ. ახლავე ვუბრძანებ მსახურებს, რომ კალათი მოამზადონ და იმდღევანდელივით კარებში შეხვდნენ ჩემს ქმარს.

მისის პეიჯი. ჩქარა, თორემ საცაა მოვა კიდევ, ზემოთ წავიდეთ, დედაბრის კაბა გადავაცვათ.

მისის ფორდი. ჯერ მსახურებს დავარიგებ, როგორ წაიღონ კალათი, შენ ზემოთ წადი; თავშალს მოვძებნი და მეც მალე ამოვალ. (გადის)

მისის პეიჯი. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია იმ უსინდისო არამზადას! ყველაფერი ახია მასზე.



ჩვენ უნდა ყველას დავუმტკიცოთ ჭეშმარიტება:

სიცილ-ვისკისი და ანცობა ვის აუკრძალავს,

ილაღოს ქალმაც - როდი ნიშნავს ეს გარყვნილებას.

ძველთაგან თქმულა: ჩუმჩუმელა მეტ ცოდვას მალავს.

(შემოდინ მისის ფორდი და ორი მსახური)

მისის ფორდი. აბა, ბიჭებო, ეს კალათა წინანდებურად მხარზე გაიდეთ, საცა ბატონი გამოჩნდება კარებში. თუ გიბრძანათ, კალათი დადეთო, მაშინვე დაემორჩილეთ. აბა, ჩქარა.

პირველი მსახური. მოდი, მოდი ასწიე.

მეორე მსახური. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ახლაც ის რაინდი იწვევს შიგ.

პირველი მსახური. არა მგონია; იმის თრევას ტყვიის ზიდვა მირჩევნია!

(შემოდინ ფორდი, პეიჯი, შელოუ, კაიუსი და სერ ჰიუ ევანზი)

ფორდი. ასე იყოს. ოღონდ თუ მართალი გამოვდექი, მისტერ პეიჯ, მაშინ დაცინვა უკანვე უნდა წაიღო.

კალათი დადეთ, თაღლითებო. ჩემს ცოლს დაუძახეთ! აბა, გამოგოგმანდით, ვაჟბატონო, კალათიდან!

ახ, თქვე ყალთაბანდებო! მთელი ბანდააა, ხროვა, დუნდგო! შეთქმულებას მიწყობენ! ახლავე თავლაფს დავასხამ ეშმაკს! ცოლი მომგვარეთ-მეთქი! მობრძანდით, წინ წამოდექით! შეხედეთ ერთი, რა დიდებული საცვლები გაგიგზავნიათ გასარეცხად.

პეიჯი. ეს უკვე მეტისმეტია! შენ თავისუფლად გაშვება აღარ შეიძლება, მისტერ ფორდ, უნდა დაგაბან!

ევანზი. ეს ხომ სიგიჟეა! ცოფიან ძაღლსა ჰგავს!

შელოუ. მართლაც რომ არ არის კარგი, მისტერ ფორდ, მართლაც არ შეიძლება ასე!

ფორდი. მეც ამას მოგახსენებთ, ბატონო. მობრძანდით მისის ფორდ, პატიოსანო ქალბატონო, მორჩილო ცოლო, სათნო ქმნილებავ! რა ეჭვიანი, ჰკუათხელი ქმარი გყავს! უსაფუძვლოდ ვეჭვიანობ ხომ, ქალბატონო, ჰა?

მისის ფორდი. ღმერთი მყავს მოწმედ, თუკი რაიმე უნამუსობაში მდებთ ბრალს, მართლაც უსაფუძვლო ეჭვი იქნება.

ფორდი. კარგადა ბრძანებთ, უტიფარო! განაგრძეთ! შენ ეი, გამოძვერი! (კალათიდან საცვლებს იღებს)

პეიჯი. აჰ, ეს მეტისმეტია!

მისის ფორდი. როგორ არა გრცხვენია? თავი გაანებე სარეცხს!

ფორდი. სად წამიხვალ!

ევანზი. ეს უგუნურეპაა! სულ უნდა ააქოთო ცოლის საცვლები? თავი დაანეპე.

ფორდი. დაცალეთ კალათი!

მისის ფორდი. რატომ, კაცო, რა მოგივიდა?

ფორდი. მისტერ პეიჯ, როგორც კაცი, გუშინ აქედან, ამ კალათით ერთი ვიღაცა გააპარეს. რატომ არ შეიძლება, რომ დღესაც შიგ იყოს? ჩემს სახლში რომ არის, ამაში დარწმუნებული ვარ: უტყუარი ცნობები მაქვს, ჩემი ეჭვი საფუძვლიანია... ამოჰყარეთ, ამოჰყარეთ საცვლები!

მისის ფორდი. თუ შენ მანდ კაცს ნახავ, რწყილივით გასრისე.

პეიჯი. არავინ არ არის.

შელოუ. პატიოსნებას გეფიცებით, ეს არ არის კარგი, მისტერ ფორდ. საკუთარ თავსა ვნებთ!

ევანზი. უნდა ილოცოთ, მისტერ ფორდ; რამდენი რამე მოგეჩვენებათ, არ უნდა აჰყვეთ - ეს ეჭვიანოპაა!

ფორდი. ბიჭოს, ვისაც ვემებ, მართლაც არ არის აქ.

პეიჯი. არსადაც არ არის, ის მხოლოდ შენს თავშია.

ფორდი. ერთხელ კიდევ მომეხმარეთ, გამაჩხრეკინეთ სახლი. თუ მართლაც ვერ ვიპოვნე, ვისაც დავემებ, ნულარ დამინდობთ, გამამასხრეთ, დაე, ყველამ ასე თქვას ჩემზე: ფორდივით ეჭვიანია, რომელიც ცოლის კუროს თხილის ნაჭუჭში ეძებდაო. ერთხელ კიდევ შემისრულეთ გულის წადილი, ერთხელ კიდევ მომამებნინეთ.

მისის ფორდი. ჰეი, რა მოგივიდათ, მისის პეიჯ! აღარ ჩამოდიხართ შენ და ეს დედაბერი? ჩემი ქმარი უნდა ამოვიდეს ზემოთ.

ფორდი. დედაბერიო? ვინ დედაბერი?

მისის ფორდი. ჩემი გოგოს ძალუა, აი ბრეინფორდელი ბებრუხანა.

ფორდი. ახ, კუდიანი! უტიფარი ბებრუხუნა, ქვემ-ქვემა მატრაბაზი! აკი დავითხოვე ჩემი სახლიდან?! მაჭანკლობს, განა? ჰა? ჩვენ ხომ უვიცი ხალხი ვართ, არ ვიცით მკითხაობა-მარჩიელობაში რა ოინებს შემოაპარებენ ხოლმე! ის მკითხაობს, ჯადოქრობს, ოინზაზობს - ჩვენ კი ასეთი რამეებისა არა გაგვეგება რა, ვერა სწვდება ჩვენი გონება! აბა, ჩამოდი, ჩამოშავდი, შე კუდიანო, შე ალქაჯო, ჩამოდი-მეთქი, არ გეყურება?!

მისის ფორდი. კარგი, დამშვიდდი, ჩემო კარგო, ტკბილო მეუღლე! ბატონებო, ნუ დაანებებთ ამ დედაბრის ცემას!

(შემოდის მისის პეიჯი, რომელსაც ქალის კაბაში ჩაცმული ფოლსტაფი შემოჰყავს)

მისის პეიჯი. მომყეთ, მომყეთ, ხელი მომეცით, ძალუა რეტ.

ფორდი. მე მაგას დავარეტიანებ კარგად! (სცემს) გაეთრიე ჩემი სახლიდან, შე კუდიანო, შე ჩამობრანძულო, უტიფარო, მუდო, ქეციანო! გაეთრიე! გაეთრიე! მე შენ გიმარჩიელებ! მე შენ გიმკითხავებ!

(ფოლსტაფი გადის)

მისის პეიჯი. როგორ არა გრცხვენიათ? კინაღამ ხელში შემოგაკვდათ საბრალო ქალი!

მისის ფორდი. ყოჩაღ, ქების ღირსი ხარ!

ფორდი. ჯანდაბას მისი თავი! კუდიანი!

ევანზი. როგორც გენეპოთ, მაგრამ ეს დედაკაცი მართლაც კუდიანსა ჰგავს. არ მომწონს წვერეპიანი ქალი, მაგას კარგა წამოზრდილი წვერი შევნიშნე თავშალქვემ.

ფორდი. არ გამომყვებით, ბატონებო? გთხოვთ, გამომყვით: ნახეთ ჩემი ეჭვიანობის შედეგი. თუ ჩემმა ყეფამ ნადირი არ წამოაგდო, სხვა დროს ნულარაფერს დამიჯერებთ.

პეიჯი. რა გაეწყობა, გავყვით, ბატონებო, ავუსრულოთ გულის წადილი.

(გადიან ფორდი, პეიჯი, შელოუ, კაიუსი და ევანზი)

მისის პეიჯი. დამერწმუნეთ, რომ შესაბრალისად მიბეგვა.

მისის ფორდი. არა, რას ამბობ; წირვის მადლმა, სწორედ რომ შეუბრალებლად მიბეგვა.

მისის პეიჯი. უნდა ვაკურთხოთ ის კეტი და საკურთხეველთან დავდოთ, ღირსეული სამსახური გაგვიწია.

მისის ფორდი. როგორა გგონიათ, კიდევ შეგვიძლია მივყვით ჩვენს შურისძიებას, ისე რომ არც ქალურ სათნოებას ვუღალატოთ და სინდისიც წმინდა დაგვრჩეს?

მისის პეიჯი. დარწმუნებული ვარ, გარყვნილების სული უკვე განდევნილია მისგან და თუ ეშმაკს სულითხორციანად არა ჰყავს დამორჩილებული, იმედი მაქვს, ტყუილუბრალოდ აღარ შეიწუხებს თავს, ვეღარ შემოგვბედავს.

მისის ფორდი. ქმრებს არ ვუამბოთ, რა ოინიც ვუყავით რაინდს?

მისის პეიჯი. რაღა თქმა უნდა, უსათუოდ, თუნდაც იმისთვის, რომ ქმარს თავიდან ეს მოჩვენებები გამოვუბერტყოთ. ისინი საჭიროდ ჩათვლიან, რომ კიდევ ასწავლონ ამ სათნოებაშემოცვეთილ, ჩასუქებულ რაინდს, ჩვენც დავებმარებით.

მისის ფორდი. დარწმუნებული ვარ, საჯაროდ შეარცხვენენ; და ახიც არის! თუ საქვეყნოდ არ დავასხით თავლაფი, ისე ჩვენი ოინი დაგვირგვინებული არ იქნება.

მისის პეიჯი. რაღას ვუდგევართ, ჩქარა სამჭედლოში: მანამ ეს საქმე არ გაციებულა, უნდა გამოვჭედოთ.

(გადიან)

სურათი მესამე. ოთახი სასტუმრო „წვივსაკრავში“

შემოდინ სასტუმროს პატრონი და ბარდოლოფი

ბარდოლოფი. გერმანელებსა სურთ, სამი თქვენი ცხენი წაიყვანონ, ბატონო: ხვალ თვით ჰერცოგს მოელიან სამეფო კარზე და უნდა შეეგებონ.

სასტუმროს პატრონი. ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ჰერცოგი, ასე საიდუმლოდ რომ მოდის? სასახლეში არაფერი უთქვამთ ჩემთვის. მოდი, გამოველაპარაკები მაგ ბატონებს. ინგლისური იციან?

ბარდოლფი. იციან, ბატონო. ახლავე თქვენთან მოვუხმობ.

სასტუმროს პატრონი. ცხენებს მივაქირავებ, ოღონდ ფული უნდა გადამიხადონ. მე მაგათ კარგად შევუკეთებ. მთელი კვირაა ჩემს სახლში მზრძანებლობენ; აღარავინ მიმიღია. სხვა სტუმრები უკანვე გავაბრუნე. ახლა უნდა გამისწორდნენ. მე მაგათ შევუკეთებ.  
(გადიან)

სურათი მეოთხე. ოთახი ფორდის სახლში

შემოდინ პეიჯი, ფორდი, მისის პეიჯი, მისის ფორდი და სერ ჰიუ ევანზი.

ევანზი. ეს ქალური გამოგონება ერთ-ერთი საუკეთესოა იმათ შორის, რაც მე ოდესმე მსმენია.

პეიჯი. ორივეს ერთდროულად გამოგიგზავნათ წერილები?

მისის პეიჯი. თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

ფორდი. შემიძნე, ცოლო. რაც გასურდეს, აწ იგი ჰქენი:

მზე ცვიანო, ეს რომ მითხრან, უფრო ვირწმუნებ,

შენს სიწმინდეში კი აროდეს არ დავეჭვდები;

ძველ ურწმუნოსთვის ახლა შენი პატიოსნება

გადაქცეულა ისე მტკიცედ, როგორც თვით რწმენა.

პეიჯი. კარგი, გეყოფა! ჯერ გინებას მოხსენი პირი,

ახლა ბოდისის გათავებას აღარ აპირებ!

ისა სჯობს გეგმა დავალაგოთ: ჩვენმა ცოლებმა

ჩასუქებული ვაჟბატონი მოიხმონ სადმე,

ჩვენ კი შევიპყრათ და საქვეყნოდ ლაფი დავასხათ.

ფორდი. მაგათ კარგად თქვეს, ჩვენ უკეთესს ვერ მოვიფიქრებთ.

პეიჯი. როგორ, შეუთვალონ, შუალამისას ბაღში გამოდიო? აჰ, არა, არა, არაფრის გულისთვის აღარ მოვა.

ევანზი. თქვენ ამჰოპთ, მდინარეში ჩააგდესო; მერე კი დედაპერი ეგონათ და მაგრად მიპეგვეს, არა? მე მგონი, ისე იქნება შეშინებული, რომ აღარ მოვა; ხორციტ გვემულ არს და ალპათ ყოველგვარი სურვილი გაუქრეპოდა.

პეიჯი. მეც ასე მგონია.

მისის ფორდი. თქვენ მოიფიქრეთ, რა ოინით დახვდებით რაინდს, იქ მოყვანა კი ჩვენზე იყოს, ჩვენვე მოგვანდეთ.

მისის პეიჯი. ძველი თქმულებით, მონადირე, ცნობილი ჰერნი,

რომელიც ერთხელ უინძორის ტყის მცველი იყო,

თითქოს ზამთრობით, შუალამის მყუდროებაში,

მუხის გარშემო დააბოტებს, ქუში, რქოსანი;

თითქოს აოხრებს მცენარეებს, ნახირს იტაცებს,

ძროხის რძეს სისხლად გადააქცევს და შესაზარად,

შემამრწუნებლად აჩხარუნებს ჯაჭვს გამუდმებით...

მასზე თქმულება თქვენ გასმენიათ. ისიც კი იცით,

რომ ცრუმორწმუნე ბერიკაცებს ეს სჯერათ კიდევ,

და ვით სიმართლეს, გადასცემენ შთამომავლობას.

პეიჯი. ჰერნის მუხასთან ღამით გავლა ბევრს ემინია.

მაგრამ რა მერე?

მისის ფორდი. სწორედ ეს გვაქვს მოფიქრებული,

რომ იმ მუხასთან შევეყაროთ თავზე რქებდადგმულს,

ჰერნისებურად მორთულსა და მოკაზმულ ფოლისტაფს.

პეიჯი. ვთქვამთ, არ დავეჭვდეთ იმაში, რომ ნამდვილად მოვა:

ვთქვამთ მოიტყუებთ, როგორც ამბობთ, ისე გადაცმულს,

მერე, ჩვენ რა ვქნათ? როგორ დავხვდეთ? გაქვს ამის გეგმა?

მისის პეიჯი. წინასწარვე გვაქვს ყველაფერი მოფიქრებული:  
ჩემს ასულს - ნენსა, ჩემს უფროს ვაჟს და სამ-ოთხ მათ ტოლს  
ელფების მსგავსად ჩვენ შევმოსავთ თეთრად და მწვანედ,  
თავებზე მრგვალად ცვილის სანთლებს შემოვუმწკრივებთ  
და ხელში ყველას საჩხარუნებს დავაჭერინებთ.

როგორც კი ტყეში შევიყრებით ჩვენ და ფოლსტაფი,  
ისინი მყისვე საფარიდან წამოხტებიან

და ხმაშუწყობ სიმღერებით მოგვვარდებიან;  
ჩვენ დავფეთდებით და საჩქაროდ გავილალებით,  
ხოლო ისინი ბინძურ რაინდს შემოერთყმინან,  
ფერიებივით დაუწყებენ ყველანი ჩქმეტას,  
მერე ჰკითხავენ: ჩვენი წმინდა ღრეობის ჟამსა  
ამ უწმინდური მორთულობით როგორ გაბედე,  
გადმოგელახა წმინდა წრეო?!

მისის ფორდი. ხოლო ვიდრემდე

უპასუხებდეს ის სიმართლეს, ეს ფერიები  
რჯულზე დაჩქმეტენ და სანთლებით სულ შეტრუსავენ.

მისის პეიჯი. როცა სიმართლეს აღიარებს - მყისვე გამოვჩნდეთ,  
შემოვხსნათ რქები და სუყველამ სიცილ-კისკისით  
უინძორისკენ გამოვიგდოთ.

ფორდი. ოღონდ ბავშვები

წინასწარ კარგად მოვამზადოთ - არ შეეშალოთ.

ევანზი. პავშევს მე შევასწავლი, როგორ მოიქცნენ. თან თვითონვე მოვირთვები მაიმუნვით, რომ ჩემი  
სანთლით დავწვა რაინდი.

ფორდი. ჩინებულია! ახლა წავალ, ნიღბებს ვიყიდი.

მისის პეიჯი. იმ ფერიების დედოფალი ნენი იქნება,

თეთრ მოსასხამში გახვეული ლაზათიანად.

პეიჯი. მაშინ აბრეშუმს მე ვიყიდი მოსასხამისთვის.

(თავისთვის). იქიდან ჩემს ნენს მოიტაცებს ბატონი სლენდერ  
და ჯვარს იტონში დაიწერენ<sup>[1]</sup>. (ხმამაღლა) ფოლსტაფთან ჩქარა!

ფორდი. ფოლსტაფს მე თვითონ ვეახლები, ვით მისტერ ბრაკი,

მეტყვის კიდევაც თავის ზრახვებს. უთუოდ მოვა.

მისის პეიჯი. მაგისი ფიქრი ნუ გექნებათ. ახლა გავსწიოთ

და სამოსელი მოვუმზადოთ იმ ჩვენს ფერიებს.

ევანზი. წავიდეთ, წავიდეთ. ეს იქნება მომხიპლავი გართოპა -

ძალიან პატიოსანი თაღლითოპა.

(გადიან პეიჯი, ფორდი და ევანზი)

მისის პეიჯი. აბა, მისის ფორდ, მყის ფოლსტაფთან აფრინე კაცი;

გავიგოთ ერთი, რას აპირებს, რას გვიპასუხებს.

(გადის მისის ფორდი)

მე კი ექიმთან გავსწევ ახლა; სიტყვა მივეცი,

რომ ნენ პეიჯი სხვას არავის არ მისთხოვდება,

სლენდერი თუმცა მამულებს ფლობს, მაგრამ შტერია,

ჩემს ქმარს კი სწორედ იგი უჯობს, ის ურჩევნია.

ჯიბე სქელი აქვს ამ ჩვენს ექიმს, სამეფო კარზეც

გავლენიანი მეგობრები კარგა ბლომად ჰყავს.

მორჩა, მხოლოდ მას, სხვას არავის გაჰყვება ნენი,

ოცი ათასი უკეთესი გამოჩნდეს თუნდა.

(გადის)

სურათი მეხუთე. ოთახი სასტუმრო „წვივსაკრავში“  
შემოდინ სასტუმროს პატრონი და სიმპლი

სასტუმროს პატრონი. რა გინდა, ხეპრე? ჰა, რა უნდა მითხრა, სქელკანიანო? სთქვი, აღმოთქვი, იმსჯელე; ცოცხლად, სხარტად, სხაპა-სხუპით, მოსხლეტით.

სიმპლი. მე, ბატონო, მისტერ სლენდერმა გამომგზავნა სერ ჯონ ფოლსტაფთან.

სასტუმროს პატრონი. აგერ, მისი ოთახი, მისი სახლი, მისი ციხე-კოშკი, მისი უძრავი და მოძრავი საწოლი, რომელზედაც უძლები შვილის სულ ახალი ამბავია აღბეჭდილი<sup>[1]</sup>. მიდი, დაუკაკუნე და შესძახე, სწორედ ანტროპოფაგის მსგავსად გამოგძახებს<sup>[2]</sup>. დააკაკუნე-მეთქი.

სიმპლი. ერთი ბებრუხანა, ფაშფაშა ქალი ავიდა მასთან და ახლა, ვიდრე იგი ჩამოვიდოდეს, ვბედავ აქ დავიცადო, ბატონო. მართალი თუ გინდათ, იმ ქალს უნდა ვუთხრა რაღაც.

სასტუმროს პატრონი. ჰა! ფაშფაშა ქალიო? იქნებ რაინდი გაქურდეს კიდევ! დაიცა დავუძახო. კარგო რაინდო! ჩემო მშვენიერო სერ ჯონ! მანდა ხარ? აბა ერთი გაბერე შენი მხედრული ფილტვები და ხმამალა ჩამომძახე. შენი მასპინძელი ვარ, შენი დარდიმანდი ეფესელი გეძახის.

ფოლსტაფი. (ზემოდან) რა მოხდა, ჩემო მასპინძელო?!

სასტუმროს პატრონი. აგერ მაწანწალა ბოშა ელოდება შენს ჩასუქებულ დედაკაცს. ჩქარა ჩამოგზავნე, ჩემო კარგო, ჩამოგზავნე. ჩემს პატიოსან ოთახებში ეს რა საიდუმლო შეხვედრა მოგიწყვია, ფუ!

(შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი. ერთი ჩასუქებული ბებრუხანა მართლაც იყო ჩემთან, მასპინძელო, მაგრამ ეს არის წავიდა!

სიმპლი. მომიტევეთ, სერ, ბრენფორდელი მკითხავი ხომ არ ყოფილა?

ფოლსტაფი. სწორედ ის იყო, ხამანწკავ. იმასთან რა გესაქმება?

სიმპლი. ჩემს ბატონს - მისტერ სლენდერს დაუნახავს ქუჩაში, სერ, და ახლა მასთან გამომგზავნა, სერ, რათა ვკითხო და გავიგო, ვიღაცა ნიშნს, რომელსაც ჩემი ბატონისთვის ძეწკვი დაუცინცლავს, ახლაც აქვს ის ძეწკვი თუ არა.

ფოლსტაფი. ეს მე უკვე ვკითხე იმ დედაბერს.

სიმპლი. მერე რაო, სერ?

ფოლსტაფი. ასე იძახის, ვინც მისტერ სლენდერს ძეწკვი დასცინცლაო, ის ძეწკვი სწორედ იმ კაცმა ასწაპნაო.

სიმპლი. ეჰ, ნეტა მე თვითონ მენახა ის დედაბერი, რაღაც კიდევ დამაბარა ჩემმა ბატონმა.

ფოლსტაფი. მაინც რა დამაბარა? ჩვენც გვითხარი.

სასტუმროს პატრონი. ჰო, აბა, ჩქარა ჩამოკაკულე.

სიმპლი. აჰ, ამის დაფარვა არაფრით არ შეიძლება, სერ.

სასტუმროს პატრონი. აბა ერთი დაგიფარავს, მაშინვე გაგათავებ.

სიმპლი. ისეთი არაფერი, სერ; აი მის ენ პეიჯის საქმეზე შემოუთვალა: მიწერია ბედში მისი შერთვა თუ არაო.

ფოლსტაფი. უწერია, უწერია.

სიმპლი. რა, სერ?

ფოლსტაფი. შეირთავს... ან ვერ შეირთავს. წადი და გადაეცი, დედაბერმა ასე მითხრა-თქო.

სიმპლი. მაშ ასე ვუთხრა, სერ, გავბედო?

ფოლსტაფი. ჰო, გაბედე, სერ ხეპრე, ასე უთხარი.

სიმპლი. მადლობელი ვარ, თქვენო მოწყალებავ. წავალ, ბატონს ვახარებ.

(გადის)

სასტუმროს პატრონი. ნამდვილი მოძღვრის ჭკუა გაქვს, მოძღვრის ჭკუა, სერ ჯონ. მართლა იყო შენთან მკითხავი ქალი?

ფოლსტაფი. ეჰ, იყო, ჩემო მასპინძელო, და ჩემს დღეში რომ არ მისწავლია, იმდენი შემასწავლა ერთბაშად, თანაც არაფერი გადამიხდია, პირიქით, მე მითავაზეს კარგა ბლომად.

(შემოდის ბარდოლფი)

ბარდოლფი. მორჩა, ვაგლახ, სერ! მოგვალორეს, ნამდვილად მოგვალორეს.

სასტუმროს პატრონი. ჩემი ცხენები სად არის? მიპასუხე, მატრაბაზო.

ბარდოლფი. იმ თაღლითებთან ერთად გაიღალანენ. გაცდით თუ არა იტონს, მკრეს ხელი და წუმპეში გადამიმახეს; თვითონ კი ამოჰკრეს ცხენებს დეზები და გაქუსლეს გერმანელ ეშმაკებივით - როგორც სამმა დოქტორმა - ფაუსტმა<sup>31</sup>.

სასტუმროს პატრონი. ჰერცოგის შესახვედრად გაემგზავრნენ, არამზადავ, რასა ჩმახავ, გაიპარნენო! გერმანელები პატიოსანი ხალხია.

(შემოდის სერ ჰიუ ევანზი)

ევანზი. ჩემი მასპინძელი სად არის?

სასტუმროს პატრონი. რა ამზავია, სერ?

ევანზი. თვალი გეჭიროთ მდგმურეპზე. ერთი ჩემი მეგობარი ჩამოვიდა ქალაქში და ამპავი ჩამომიტანა, რომ თქვენთან სამი გერმანელი თაღლითი ყოფილა, რომელთაც თურმე სულ გაქურდეს რედინგელი, მეიდენჰედელი და კოულპრუკელი სასტუმროს პატრონები, ცხენებიც წაართვეს და ფულიც. თქვენი კარგი მსურს და იმიტომ გაპრთხილუპთ, თვალი გეჭიროთ. ჰკვიანი კაცი ხართ, ხუმარა და სხვეპის გამქირდავი; ამიტომ უხერხულია, ვინმემ მოგაღოროთ. მშვიდობით.

(გადის. შემოდის ექიმი კაიუსი)

კაიუსი. სად არი ჩემი მასპინძელი - „ცვივსაკრავის“ პატრონი?

სასტუმროს პატრონი. აჟა ვარ, ექიმო, არეული და თავგზააზბნეული.

კაიუსი. მე არ ვისი, ეს რა არის, ოგონდ გადმომსეს, რომ თქვენი ემსადეთ გერმანელი ჰერსოგის შესაქვედრად. ჩემი თავს გეფისებათ, არავითარი ჰერსოგი არ მოვედი. შენი კარგი გინა და იმიტომ გითქარი. მშვიდობით. (გადის)

სასტუმროს პატრონი. არიქა, იყვირე, არამზადავ, გამოვეიდე! მომეხმარე, რაინდო! მორჩა, დავილუპე! გასწი-მეთქი, იყვირე მოგვეშველონ! დავილუპე, დავილუპე!

(გადიან სასტუმროს პატრონი და ბარდოლფი)

ფოლსტაფი. ნეტა მთელს ქვეყანას მოაღორებდნენ, რადგან მე მოღორება არ მაკმარეს - მიმბეგვეს კიდეც! სასახლის ყურამდე თუ მივიდა, რა ოინი მიყვეს, ჯერ როგორ გამზანეს და მერე როგორ გამჯოხეს, უთუოდ წვეთ-წვეთად გადაადნობენ ჩემს ქონს და მეთევზეებს დაურიგებენ ჩექმების გასაპოხად. დარწმუნებული ვარ, ყბად ამიღებენ. დაცინვით ისე ლაზათიანად გამწკეპლავენ, რომ კაცად აღარ გამოვდგები, დამჰკნარ მსხალს დავემსგავსები. მორჩა, რაც ქალაღლის თამაშში თაღლითობა დავიწყე, ბედი აღარა მწყალობს! არა, უთუოდ მოვინანიებდი, მაგრამ ვაითუ ლოცვანის კითხვაში სუნთქვა არ მეყოს და სული შემეკრას. (შემოდის მისის კუიკლი) ვისგანა ხარ გამოგზავნილი? კუიკლი. ორივესგან, სერ.

ფოლსტაფი. ეშმაკსაც წაუღია ერთის თავი, ეშმაკის ბეზიას კი მეორესი! კარგად იქნებიან იქა! მაგათი გულისთვის იმაზე მეტი ავიტანე, რისი ატანაც საერთოდ არ შეუძლია ადამიანის უზადრუკსა და უსუსურ ბუნებას.

კუიკლი. ახლა იმათი იკითხე, იმათ კი არ აიტანეს?! მერე და როგორ! განსაკუთრებით ერთმა მათგანმა. ჩემი გულკეთილი მისის ფორდი! საწყალი, ცემისაგან ისეა დაღურჯებულ-დაშავებული, რომ ერთ თეთრ ადგილს ვერ უნახავ სხეულზე.

ფოლსტაფი. დაღურჯებულ-დაშავებული რა ბედენაა, როდესაც მე ცისარტყელას ყველა ფერით ამაჭრელეს; ეგეც არ მაკმარეს და, ცოტას გაწყდა, ბრენფორდელი კუდიანის მაგიერ შემიპყრეს. ისეც ჩემს საოცარ გამჭირახობასა და მოხერხებას უნდა ვუმადლოდე, რომ დედაბერს დავემსგავსე, თორემ ის არამზადა პოლიციელები დამიჭერდნენ და, როგორც ნამდვილ კუდიანს, ხუნდებს დამადებდნენ, ხუნდებს!

კუიკლი. სერ, ნება მომეცით თქვენს ოთახში მოგელაპარაკოთ; დარწმუნებული ვარ კმაყოფილი დარჩებით, როცა ჩემს სათქმელს მოგახსენებთ. აგერ წერილიც მაქვს, ზოგ-ზოგ რამეს ესეც შეგატყობინებთ. ჩემო კარგებო, ნეტა იცოდეთ, რა თავისტება მჭირდება, რომ თქვენ ერთმანეთს შეგახვედროთ! ეტყობა ერთ-ერთ თქვენგანს ზეცა გაგრისხეზიათ, თორემ ამდენი ვაი-ვაგლაზი რა ამზავია!

ფოლსტაფი. კარგი, ავიდეთ ჩემს ოთახში.

(გადიან)



სურათი მეექვსე. სასტუმროს ერთ-ერთი ოთახი  
შემოდინ ფენტონი და სასტუმროს პატრონი

სასტუმროს პატრონი. თავი დამანებეთ, მისტერ ფენტონ, გულზე ვარ გახეთქილი; ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია.

ფენტონი. ჯერ მომისმინეთ. ამ საქმეში ხელს თუ შემიწყობთ, თავადიშვილურ სიტყვას გამღევთ, თქვენს ზარალს ზევით, მე გასამრჯელოდ ას გირვანქას ოქროთი გიზღავთ.

სასტუმროს პატრონი. კეთილი, მოგისმენთ, მისტერ ფენტონ; და თუ ვერაფერი დაგეხმარეთ, საიდუმლოს მაინც შეგინახავთ.

ფენტონი. გახსოვთ, თქვენთვისაც ხშირად გული გადამიშლია და მითქვამს, ტურფა ენ პეიჯი რარიგად მიყვარს;

ჩემს სიყვარულზე მიპასუხა მან თანაგრძნობით

(რამდენადაც კი არჩევანის ნება აქვს იმას),

სწორედ ისევე, როგორც მსურდა. ახლა წერილს მწერს

და შინაარსი წერილისა თქვენ გაგაკვირვებთ.

მაგრამ სერი, რასაც მე ამ წერილში მწერენ,

აქ ისე არის გადაწული ჩემს განზრახვასთან,

რომ ცალკე მისი გამოყოფა არ შეიძლება,

თუკი ხუმრობის მთელი არსი არ გაგაცანით.

მსუქან ფოლსტაფსაც ამ სერიში დიდი როლი აქვს.

ახლა ყველაფერს დაწვრილებით გაგაგებინებთ.

ჩემო კეთილო მასპინძელო, გთხოვთ მომისმინოთ.

დღეს შუაღამით ჩემი ნენი ჰენრის მუხასთან

მივა ჩაცმული ფერიების დედოფალივით.

მიზეზს წერილში წაიკითხავთ. როდესაც ტყეში

ეს თავშექცევა გახურდება და გაჩაღდება,

ასე ჩაცმული ჩემი ნენი, მამის ბრძანებით,

იტონში უნდა გაილალოს, სლენდერთან ერთად,

ჯვარდასაწერად. ამ ბრძანებას ნენი დასთანხმდა.

მაგრამ, მისმინეთ.

დედა არ არის ამის მომხრე, კვლავ უარზეა.

ის მოსურნეა, რომ ფრანგ ექიმს მისთხოვდეს ქალი;

ვიდრე სერიით იქნებინა გართული ტყეში,

დედის ბრძანებით, კაიუსი ქალს გაიტაცებს,

და მყისვე მღვდელი ჯვარს გადასწერს ეკლესიაში.

ნენმა დედასაც მოუსმინა თითქოს მორჩილად

და თან აღუთქვა, რომ ექიმზე დაიწერს ჯვარსა.

ახლა აი რა:

მამის სურვილით, ის იქნება თეთრად ჩაცმული,

სწორედ ამ ნიშნით გამოიცნობს სლენდერიც ენსა,

მივა იმასთან დათქმულ დროზე, მოჰკიდებს ხელსა

და თან წაიყვანს; ქალიც უნდა მაშინვე გაჰყვეს.

მაგრამ, რადგანაც იქ ნიღბებით იქნება ყველა,

დედამ არჩია ქალს ჩააცვას მწვანე სამოსი,

და თანაც თავზე გაუკეთოს ბრჭყვიალა ბაფთა,

რათა კაიუსს გამოცნობა გაუადვილდეს;

როდესაც მარჯვე დროს შეარჩევს ექიმი ტყეში

ენტან მივა და ხელზე უჩქმეტს, გაპარვის ნიშნად.

ქალმა ამაზეც მორჩილების თანხმობა მისცა.

სასტუმროს პატრონი. მაინც რომელ ერთს ატყუილებს - მამას თუ დედას?  
 ფენტონი. ორივეს, ჩემო მასპინძელო - ის მე მომყვება;  
 მე კი რასა გთხოვთ: მომიძებნეთ სადმე მოძღვარი  
 და შუალამით დამახვედრეთ ეკლესიაში,  
 რომ სამუდამოდ მან ჯვრისწერით შეგვაკავშიროს.  
 სასტუმროს პატრონი. კარგი, მიხედეთ თქვენ თქვენს საქმეს, - მე მოძღვარს ვნახავ,  
 თქვენ ოღონდ ქალი მოიყვანეთ, მღვდელს არ მოგაკლებთ.  
 ფენტონი. თქვენგან ვიქნები სამუდამოდ დავალებული  
 და გასამრჯელოს თუნდ ახლავე მოგართმევთ სრულად.  
 (გადიან)

### მოქმედება მეხუთე

სურათი პირველი. ოთახი სასტუმრო „წვივსაკრავში“  
 შემოდინ ფოლსტაფი და მისის კუიკლი

ფოლსტაფი. კარგი, ნულარ მეტიტინები. წადი და მოვალ! ეს უკვე მესამედ იქნება. კენტი რიცხვი  
 იღბლიანი უნდა იყოს. გასწი! წადი. ამბობენ, კენტ რიცხვში რაღაც ღვთაებრივი ძალა იმალებაო - სულ  
 ერთია, ეხება ეს დაბადებას, წარმატებას თუ გარდაცვალებას. აბა, გასწი!  
 კუიკლი. მეწვეს უსათუოდ გიშოვნი, ხოლო რაც შეეხება რქებს, ძალ-ღონეს არ დავიმურებ, რომ ისიც  
 გამოგინახო.

ფოლსტაფი. გასწი, გასწი, დრო არ ითმენს. თავი მაღლა ასწი და გაცუნცულდი. (გადის მისის კუიკლი,  
 შემოდის გადამული ფორდი) ოჰ, რასა იქთ, მისტერ ბრაკ. ან დღესვე გამოირკვევა ყველაფერი,  
 მისტერ ბრაკ, ან არასოდეს. საოცრება თუ გასურთ იხილოთ, დღეს შუალამისას ჰერნის მუხასთან  
 მოდი, ბაღში.

ფორდი. როგორ, გუშინ არა ყოფილხართ იმ ქალთან, აკი უნდა შევხვდეთ?

ფოლსტაფი. ვიყავი, მისტერ ბრაკ. წავედი, როგორც ახლა მხედავთ, საწყალი ბერიკაცი, ხოლო იქიდან  
 საწყალი დედაბერი დავბრუნდი. ის გაიმეორა ფორდი - იმისი ქმარი, ისეა ეჭვებით შეპყრობილი, რომ  
 ცოფიან ეშმაკსა ჰგავს. რაღა დაგიფიცოთ და რჯულზე მიმბეგვა, როცა ქალის ტანსაცმელი მეცვა; აბა  
 ერთი კაცის ტანსაცმელი მცმოდა, მისტერ ბრაკ; გოლიათსაც არ შევუშინდებოდი, თუნდა  
 თითისტარის მეტი ხელში არაფერი მჭეროდა. განა მე კი არ ვიცი, რომ ცხოვრება მაქოა. ახლა  
 მეჩქარება, გამომყევით და ყველაფერს გაიმბობთ, მისტერ ბრაკ. რაც ცოცხალი ბატის გაბტყვნას,  
 გაკვეთილების გაცდენასა და ჩიკორის ბზრიალს თავი გავანებე, დღევანდლამდე ცემა რა იყო, არ  
 ვიცოდი. ახლა გამომყევით და იმ არამზადა ფორდზე საოცარ ამბებს გაიმბობთ. ამაღამ ვიძიებ შურს  
 მასზე და იმის ცოლს თქვენ ჩაგაბარებთ ხელში. გამომყევით, უცნაური ამბები გველის, მისტერ ბრაკ,  
 წავიდე.  
 (გადიან)

სურათი მეორე. უინძორის ბაღი  
 შემოდინ პეიჯი, შელოუ და სლენდერი

პეიჯი. წავიდე, წავიდე და მანამ ფერიების სინათლეები გამოჩნდებოდეს, თხრილში ჩავსაფრდე.  
 შვილო სენდერ, გახსოვდეს ჩემი ქალი.  
 სლენდერი. რა დამავიწყებს; მე უკვე მოველაპარაკე მას და ერთმანეთის გამოსაცნობად სანიშნო  
 სიტყვებიც გამოვიგონეთ: მივალ თეთრებში გამოწყობილ ქალთან და შევძახებ - „მამ“, იგი მიპასუხებს  
 „გუ-გუ“ და მაშინვე ვიცნობთ ერთმანეთს.

შელოუ. ეგეც ჩინებულია, მაგრამ რაღა საჭიროა თქვენი „მამ“ და „გუ-გუ?“ თეთრ კაბაში ისედაც ხელად იცნობ. ათი საათი დაჰკრა უკვე.

პეიჯი. ბნელი ღამეა, სწორედ სულელებისა და სანთლების შესაფერი. ღმერთო, გაგვიმარჯვე ამ საქმეში! ავი - ეშმაკის მეტს არავის უნდა, ეშმაკს კი რქებით ვიცნობთ. აბა, წავიდეთ, გამომყევით.  
(გადიან)

სურათი მესამე. ბალისკენ მიმავალი ქუჩა  
შემოდინ მისის პეიჯი, მისის ფორდი და ექიმი კაიუსი

მისის პეიჯი. ექიმო, ჩემი ქალი მწვანედ ჩაცმული იქნება. როგორც კი შეატყობთ, მარჯვე დროაო, ხელი ჩასჭიდეთ და ეკლესიისაკენ გააქანეთ. მაშინვე დაიწერეთ ჯვარი. ახლა კი დაწინაურდით და ბაღში წადით. ჩვენ ცალკე წამოვალთ.

კაიუსი. მე ვისი, როგორ უნდა მოვიქსა. მშვიდობით.

მისის პეიჯი. მშვიდობით, სერ. (კაიუსი გადის) ჩემი ქმარი იმდენად ფოლსტაფის შერცხვენით არ გაიხარებს, რამდენადაც ნენის ექიმზე მითხოვება გააბრაზებს. რა გაეწყობა, დიდ გულისხეთქას პატარა საყვედური სჯობია.

მისის ფორდი. ნენი და ფერიები სადღა არიან, ან უელსელი ეშმაკი ჰიუ?

მისის პეიჯი. ჰერნის მუხასთან არიან ჩასაფრებული, თხრილში; სანთლები დამალული აქვთ. შევეყრებით თუ არა ფოლსტაფს, მაშინვე გამოცვივიან.

მისის ფორდი. უსათუოდ შეეშინდება!

მისის პეიჯი. არ შეეშინდება - სასაცილოდ აიგდებენ, შეეშინდება და მით უფრო აიგდებენ სასაცილოდ.

მისის ფორდი. კარგად კი გავაცურეთ.

მისის პეიჯი. მაგისტანა მუსუსების გაცურება სამართლიანი საქმეა და ცოდვად არ ჩაგვეთვლება.

მისის ფორდი. დრო გადის. ჩქარა მუხისკენ, მუხისკენ.

(გადიან)

სურათი მეოთხე. უინძორის ბაღი  
შემოდინ სატირის ტანსაცმელში გადაცმული სერ ჰიუ ევანზი, ენ პეიჯი და ფერიები

ევანზი. ცოცხლად, ცოცხლად, ფერიებო წავიდეთ. როლეკს ნუ დაივიწყებთ. მთავარია, გულმაგრად იყოთ. ახლა მომყეთ. ორმოში უნდა ჩავსაფრდეთ. მოგცემთ თუ არა ნიშანს, როგორც დაგარიგეთ, ისე მოიქცეთ. აბა, წავიდეთ, ცოცხლად, ცოცხლად!

(გადიან)

სურათი მეხუთე. იმავე ბაღის სხვა კუთხე  
შემოდის გადაცმული ფოლსტაფი

ფოლსტაფი. უინძორის სამრეკლომ უკვე თორმეტი ჩამოჰკრა. ახლოვდება სანატრელი წუთი! ცხელსისხლიანო ღმერთებო, თქვენ შემეწიეთ! აბა, მოიგონე, იუპიტერო, ევროპის მოსატაცებლად ხარად რომ იქეცი<sup>[1]</sup>; სიყვარულმა რქები დაგადგა. ო, ყოვლისშემძლე სიყვარულო! ხან მხეცს გადააქცევ კაცად, ხანაც კაცს - მხეცად! შენ არ იყავი, იუპიტერო, ლედას სიყვარულისთვის გედად რომ იქეცი<sup>[2]</sup>?! ო, ყოვლად ძლიერო სიყვარულო! ასე როგორ დაამსგავსე ღმერთი ბატს? პირველი ცოდვა მხეცად ქცეულმა ჩაიდინე, - ო, იუპიტერო, ეს იყო მხეცური ცოდვა; მეორე ცოდვა წყლის ფრინველად ქცეულმა ჩაიდინე - ეს კი მართლაც წყეული ცოდვა იყო! აბა, დაფიქრდი, იუპიტერო, როცა ღმერთებს ასე უდუღტ სისხლი, საბრალო ადამიანმა რაღა უნდა ქნას? მე, ჩემდა თავად, აგერ უინძორის ხარირემად ვიქეცი და არცა მგონია ჩემზე ჩატიტკნილი ირემი ამ ტყეში დადიოდეს. როცა შევხურდები, ერთი

გრილად დამიქროლე, იუპიტერო, თორემ რა ჩემი ბრალი იქნება, გამდნარი ქონი რომ დამდინდეს! ეს ვინ მოდის? ჩემი ფურირემია?

(შემოდინან მისის ფორდი და მისის პეიჯი)

მისის ფორდი. სერ ჯონ, უკვე აქა ხართ, ჩემო ირემო? ჩემო ხარირემო?

ფოლსტაფი. ო, ჩემო შავკუდიანო ფურირემო! ახლა თუნდა კარტოფილის წვიმა წამოვიდეს<sup>[3]</sup>, თუნდა „მწვანე სახელოების“ ხმაზე დაიქუხოს, ფუნთუშების სეტყვა მოვიდეს და ვანილი მოთოვოს; თუნდა ვნებათა ღელვის ქარიშხალი დატრიალდეს, აღარ მენაღვლება - თავს კარგად შევაფარებ.

(მოეხვევა მისის ფორდს)

მისის ფორდი. მისის პეიჯიც აქ არის, სულზე უტკბესო.

ფოლსტაფი. მაშინ ნაჩუქარ ირემივით გამინაწილეთ - თითოს თითო ბარკალი შეგხვდებათ; ფერდებს ჩემთვის დავიტოვებ, ბეჭებს მეტყევეს ვუწილადებ, ხოლო რქებს თქვენს ქმრებს მივართმევ. ჰა, როგორი მონადირე ვარ! ჰერნ მონადირესავით არ ვლაპარაკობ? არა, ამჯერად ნამუსიანი ბიჭი გამოდგა ჩვენი კუპიდონი - ამჯერად ამინაზლაურა ყველაფერი. მოგესალმებით, როგორც ნამდვილი მოჩვენება.

(ისმის საყვირების ხმა)

მისის პეიჯი. ვაი, ეს რა ხმაურია?

მისის ფორდი. ღმერთო, შეგვინდე ყველა ცოდვა!

ფოლსტაფი. ნეტა რა უნდა იყოს?!

მისის ფორდი და მისის პეიჯი. გავიქცეთ, გავიქცეთ!

(გარბიან)

ფოლსტაფი. როგორც ვატყობ, თვითონ ეშმაკს არა სურს ცოდვა ჩავიდინო - ეშინია ჩემმა ქონმა სულმთლად არ გადასწვას ჯოჯოხეთი; ასე რომ არ იყოს, რატომ გადამიღობავდა მუდამ გზას?!

(შემოდინან გადაცმული სერ ჰიუ ევანზი, პისტოლი, ენ პეიჯი და სხვები)

ენ პეიჯი. შავად, ნაცრისფრად, მწვანედ, თეთრად შემოსილებო,

თქვენ, ფერიებო, ჰე, გერებო ბედისწერისა,

ღამის აჩრდილნო, მთვარის შუქზე რომ გაშლით სუფრას,

აქ გაჩნდით, ჩემთან, სიბნელეში მომემსახურეთ;

აბა, ჰოგობლინ, მაცნე ხარ, და შენვე მოუხმე!

პისტოლი. ჩუმად, ელფებო, რიგრიგობით გიბრძანებთ ყველას;

ახტი, ჭრიჭინა, უინძორში გაინავარდე,

სადაც წააწყდე დაუცველ და ნაცრიან ბუხრებს,

მაგრად დაჩქმიტე გოგოები, სულ დაალურჯე:

განსხივოსნებულს, ჩვენს დედოფალს, სძულს სიბინძურე.

ფოლსტაფი. ფერიებია! ვინც ხმას გასცემს, თვალს გაუსწორებს,

მყისვე მოკვდება! აქვე ჩუმად მოვიყუჩები.

(პირქვე ჩაწვება)

ევანზი. მიძვო, სადა ხარ? გასწი ჩქარა, გადინავარდე,

და სადაც შეხვდე მიძინარ ქალწულთ, რომელთაც სამჯერ,

დამინების წინ, მწუხრის ლოცვა ტკპილად წარმოთქვეს,

ტკპილი სიზმრები მოუვლინე, ტკპილი ოცნება,

რათა უმანკო პალდეპივით მშვიდად იძინონ.

მაგრამ ცოდვიანს თუ სძინავს და ცოდვა არც ახსოვს,

სულ დაუჩქმიტე მკერდი, ზურგი, მხრები, მუცელი!..

პეიჯი. აბა, გასწით, ჩქარა გაფრინდით;

შემოიარეთ მყის სასახლე უინძორისა,

ბედნიერება მიაფრქვიეთ წმინდა სავანეს,

იდგეს ამაყად, მედიდურად! და ასე შეხვდეს,

წარბშეუხრელად, იმ საშინელ სამსჯავროს დღესა!

კარგად გასწმინდეთ სავარძლები, უხვად აფრქვიეთ

ყვავილთა წვენი და ბალზამი უძვირფასესი.

მუზარადები, საჭურველი რაინდებისა  
 ხელუხლებელი დარჩეს იქვე, განგების ძალით.  
 თქვენ კი, ველების ფერიებო, წრე უნდა შეჰკრათ,  
 ვით „წვივსაკრავის“ ორდენზეა გამოხატული,  
 და მდელოსფერად, საგანგებოდ შემოსილებმა,  
 სიმღერით უნდა დაუაროთ მარდი ფერხული.  
 დაკრიფეთ მარად სანეტარო, სურნელის მფრქვევი  
 მინდვრის ყვავილნი - ფერად ლურჯი, წითელი, თეთრი,  
 რომ ამ ფერებით ამოქარგოთ გაშლილ მინდორზე  
 Honi soit qui mal y pense<sup>[4]</sup>,  
 ვით საფირონით, ლალითა და ბრილიანტებით  
 შემკული არის „წვივსაკრავის“ წმინდა ორდენი;  
 ყვავილები ხომ ანბანია ფერიებისა!  
 აბა, გაფრინდით, გასწით, მაგრამ, არ დაგავიწყდეთ,  
 ჰერნის მუხასთან მალე ფერხულს ჩავაბამთ ყველა.  
 ევანზი. აბა, ჩასჭიდეთ, მეგოპრეპო, ერთმანეთს ხელი,  
 ლალი ფერხული დავუაროთ; მანათოპელად  
 ჩვენ გვეყოლება ოციოდე ციციანათელა.  
 მაგრამ დამაცათ, თითქოს მომდის მოკვდავის სუნი.  
 ფოლსტაფი. ღმერთო, დამიფარე ამ უელსელი ფერიისაგან, თორემ ახლავე ყველად მაქცევს.  
 პისტოლი. ო, ბილწო მატლო, დაწყველილო ჩანასახშივე!  
 ენ პეიჯი. აბა, სანთლები მიადევით სწრაფად ხელებზე:  
 წმინდა თუ არის, ალი არც კი გაეკარება,  
 მაგრამ თუ შეხტა, ეს მიიღეთ ნიშნად იმისა,  
 რომ მკერდში მაგას უწმინდური გული ჰქონია.  
 პისტოლი. მაშ, ვცადოთ.  
 ევანზი. ვნახოთ, ამ ჯირკს ცეცხლი თუ მოედება?!  
 (სანთლებს მიადებენ თითებზე, ფოლსტაფი შეხტება)  
 ფოლსტაფი. ვაი, ვაი, ვაი!  
 ენ პეიჯი. უწმინდურია, უწმინდური! ბილწი, ბინძური!  
 აბა, მისცვივდით, ფერიებო; კარგად შეამკეთ.  
 თან უმღერეთ და თანაც ჩქმიტეთ, არ მოასვენოთ.  
 ევანზი. ახია მაგაზე, გარყვნილებითა და პოროტეპით სავსე აქვს გული.  
 სიმღერა. ფუი, გრცხვენოდეს ამ ცოდვებისა,  
 ფუი, გრცხვენოდეს გარყვნილებისა!  
 ცოდვა ცეცხლია, ცეცხლი და ვნება,  
 ბილწი ზრახვებით ის აღიგზნება,  
 გული მას კვებავს, ფიქრი თავნება  
 გაზრდის, გაბერავს და შეყრის სნებას.  
 (ვიდრე ისინი მღერიან და ფოლსტაფს ჩქმეტენ, შემოდის ექიმი კაიუსი და მწვანედშემოსილი ბიჭი  
 მიჰყავს; ხოლო სლენდერს, რომელიც მეორე მხრიდან შემოდის, თეთრად შემოსილი ბიჭი გაჰყავს;  
 ფენტონი ენ პეიჯს წაიყვანს. მოისმის მონადირეთა საყვირის ხმები. ფერიები გაიქცევიან. ფოლსტაფი  
 ირმის თავს მოიხსნის და წამოდგება. ამ დროს შემოდის პეიჯი, ფორდი, მისის პეიჯი და მისის  
 ფორდი. ისინი ფოლსტაფს სტაცებენ ხელს)  
 პეიჯი. ველარ წაგვიხვალთ, ნუ გარბიხართ, უკვე გაებით;  
 ჰერნ მონადირე გახდით, განა? სხვა გზა ვერ ნახეთ?  
 მისის პეიჯი. გთხოვთ, რომ შესწყვიტოთ ეს ხუმრობა, კეთილო სერ ჯონ,  
 უინძორელი დიაცები როგორღა მოგწონთ?  
 ერთი შეხედე მეუღლეო - ეს მორთულობა

ქალაქზე უფრო განა ტყეს არ შეეფერება?

ფორდი. რას იტყვით, სერ, ვინ ყოფილა რქოსანი? ფოლსტაფი არამზადაა, მისტერ ბრაკ, რქოსანი არამზადა; აი მისი რქები, მისტერ ბრაკ. ესეც უნდა გითხრათ, მისტერ ბრაკ, რომ ფორდის მთელი ავლადიდებიდან ფოლსტაფს ერგო მხოლოდ საცვლების კალათი, კეტი და ოცი გირვანქა ფულად, რომელიც მისტერ ბრაკს უნდა დაუბრუნდეს, რადგან იმ თანხის საფასურში ცხენებია დაკავებული, მისტერ ბრაკ.

მისის ფორდი. ბედი არა გვწყალობს, სერ ჯონ - აღარ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა. მორჩა, ჩემი საყვარელი ველარასოდეს გახდებით; ჩემი ირემი კი მუდამ იქნებით.

ფოლსტაფი. თანდათან ვრწმუნდები, რომ ვირად მაქციეს.

ფორდი. კამეჩადაც - დამადასტურებელი საბუთები აშკარაა.

ფოლსტაფი. მამ ესენი ფერიები არა ყოფილან? განა არა, სამ-ოთხჯერ მაინც გავიფიქრე, არ არიან-მეთქი, მაგრამ დანაშაულის შეგრძნებამ და აზროვნების უეცარმა დაბნელებამ თავგზა ამირიეს და, ყველაფრის მიუხედავად, ტლანქი სიცრუე ჭეშმარიტებად მიმადებინეს - თითქოს და მართლაც ფერიები ყოფილიყვნენ. აი, როგორ სათამაშო ტიკინად გადაგაქცევს თურმე გონება, როცა მას უკადრის საქმეზე წარმართავ!

ევანზი. ღმერთს ემსახურეთ, სერ ჯონ ფოლსტაფ, თქვენი ვნებები დათმეთ და ფერიები აღარ გიჩქმეტენ.

ფორდი. კარგადა ბრძანებს ფერია ჰიუ.

ევანზი. თქვენ კი თქვენი ეჭვიანობა დაგმეთ.

ფორდი. მორჩა, მეტად აღარ ვიეჭვიანებ ჩემს ცოლზე, ვიდრე შენ წესიერი ინგლისური ენით არ დაუწყებ მას კურკურს.

ფოლსტაფი. ნუთუ ჩემი ტვინი მზეზე იდო და ისე გამოხმა, რომ ახლა უბადრუკი რამეებით მატყუებენ?! როგორ, ამ უელსელმა თხამაც მაჯირითა? მასხარას ჩაჩი დამხურეს? ისლა დამრჩენია, შემწვარმა ყველმა დამახრჩოს.

ევანზი. ყველი არ უხდება ქონსა. შენი მუცელი კი ცარიელი ქონია.

ფოლსტაფი. „ყველი უხდება!“ ამასაც მოვესწარი, ვილაც ვიგინდარა ასე უკბილოდ დამცინის. ესეც კი კმარა, რომ მთელს სახელმწიფოში გარყვნილება და ღამღამობით სეირნობა მოისპოს.

მისის პეიჯი. როგორა, სერ ჯონ, თუნდაც კინწისკვრით გაგვედევნოს ჩვენი გულიდან ყოველგვარი სათნოება და თავი სინდისის უქენჯნელად ჯოჯოხეთისათვის გაგვეწიროს, როგორ გგონიათ, მაინც რა ეშმაკი შეგვაყვარებდა თქვენს თავს!

ფორდი. ამ ჩატიტკნილ ძეხვს, ქსელის ფუთას!

მისის პეიჯი. ამ გაბერილს!

პეიჯი. ამ გადმოზრუნებულ ფაშვიან ბებერს, აუტანელს და აყროლებულს!

ფორდი. სატანასავით ყიამყრალს!

პეიჯი. იობივით უბადრუკსა და გლახაკს!

ფორდი. იობის ცოლივით გესლიანს!

ევანზი. მრუმოპას, სამიკიტნოებს, ხერესს, ღვინოს, ლოთოპასა და აყალ-მაყალს გადაყოლილს.

ფოლსტაფი. რა გაეწყობა, თქვენს ხელთა ვარ, განადგურებული, მაჯობეთ და ეგ არის. იმის თავიც კი აღარა მაქვს, რომ ამ უელსელ ჩვარს სიტყვა არ შევარჩინო. უვიცობაზე დაბლა დავეშვი. რაცა გინდოდეთ, ის მიყავით.

ფორდი. აგრე იყოს, უინძორში წაგაბრძანებთ ვინმე მისტერ ბრაკთან, რომელსაც თქვენ მაჭანკლობას შეჰპირდით და ფულები დასცინცლეთ; მე მგონი, იმ ფულების უკანვე დაბრუნება თქვენთვის ყველაზე საშინელი უბედურება იქნება, რაც კი ოდესმე თავს გადაგხდომიათ.

პეიჯი. გული გაიმაგრე, რაინდო, ამაღამ ვახშმად გეპატიჟები. მინდა ერთი ვნახო, როგორ დასცინებ ჩემს ცოლს, რომელიც ახლა შენ დაგცინის: შენ უნდა შეტყობინო, რომ სლენდერმა მისი ქალი ცოლად შერთო.

მისის პეიჯი. (თავისთვის) ზოგიერთ ექიმს მაგაში ეჭვი ეპარება: ენ პეიჯი თუ მართლაც ჩემი ქალია, ახლა უკვე ექიმ კაიუსის ცოლი ქნება.

(შემოდის სლენდერი)



სლენდერი. ვაი, ჩემს მოსწრებას, ჰო, ჰო, ჰო, მამიკო პეიჯ!

პეიჯი. ჰა, რაო, შვილო, უკვე მორჩით საქმეს?

სლენდერი. მორჩითო! მთელს გლოსტერშირში ყველაზე ჭკვიანი კაციც კი ვერ გაუგებდა ამ საქმეს ასავალ-დასავალს, თუნდა ამ წუთში ჩამომახრჩონ!

პეიჯი. რა მოხდა, შვილო?

სლენდერი. მივიყვანე იტონში ენ პეიჯი ჯვარდასაწერად და ზუნზროხა ბიჭი არ შემრჩა ხელში! ეკლესიაში არ ვყოფილიყავით, მე ვიცი, როგორც მივტყეპავდი, ან ის მიმტყეპავდა. აქვე გავფშიკო ფეხი, გულდაჯერებული თუ არ ვყოფილიყავი, ენ პეიჯი მიმყავს-მეთქი. ფოსტალიონი არ შემრჩა ხელში!

პეიჯი. მოტყუებულხარ, შენ არ მომიკვდე.

სლენდერი. მაგას რაღა მტკიცება უნდა? რომ არ მოვტყუებულებო, გოგოს მაგიერ ბიჭს წავიყვანდი? კიდევ რომ დამეწერა ჯვარი, რაში გამომადგებოდა?!

პეიჯი. შენივე სისულელის ბრალია. აკი დაგარიგე, როგორ უნდა გამოგეცნო ტანსაცმლით.

სლენდერი. რა მექნა, მივედი თეთრკაბიანთან და შევძახე „მამ“. „გუგუ“ მიპასუხა, სწორედ ისე, როგორც შეთანხმებული ვიყავით. მაგრამ რა გამოვიდა, მაინც ფოსტალიონი შემრჩა ხელში.

მისის პეიჯი. ჯორჯ, ნუ გამოიჯავრდები, გენაცვალე; თქვენი მოლაპარაკება გავიგე და ენი მწვანედ გამოვაწყე, ახლა ალბათ ისა და ექიმი ჯვარს იწერენ ეკლესიაში.

(შემოდის კაიუსი)

კაიუსი. სად არის მისის პეიჯი? ეშმაკმა დალაქვრა, მომაგორეს, un garcon-ზე დამცერეს ჯვარი - ბიჩზე; სინგლიან სოფელ ბიჩზე; თავს გეფიცებათ, ბიჩზე; ენ პეიჯი არ აგმოჩნდა. ეშმაკმა დალაქვრა, მომაგორეს.

მისის პეიჯი. როგორ, მწვანეკაბიანი არ წაიყვანეთ?

კაიუსი. დიახ, ეშმაკმა დალაქვრა, და ბიჩი აღმოჩნდა. ჟანდაბა! მთელს უინზორს შევზრავ!

(გადის)

ფორდი. უცნაურია! ვილას შეხვდა ნამდვილი ენი?!

პეიჯი. გული ცუდს მითხრობს. აგერ, მისტერ ფენტონი მოდის. (შემოდის ფენტონი და ენ პეიჯი)

ბატონო ფენტონ, ეს რას ნიშნავს, რა ამბავია?

ენ პეიჯი. ჩემო მამილო, მაპატიეთ! შენც, დედაჩემო!

პეიჯი. ეს როგორ მოხდა, ქალბატონო, რომ მისტერ სლენდერს არ გაჰყევით.

მისის პეიჯი. რატომ არა ხარ, ქალიშვილო, ბატონ ექიმთან?

ფენტონი. გთხოვთ ნუ შეარცხვენთ. მთელს სიმართლეს მე მოგახსენებთ.

თქვენ განუშზადეთ სამარცხვინო ჯვრისწერა ენსა,

რადგან არაფრად არ ჩააგდეთ მისი გულისთქმა.

სამაგიეროდ, მე და თქვენს ქალს დიდი ხანია

გვიყვარს ერთურთი და ვერც გაგვყრის აწ ვერაფერი.

მისი მოქცევა წმინდაა და სამართლიანი -

ვერც ჯიუტობას, ვერც ურჩობას მას ვერ შეარქმევთ,

რადგანაც ამით აირიდა და მოიშორა

ათასი მძიმე, დაწყევლილი, კრული საათი,

რაც იძულებით ქორწინებას მოჰქონდა მისთვის.

ფორდი. რამ გაგაშტერათ, ვედარაფერს ვედარ უშველით.

ღმერთი თვითონვე აწესრიგებს ტრფობის საქმეებს.

ფულით ვყიდულობთ ჩვენ მამულებს, ხოლო ცოლები

ბედის ნებითა და განგებით გვეძლევა ყველას.

ფოლსტაფი. ო, როგორ მიხარია, რომ ჩემკენ გამოსროლილი ისარი თქვენვე მოგხვდათ.

პეიჯი. რა გაეწყობა! ზეცასა ვთხოვ, იხაროთ, ფენტონ.

რის არიდებაც აღარ ძალგვიძს, ჯობს ლხენით შევხვდეთ.

ფოლსტაფი. ღამით მონადირე ძაღლები, ყოველგვარ ნადირს წამოაგდებენ.

მისის პეიჯი. დე, ასე იყოს, აღარ ვნანობ. ბატონო ფენტონ,

ღმერთმა მრავალი მხიარული დღე მოგივლინოს.  
ახლა მეუღლევ, ჯობს შინისკენ გავსწიოთ ერთად,  
მოვუსხდეთ ბუხარს და ვიცინოთ ამ ჩვენს სეირზე.  
სერ ჯონიც ჩვენთან წამოვიდეს.  
ფორდი. წამოდი, სერ ჯონ,  
რადგანაც ბრაკი უპირობას ვედარ დაგწამებს,  
ის მისის ფორდთან გაატარებს მხიარულ ღამეს.  
(გადიან)

## განმარტებები

მოქ. I, სურ. 1

1. სულ ერთია, სერ ჰიუ, ვერ დამიყოლიებთ - ტიტული „სერ“ იმ დროს სასულიერო პირების მიმართაც იხმარებოდა.
2. ამ საქმით ვარსკვლავიან პალატას შევძრავ - იგულისხმება იმდროინდელი ინგლისის უმაღლესი სისხლის სამართლის სამსჯავრო, რომელიც დედოფლის პირადი მრჩევლებისაგან შედგებოდა და ამის გამო მისი იურისდიქცია პრაქტიკულად შეუზღუდველი იყო.
3. Coram - (ლათ.) „თანდასწრებით“.
4. Cust-alorum - (ლათ.) „ოქმების დამცველი“. სწორი ფორმაა custos rotularum.
5. Rato-lorum - (დამახინჯ. ლათ.) - „ოქმების დამცველი“.
6. Armigero - (ლათ.) „გერბის მქონე“. ესკუიარის თავისებური სინონიმი.
7. უფლება ექნებათ თორმეტი თეთრი ქარიყლაპია ჩაკერონ ძველებურ წამოსასხამში! - ამ ფრაზაზე აგებული იყო ჰიპოთეზა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე შექსპირის ერთი ბიოგრაფიიდან მეორეში გადადიოდა. ზეპირგადმოცემის თანახმად, ახალგაზრდა შექსპირს მეზობელი მემამულის, ტომას ლუსის ირმების ნაკრძალში უნადირია, რისთვისაც იგი თითქოს ლუსის მსახურთ გაუროზგავთ კიდევ. იმასაც ვარაუდობდნენ, რომ შექსპირმა ლუსის სატირული კუპლეტები დაუწერა და რომ საერთოდ ამ გავლენიანი მეზობლის დევნის შედეგად იგი ლონდონს გადასახლდა. ჰიპოთეზას ისიც ამაგრებდა, რომ ტომას ლუსის პირად ბიბლიოთეკაში დაცული აღმოჩნდა შექსპირის ერთადერთი პიესა და სწორედ „უინძორელი მხიარული ქალები“, რომელშიც თითქოს სიტყვის თამაში აგებული იყო მემამულის გვარის, სიტყვების „ქარიყლაპია“ და „ტილის“ ფონეტიკურ მსგავსებაზე. ამჟამად ამ ჰიპოთეზას თითქმის აღარ შერჩა დამცველი. გამოირკვა, რომ შექსპირის დროს ტომას ლუსის ირმის ნაკრძალი საერთოდ არ არსებობდა და რომ სატირული კუპლეტები შემდგომი პერიოდის ფაბრიკაციებს წარმოადგენდა.
8. გავიგე, კოტსელში გაასწრესო - იგულისხმება კოსტუოლდის გორაკები გლოსტერშირის საგრაფოში („კოტსელი“ ამ საგრაფოს დიალექტიზმია).
9. Pauca verba - (ლათ.) „ნაკლები სიტყვები“.
10. არც ჩირად, არც კომბოსტოდ - ფოლსტაფს არ ესმის ევანჯის მიერ დამახინჯებულად წარმოთქმული სიტყვები.
11. ოჰ, ბენბერულო ყველო! - ეს ყველი ცნობილი იყო იმით, რომ სიფრიფანა მზადდებოდა. მინიშნებულია სლენდერის გვარზე („გამხდარი“) და, შესაძლოა, მის სიგამხდრეზეც.
12. რას მიჰქარავ, მეფისტოფელო! - იგულისხმება ქრისტოფერ მარლოუს „დოქტორ ფაუსტუსის“ პერსონაჟი.
13. „წვივსაკრავის პატრონი“ - სასტუმრო „წვივსაკრავი“ ნამდვილად არსებობდა შექსპირის დროს უინძორში.
14. შვიდი გროტი - გროტი უდრიდა ოთხ პენის.
15. სერ ჯონ, ბატონო, ჩხუბში ვიწვევ ამ თუნუქის ხმალს - დედანშია I combat challenge of this latten bilbo, მინიშნებულია ვითომდა ბილბაოში (ესპანეთი) ნაწრთობი ხმალი.
16. შენ რაღას იტყვი, ლაჟღაჟა ჯონ? - დედანში ნათქვამია: What say you, Scarlet and John? სკარლეტი და ჯონი რობინ ჰუდის თანამებრძოლნი არიან. ამავე დროს Scarlet ლაჟღაჟასაც ნიშნავს, რითაც მინიშნებულია ბარდოფის წითელი ცხვირი.
17. ორმოც შილინგს სიამოვნებით მივცემდი ახლა, ჩემი სიმღერებისა და სონეტების წიგნი რომ მომცა - იგულისხმება 1557 წელს გამოცემული სატრფიალო ლექსების კრებული, რომელიც შექსპირის მაყურებლისათვის უკვე საკმაოდ მოძველებული იყო.
18. ავი ელის შორტკვიკს ათხოვეთ ყველა წმინდანის დღეს, აი მიქელ-გაბრიელობამდე ორი კვირით ადრე - მიქელ-გაბრიელობას 29 სექტემბერს დღესასწაულობდნენ. სიმპლი თარიღებს ურევს, „ყველა წმინდანის დღეს“ პირველ ნოემბერს აღნიშნავდნენ.

19. ქლიავის მურაბაზე დავნაძლევედით - დედანში ნახსენები მომუშაული ქლიავი (stew'd prunes) შექსპირის დროს საროსკიპოებში იხმარებოდა, როგორც ვენერიულ სნეულებათა სამკურნალო საშუალება.

20. ორჯერ მაინც შევხვედრივარ აშვებულ სეკერსონს... - სეკერსონი ცნობილი დათვი იყო ლონდონის თეატრების მახლობლად გაშენებულ ე. წ. პარიზის ბაღში, სადაც დათვებს ძაღლებს უსევდნენ (ამ პოპულარულ გასართობს „დათვზე ძაღლებით ნადირობა“ ერქვა).

#### მოქ. I, სურ. 3

1. შენ ხომ იმპერატორი ხარ - ცეზარი, კეისარი, პეიზარი - სასტუმროს დიასახლისს უნდა თქვას „ცეზარი, კეისარი, ვეზირი“.
2. ოი, მდაბალო ბოშავ... - დედანში ნახსენებია „უნგრელი“. როგორც ჩანს, იგულისხმება დათხოვნილი ჯარისკაცები, რომლებიც უნგრეთის ომიდან ბრუნდებოდნენ. ომი დაიწყო 1593 წელს და პიესის დაწერის პერიოდში ჯერ კიდევ გრძელდებოდა.
3. ასე ამბობენ, ქმრის ქისა იმ ქალის ხელთ არისო; ქმარს კი ანგელოზების მთელი ლეგიონი აქვს - შექსპირი ხშირად მიმართავს სიტყვის ასეთ თამაშს: „ანგელოზები“ - ოქროს მონეტები, რომლებზეც ანგელოზი იყო გამოსახული და უდრიდა ათ შილინგს.
4. იგი არის გვიანა, ოქროთი და სიუხვით სავსე - სერ უოლტერ რალიმ 1596 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ვრცელი, მდიდარი და ლამაზი გვიანის იმპერიის აღმოჩენა“.

#### მოქ. I, სურ. 4

1. აჰ, არა, პატარა მოცქინტული სახე და ასევე პატარა წვერი აქვს, კენივით მწითური - გობელენებზე ჩვეულებრივ კაენს მოყვითალო წვერიანს წარმოადგენდნენ.
2. un boitier vert - (ფრ.) „მწვანე კოლოფი“.
3. Ma foi, il fait fort chaud. Je m'en vais à la cour - la grande affaire - (ფრ.) „ღმერთმანი, ძალიან ცხელა. სასახლის კარზე მივდივარ - დიდ საქმეზე“. იგულისხმება წვივსაკრავის ორდენის მინიჭების ცერემონიაზე დასწრება.
4. Oui; Mette le au mon ჟიბე dépêche(ფრ.) „დიახ, ჩამიდეთ ჩემს (ჯიბეში), იჩქარეთ“.
5. Qu'au-joubié - (ფრ.) „რა დამავიწყდა“.
6. O diable, diable - (ფრ.) „აჰ, ეშმაკი, ეშმაკი!“
7. baillez - (ფრ.) „მომიტანეთ“. გასათვალისწინებელია, რომ შექსპირის ნაწარმოებებში ფრანგული გამოთქმები თუ ცალკეული სიტყვები ხშირად დამახინჯებული სახით გვხვდება. როგორც ვარაუდობენ, შექსპირმა თავისი უნივერსიტეტდამთავრებული თანამედროვეებისაგან განსხვავებით არც ერთი უცხო ენა კარგად არ იცოდა.

#### მოქ. II, სურ. 1

1. ისრაელთა იროდს დამიხედეთ! - ამ ბიბლიურ ფიგურას შუა საუკუნეების რელიგიურ დრამებში ჩვეულებრივ მაღალფარდოვნად ალაპარაკებდნენ.
2. სინამდვილეში თურმე ისე ეთვისება ერთმანეთს მისი სიტყვა და საქმე, როგორც ასი ფსალმუნი „მწვანე სახელოს“ სიმღერას - ფსალმუნი შედარებულია იმდროინდელ პოპულარულ სიმღერასთან.
3. ჯობდა გოლიათი ვყოფილიყავ და პელიონის ძირში ვწოლილიყავ - როცა ტიტანები ღმერთებს ებრძოდნენ, ისინი პელიონის მთას ოსას მთაზე შედგამდნენ ხოლმე, რათა ოლიმპოს მთას მისწვდომოდნენ. მისის პეიჯი თავის თავს ოსას მთას ადარებს.

4. გაფრთხილდი, თორემ ძალი დაგგლეჯს აკტეონივით - აკტეონი (ან აქტეონი) - ბერძენი მონადირე, რომელიც მითის მიხედვით ქალღმერთმა არტემიდემ ირმად აქცია და საკუთარ ძაღლებს დააფლეთინა (ერთი ვერსიის მიხედვით, იმის გამო, რომ აქტეონმა მობანავე ქალღმერთს მოჰკრა თვალი, ხოლო მეორე ვერსიის თანახმად, რომელიც ევრიპიდესთან გვხვდება, იმიტომ, რომ აქტეონს თითქოს დაეკვებნოს არტემიდეს ვჯობივარ ნადირობაში). აკტეონის ერთ-ერთ ძაღლს, ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით, დედანში ნახსენები რინგვუდი ერქვა (ქართულ თარგმანში „ძაღლი“).
5. მაგრამ ერთი ბოთლი კარგად დადუღებული ღვინო ჩემზე იყოს, ოღონდ ფოლსტაფს შემახვედრე და ჩემი თავი ბრავად გააცან - დედანში გადაუთარგმნელი სიტყვის თამაშია: „ფორდი“ ნიშნავს „ფონს“, ხოლო „ბრუკ“ - „ნაკადულს“.

## მოქ. II, სურ. 2

1. წადი შენს პიკპეტჩის მამულში - პიკპეტ უბანში, რომელიც საროსკიპოებით იყო ცნობილი, ლონდონის მდაბიო მოსახლეობა ცხოვრობდა.
2. მოკლედ მითხარი, ჩემო მანდილოსანო მერკურო - დედანში ნახმარია she-Mercury - მერკური (ღმერთის მაცნე) მდებარეობითი სქესის ფორმით.
3. ამაიმონი უფრო კარგად ჟღერს; ლუციფერიც ჯობს, ბარბასონიც ჯობს! - ეშმაკის სამივე სახელი გვხვდება რეჯინალდ სკოტის ტრაქტატში „ჯადოსნობის აღმოჩენა“ (1584).

## მოქ. II, სურ. 3

1. ვნახოთ შენი პუნტო, შენი რევერსო, სტოკადო - ჩამოთვლილია ფარიკაობის ტერმინები.
2. უკვე მოჰკალი ჩემი ფრანცისკო? - ფრანცისკო - იგულისხმება „ფრანგი“.
3. ხმა ამოიღე, ჩემო ესკულაპუსო, ჩემო გალენო - ესკულაპუსი - მკურნალობისა და განკურნების ღვთაება ძველ იტალიაში (ბერძნული ასკლეპიოსის ლათინური ფორმა). გალენი - ბერძენი მკურნალი, რომლის შრომები შექსპირის დროს კვლავაც დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა.
4. ყოჩაღ კასტილიელო მეფე პისუარო! - იგულისხმება, რომ კასტილიის მეფე ფილიპ მეორეს მისთვის მოსარგები უზარმაზარი პისუარი ჰქონდა.
5. ბერძენო ჰექტორო... - ჰექტორი ტროელი იყო და არა ბერძენი, რაც, რა თქმა უნდა, დიასახლისმა არ იცის.
6. მაგრამ ჯერ თქვენ, ბატონო მსაჯულო, მისტერ პეიჯ და თქვენც, კავალერო სლენდერ, ფროგმორში წადით... - ფროგმორი უინძორის მახლობლად მდებარეობს.

## მოქ. III, სურ. 1

1. სად რაკრაკეპენ ნაკადულეპი... ლამის ავქვითინდე! - სტრიქონები ქრისტოფერ მარლოუს ლექსიდან.
2. მეც ბაბილონთან ვიჯექი ახლოს - ბიბლიური ალუზია: „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავსხედით და ვტიროდით, რაჟამს მოვიხსენეთ ჩუენ სიონი“ (დავით 136, 1).
3. ვარ თუ არა მაკიაველი? - ფლორენციელი ნიკოლო მაკიაველის სახელი შექსპირის დროს უკავშირდებოდა ისეთ პოლიტიკოსს, რომლისთვისაც მიზანი ამართლებდა ყოველგვარ საშუალებას.

## მოქ. III, სურ. 3

1. ხომ არ გვიღალატე, პატარა სამარხვო ტიკინავ? - იგულისხმება ტიკინა, რომელსაც ქუჩაში ათავსებდნ რათა მარხვის დროს ბიჭებს თავი შეექციათ ქვებისა და სხვა ნივთების ნიშანში სროლით.

2. „ნუთუ ხელში ჩაგიგდე, ციურო მარგალიტო?“ - ციტატი სერ ფილიპ სიდნის „ასტროველ და სცელადან“.
3. ბუნება შენი მეგობარია და ო, რა იქნებოდი, რომ ბედისწერა არ გაგხდომოდა მტრად - ბედისწერისა და ბუნების ურთიერთდაპირისპირება თავისებური ანდაზური კლიშე იყო იმ დროს. ამასთან, „ბედისწერა მტერი შენი“ პოპულარული სიმღერის სათაურიც იყო.
4. არ შემოიძლია გეტიტინო ზოგიერთ ენამოჩლექილ კუნელის კოკორივით, რომელთაც მამაკაცის შარვალი ჩაუცვამთ და ქალივით იპრანჭებიან - თან კი ძველი აფთიაქის სუნი ასდით - დედანში ნახსენებია ლონდონის ქუჩა ბაკლსბერი, რომელიც განთქმული იყო თავისი სამკურნალო ბალახების ბაზრით. დედნისეული „ბაკლსბერის სუნი ასდით ყვავილობისას“ გადმოტანილია როგორც „ძველი აფთიაქის სუნი ასდით“.

მოქ. IV, სურ. 1

1. Veritas - (ლათ.) „ჭეშმარიტება“.
2. Ablativo - quo, qua, quo - ისევე, როგორც ზემოთ, მთელი ამ „ლათინური ენის გაკვეთილის“ მანძილზე თარგმანი ფაქტიურად ტექსტშივეა მოცემული.

მოქ. IV, სურ. 2

1. ბრენფორდელი ფაშფაშა დედაბრის - ჩემი მოახლის ძალუას კაბაა ზემოთ! - შექსპირი ახსენებს უინძორის ახლოს მდებარე ნამდვილად არსებული ცნობილი ტავერნის პატრონს.

მოქ. IV, სურ. 4

1. იქიდან ჩემს ნენს მოიტაცებს ბატონი სლენდერ და ჯვარს იტონში დაიწერენ - იტონი უშუალოდ უინძორთან, ტემზის გადაღმა მდებარეობს.

მოქ. IV, სურ. 5

1. აგერ, მისი ოთახი, მისი სახლი, მისი ციხე-კოშკი, მისი უძრავი და მოძრავი საწოლი, რომელზედაც უძღები შვილის სულ ახალი ამბავია აღბეჭდილი - სასტუმროს კედლები ხშირად მოხატული იყო ბიბლიური სიუჟეტებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება სახარების ილუსტრაციები (ლუკა 15, 11-35).
2. მიდი, დაუკაკუნე და შესძახე; სწორედ ანტროპოფაგის მსგავსად გამოგმახებს - ანტროპოფაგი - კანიბალი. მაგრამ სასტუმროს პატრონი ამ სიტყვას ხმარობს როგორც უცხო სიტყვას, რომლის ზუსტი მნიშვნელობა არც იცის.
3. გავცდით თუ არა იტონს, მკრეს ხელი და წუმპეში გადამიძახეს; თვითონ კი ამოჰკრეს ცხენებს დეზები და გაქუსლეს გერმანელი ეშმაკებივით - როგორც სამმა დოქტორმა ფაუსტმა - შეიძლება იგულისხმებოდეს კონკრეტული ეპიზოდი ქრისტოფერ მარლოუს „დოქტორ ფაუსტუსიდან“.

მოქ. V, სურ. 5

1. აბა, მოიგონე, იუპიტერო, ევროპის მოსატაცებლად ხარად რომ იქეცი - იგულისხმება ცნობილი მითი, რომლის თანახმადაც, ფინიკიის მეფის აგენორის ქალიშვილი - ევროპე ხარადქცეულმა ზევსმა მოიტაცა და კუნძულ კრეტაზე წაიყვანა.



2. შენ არ იყავი, იუპიტერო, ლედას სიყვარულისთვის გედად რომ იქეც? - იუპიტერი (იგივე ზევსი) გედად იქცა, რათა სპარტის დედოფალს ლედას დაუფლებოდა.
3. ახლა თუნდა კარტოფილის წვიმა წამოვიდეს... - იმ დროს სწამდათ, რომ კარტოფილს სქესობრივი აღზნების გამოწვევა შეეძლო.
4. Honi soit qui mal y pense - (ფრ.) „ვინც ავს იფიქრებს“. ინგლისელ წვივსაკრავის ორდენის კავალერთა დევიზი.



სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ  
ჩვენს ინტერნეტ-მაღაზიას: [www.iBooks.ge](http://www.iBooks.ge)